ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანული ფილოლოგია

მირანდა ლომიძე

ბგერათა სიმბოლოები თანამედროვე ფრანგულ ენაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის (Ph. D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციური ახვლედიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2009

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წინასიტყვაობა----------4-8

თავი I

ბგერათა სიმბოლიზმის რაობა

§1 კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას,
აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ----------9-28

§2 ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიები ----------28-31

§3 ბგერათა სიმბოლიზმის აღმოცენების სამი თეორია ----------31-37

თავი II ბგერათა სიმბოლიზმი, როგორც
ფსიქოლინგვისტური მოვლენა

§1 ბგერათა სიმბოლიზმის ბუნება ----------38-40

§2 ბგერათა ინტერფერენცია, როგორც
ბგერათსიმბოლური სიტყვების ფაქტორის ძირითადი ახსნა ----------39-41

§3 სიტყვების ბგერათსიმბოლური
კომპონენტების აღქმის ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლები ----------40-43

§4 ბგერათა სიმბოლიზმი და მოტივაცია ----------43-45

§5 ხმაბაძვითი სიტყვები ----------45-50

§6 სუპრაფონემა, როგორც ბგერათსიმბოლური
ერთეული ----------50-76

§7 ბგერათა სიმბოლიზმის ფუნქციონირება ----------77-79

თავი III ბგერათსიმბოლური ერთეულების მეცნიერული კვლევა

§1 ბგერათა სიმბოლიზმის შესწავლის
ექსპერიმენტული მეთოდები ----------81-84

§2 სახელდების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ----------84-96

§3 ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობების კვლევა ორი ენის
ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით ----------97-111

თავი IV ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობების გამოვლინება და აღქმა

§1 ბგერათა სიმბოლიზმის როლი საქონლის
დასახელების შერჩევის პროცესსა და მარკეტინგში ----------112-124

§2 ბგერათა სიმბოლიზმი პოეზიაში ----------124-135

§3 თარგმანებში გამოვლენილი ბგერათა
სიმბოლიზმი ----------135-150

დასკვნები ----------147-152

გამოყენებული ლიტერატურა ----------152-162

წინასიტყვაობა

ბგერათა სიმბოლიზმის ექსპერიმენტული კვლევა მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო და თანამედროვე ენათმეცნიერებასა და ფსიქოლოგიაში ინტენსიურად მიმდინარეობს. კვლევის პრაქტიკამ ნათელი გახადა პრობლემის ექსპერიმენტული კვლევის პერსპექტიულობა.

თანამედროვე მეცნიერებაში ამ პრობლემის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. არის უამრავი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება. ატარებს თუ არა ბგერათა სიმბოლიზმი უნივერსალურ ხასიათს? დასტურდება თუ არა კორელაცია სხვადასხვა ენებში? ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხი არაერთგვაროვანია, თუმცა ლინგვისტებიც და ფსიქოლოგებიც ერთ საკითხში თანხმდებიან: *ბგერები ხასიათდებიან ე. წ. სიმბოლიზმით.* ფაქტია, რომ ნებისმიერ ენაში, მიუხედავად იმისა, თანამედროვეა თუ ძველი, კულტურის განვითარების მაღალ დონეზეა ამ ენაზე მოლაპარაკე ერი თუ დაბალზე, არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებშიაც კარგად ჩანს სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არსებული საერთო მომენტები, მათ შორის არსებული ურთიერთშესატყვისობა.

ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მიღებული შედეგები და არ გავიმეოროთ შეცდომები.

მიუხედავად ბგერათა სიმბოლიზმის მრავალჯერადი კვლევისა, არ გამოვლენილა სიტყვებში ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეული, არ შესწავლილა ადამიანის ცნობიერებაში ბგერათსიმბოლური ასოციაციების გამომწვევი მიზეზები.

თემის აქტუალობა გამომდინარეობს ბგერათა სიმბოლიზმის შესწავლის თანამედროვე ამოცანებიდან. თანამედროვე მეცნიერებაში ამ პრობლემის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, არის უამრავი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება. ჩვენ, თეორიულ და პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით, ვცადეთ გამოგვევლინა ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეული, აგვეხსნა ბგერათა სიმბოლიზმის მატერიალური ბუნება და ფუნქციონირება.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები: კვლევის ძირითადი მიზანი განსაზღვრავს ნაშრომში კვლევის მიმართულებასა და კონკრეტულ ამოცანებს. ჩვენი კვლევის მიზანია ბგერათა სიმბოლიზმის პრობლემასთან დაკავშირებული თეორიაში არსებული პოსტულატების პრაქტიკული ანალიზი.

ნაშრომში დასმულია შემდეგი ამოცანები:

<u>თეორიული</u> (მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უკვე არსებული მასალის თავმოყრა – განზოგადება):

1. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობილ ლინგვისტთა მოსაზრებების ანალიზი.
2. საკუთარი თეორიის ჩამოყალიბება ბგერათა სიმბოლიზმის მატერიალური ბუნების შესახებ.
3. სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეულის თეორიულად გამოყოფა.

<u>პრაქტიკული</u>:

1. ლინგვისტიკაში უკვე არსებული მეთოდების საფუძველზე კვლევის საკუთარი მეთოდის შემუშავება.
2. ამ მეთოდის საფუძველზე ექსპერიმენტის ჩატარება.
3. ბგერათა სიმბოლიზმის პრაქტიკული კვლევა.

მეცნიერული სიახლე: ბგერათსიმბოლური სიტყვები პირველად იქნა განხილული ახალი ჰიპოთეზის მეშვეობით. იყო სხვადასხვა ენის მატარებელთა შორის ფსიქო-ემოციური ასოციაციების უნივერსალურობის დამტკიცების მცდელობა. შევეცადეთ დაგვემტკიცებინა სხვადასხვა ენის მატარებელთა შორის ფსიქო-ემოციური ასოციაციების უნივერსალურობა.

მოცემული ექსპერიმენტის კიდევ ერთი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, გამოიყო ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ახალი ერთეული – *სუპრაფონემა*.

გამოკვლეულ იქნა ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები პოეზიასა და თარგმანებში.

ახალი მეთოდის ეფექტურობა ასევე უნდა ავღნიშნოთ იმ თვალსაზრისით, რომ აუცილებელია შევისწავლოთ არა ცალკეული ბგერები, არამედ ბგერათა კომპლექსები. ექსპერიმენტებიც, შესაბამისად, უნდა ჩატარდეს არა ფონემის, არამედ სუპრაფონემის დონეზე, რომელიც ბგერათსიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მოცემული ჰიპოთეზის საფუძველზე ბგერათსიმბოლური სიტყვების შესწავლის პერსპექტივაში. როგორც ავღნიშნეთ ბგერათა სიმბოლიზმი ამ კუთხით არასოდეს ყოფილა შესწავლილი.

პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება ბგერათა სიმბოლიზმის ექსპერიმენტული კვლევის გამოყენებითი მნიშვნელობით: რამდენადაც ამ ტიპის ანალიზი და კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ფსიქოლინგვისტიკის, ისე ფონოსტილისტიკის სფეროში, ასევე მხატვრული ტექსტის თარგმანების შესრულებისას.

ნაშრომის მასალად გამოვიყენეთ ფრანგული და იტალიური ენებიდან ამოღებული სიტყვები, რომლებიც შეიცავდა ბგერათსიმბოლურ კომპონენტებს, ანალიზისათვის ასევე გამოყენებულ იქნა მხატვრული ლიტერატურიდან აღებული ნაწყვეტები და მათი თარგმანები.

კვლევის მეთოდები ბგერათსიმბოლური მასალის შედარებით–შეპირისპირებითი და კომპონენტური ანალიზი (რათა გამოვლინდეს ბგერათგამომხატველობის არსებული მახასიათებლები), სტატისტიკური ანალიზი და ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც იყო ბგერათსიმბოლური ასოციაციების არსებობის დამტკიცება.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია შესავალი, ოთხი თავი, დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველი თავი – ბგერათა სიმბოლიზმის რაობა შედგება სამი ქვეთავისაგან. მასში წარმოდგენილია განსახილველი საკითხის, მისი აქტუალობის და კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიის თეორიული კვლევა და დასაბუთება. კერძოდ, რა კავშირები არსებობს სიტყვით ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის, განხილულია ბგერათა სიმბოლიზმის თეორიები და ფონეტიკური სიმბოლიზმის ძირითადი პრინციპები.

მეორე თავი – ბგერათა სიმბოლიზმი, როგორც ფსიქოლინგვისტური მოვლენა – შედგება 4 ქვეთავისაგან. მასში განხილულია ბგერათა სიმბოლიზმი არა მხოლოდ როგორც ლინგვისტური, არამედ როგორც ფსიქოლინგვისტური მოვლენა, ახსნილია ბგერათა სიმბოლიზმის ბუნება ფიზიკის კანონების მიხედვით და არის მცდელობა აიხნას ბგერათსიმბოლური სიტყვების ფაქტორი. აქვეა მოცემული ბგერათსიმბოლური კომპონენტების აღქმის ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლები, პიქტორალური სიტყვები (ანუ "ბგერწერითი სიტყვები"), მიღებული დასკვნების საფუძველზე შემუშავებულია ახალი ცნება "სუპრაფონემა".

მესამე თავი – ბგერათა სიმბოლიზმის ექსპერიმენტული კვლევა – ეძღვნება ბგერის ფიზიკური ბუნების და ადამიანზე მისი ზემოქმედების აღწერას. ამ თავში წარმოდგენილია ჰიპოთეზა სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეულის შესახებ და შექმნილია ბგერათა სიმბოლიზმის ფუნქციონირების მოდელი. აქვეა კვლევა ორი ენის პრაქტიკულ ფონო-სემანტიკურ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც მიზნად ისახავს – სუპრაფონემის, როგორც სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეულის გამოყოფის კანონზომიერების დამტკიცებას.

მეოთხე თავი – ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობების გამოვლინება და აღქმა – შედგება ოთხი ქვეთავისაგან. მასში განხილულია ბგერათა სიმბოლიზმის ფუნქციონირება, კერძოდ, ბგერათა სიმბოლიზმის როლი საფირმო ნიშნების შერჩევის პროცესსა და მარკეტინგში, ბგერათა სიმბოლიზმი მხატვრულ ლიტერატურასა და თარგმანებში.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

თავი I

ბგერათა სიმბოლიზმის რაობა

§1 კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის, ცხარე დისკუსიისა და პოლემიკის საგანს წარმოადგენს. პრობლემისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მეოცე საუკუნეში და მისი შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ინტენსიურად მიმდინარეობს. ზემოხსენებული პრობლემისადმი ინტერესი განპირობებულია მისი კავშირით ისეთ პირველხარისხოვან პრობლემებთან, როგორიცაა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთკავშირი, მეტყველების წარმოშობა, მეტყველების ფსიქოლოგიური მექანიზმი, ენის და ენობრივი ნიშნის ბუნების რაობა.

სახელდების პრობლემის კვლევა მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ ყოველი თაობა ენას მზა სახით იღებს, ამიტომ იმის გასარკვევად, თუ როგორია სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არსებული კავშირის ბუნება, იძულებულნი ვხდებით უკვე მზა სიტყვის – სახელდების შედეგის მიხედვით ვიმსჯელოთ. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ყოველი თანამედროვე ენა წარმოადგენს ხანგრძლივი განვითარების პროდუქტს და სახეზე გვაქვს ბგერასა და მნიშვნელობას შორის არა პირველადი, არამედ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად სახეცვლილი კავშირი.

აღნიშნული სიძნელე ჩვენს წინაშე მართლაც დგას, თუმცა მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონე შესაძლებლობას გვაძლევს საკითხის გადაწყვეტისას ვიხელმძღვანელოთ არა ზოგადი პრინციპული მოსაზრებებით, არამედ დავეყრდნოთ ემპირიული მეცნიერებების მრავალმნიშვნელოვან მონაცემებს.

მართალია, თანამედროვე ენები ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პოდუქტია, მაგრამ როგორც გვიჩვენებს ენის ენათმეცნიერული და ფსიქოლოგიური კვლევის პრაქტიკა, სხვადასხვა ენების ურთიერთშედარება და სხვა, ემპირიული მეცნიერებების განკარგულებაში არის მრავალი ისეთი მონაპოვარი, რომელსაც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის, ანდა სოსიურის (სოსიური 1933, 35) ტერმინები რომ გამოვიყენოთ, „აღსანიშნსა" და „აღმნიშვნელს" შორის, თვით ადამიანშია. მათ შორის კავშირს – სახელდებას ადამიანი ახორციელებს. ამიტომ გაუმართლებელია პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორი სახით არის ეს კავშირი წარმოდგენილი თვით ადამიანში, როგორ ახდენს ადამიანი სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირებას – სახელდებას. პრობლემის გადაწყვეტისას ფსიქოლოგიის უარყოფა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. კვლევები თანამედროვე ფსიქოლოგიაშიც ინტენსიურად მიმდინარეობს და ექსპერიმენტების შედეგად მიღებული დასკვნებიც საკმაოდ შთამბეჭდავია, რაც საშუალებას გვაძლევს პრობლემა განვიხილოთ კომპლექსურად.

ძველ საბერძნეთში გაცხოველებული დისკუსია წარმოებდა იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს ამა თუ იმ საგნის სახელს, მოცემულ საგანს რატომ ეწოდა ეს სახელი და არა სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მისაზრებები გამოთქვეს ჰერაკლიტემ, დემოკრიტემ, ეპიკურეელებმა, სტოიკოსებმა, სკეპტიკოსებმა და სხვებმა, ხოლო პლატონის დიალოგ "კრატილში" (პლატონი 1931; 75) ეს პრობლემა საკმაოდ დეტალურად არის განხილული. ბერძნების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. დღესაც, საკითხის გადაწყვეტაში შეინიშნება ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც ანტიკურ პერიოდში ასე ჩამოყალიბდა:

1. *სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი არსებითია*; საგანი განსაზღვრავს, თუ რა სახელი დაერქმევა მას, ხოლო რაში

მდგომარეობს ეს კავშირი, ეს სხვადასხვა თეორიის მიერ სხვადასხვანაირად არის გაგებული.

2. *სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი ნებისმიერი, პირობითია.* საგანს სახელი ეწოდა შეთანხმება - დაკანონების გზით.

პლატონის დიალოგ "კრატილში" (პლატონი 1931; 45) საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი სახელდების საკითხის გადაწყვეტის ზემოთ აღნიშნული ორივენაირი ვარიანტი. პირველ მათგანს იცავს კრატილი, მეორეს – ჰერმოგენე. სოკრატე არბიტრის როლში გვევლინება და გამოთქვამს მოსაზრებებს როგორც ერთი, ასევე მეორე თვალსაზრისის შესახებ. მართალია საბოლოოდ არც ერთ მათგანს არ უჭერს მხარს, საკითხს ღიად ტოვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. "კრატილში" ერთმანეთისაგან გამიჯნულია საკუთარ სახელთა, წარმოებულ სიტყვათა შექმნა და თავდაპირველი სახელდება. გმირთა და კაცთა სახელებმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგანაც ადამიანებს სახელებს ხშირად წინაპართა სახელების შესაბამისად არქმევენ; ბევრი სახელი გამოხატავს სახელმდებლის სურვილს და ა. შ. სახელდების ეს ორი სახეობა ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება, თუმცა როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები გვიჩვენებს, მთელი რიგი საერთო სპეციფიურობითაც ხასიათდება.

საგანს, პლატონის აზრით, გარეგან თვისებებთან ერთად საკუთარი არსიც გააჩნია. სწორედ ამ არსის მიბაძვა ხორციელდება ასოებისა და მარცვლების საშუალებით, მხოლოდ არსის მიბაძვის შედეგად მიიღება სახელი. ასე მაგალითად: მოძრაობის გადმოცემა დაეკისრა "r"– ს იმიტომ, რომ, მისი წარმოთქმისას ენა გამუდმებით ირთის და ტრიალებს: "i" –გამოხატავს სვლასა და სწრაფვას; "ph", "ps", "s", "dz" ფშვინიერთა საშუალებით სახელმდებელი ბაძავს და ასახელებს იმას, რაც თავისი ბუნებით დიდად წააგავს ამ ბგერებს (სტიქიებს): ცივს, მდუღარეს, რყევას და ძვრას. "d" და "t" წარმოთქმისას აწვებიან ენას და კუმშავენ მას, ამიტომაც, მათ დაეკისრათ ბორკილისა და დგომის გადმოცემა. "a" –

“დიდს” მიეწერა, “e” – “გრძელს”, ცნების – “მრგვალი” გადმოსაცემად “o” – ს მიმართავენ. ასე და ამრიგად, ასოებითა და მარცვლებით შეიქმნა დანარჩენ საგანთა სახელებიც, შემდეგ კი გადავიდნენ წარმოებულ სიტყვებზე, რომელთაც საფუძვლად დაედო პირველქმნილი სიტყვები.

როგორც ვხედავთ, “კრატილში” გამოთქმული მოსაზრება შორსაა ხმაბაძვის იმ თეორიისაგან, რომლის მიხედვითაც, პირველი სიტყვები ამ სიტყვებით აღნიშნული საგნების მიერ გამოცემული ბგერების წაბაძვას წარმოადგენს.

სტოიკოსთა შეხედულების მიხედვით, თუ საგნები ჩვენში იწვევს სხვადასხვა ასოციაციებს, მაგალითად, “რბილი”, “მაგარი”, ამგვარ სახელებში გამოყენებულია ბგერები, რომლებიც აკუსტიკურად შეესაბამება მნიშვნელობას. მაგალითად, როცა ჩვენ წარმოვთქვამთ სიტყვას “lene” (სირბილე), ის ასევე რბილად ჟღერს; ვინ ვერ ამჩნევს სისასტიკეს თვით სიტყვა “asper” – ში? სირბილე შეიგრძნობა ყურით, როცა წარმოვთქვამთ “voluptas” (ტკბობა), სიმტკიცის შეგრძნება გვეუფლება, როდესაც წარმოვთქვამთ “crux” (ჯვარი); თაფლი (mel) ტკბილი გემოსია და მისი სახელიც სასიამოვნოდ ჟღერს, ხოლო სიტყვა “მწარე” (acer) უსიამოვნო გემოს შეესატყვისება და ა. შ.

პლატონისა და სტოიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებები უფრო ახლოა ფონეტიკური სიმბოლიზმის გავრცელებულ თეორიასთან, ვიდრე იმ გულუბრყვილო თეორიასთან, რომელიც თანამედროვე ლიტერატურაში “ხმაბაძვის თეორიის” სახელით არის ცნობილი.

არანაკლებ გავრცელებულია *შორისდებულების, ანუ წამოძახილების თეორია*, რომელსაც ჯერ კიდევ ეპიკურეელები იცავდნენ. ამ თეორიის მიხედვით, პირველყოფილი ადამიანები, იღებდნენ რა გარკვეულ შთაბეჭდილებებს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, უნებურად გამოსცემდნენ ბგერებს და ეს უნებური წამოძახილები შემდგომ შესატყვისი საგნების სახელებად გადაიქცნენ.

შორისდებულების თეორია გაზიარებულ იქნა მრავალი გამოჩენილი მოაზროვნის მიერ, რომელთა შორის არიან დიდი რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი და ნეოკანტიანელი ფილოსოფოსი ლ.ნუარე

(ნუარე 1925; 64). ნუარეს ენის წარმოშობის ე.წ. შრომითი თეორიის მიხედვით ენა აღმოცენდა რეფლექსური წამოძახილების საფუძველზე, წამოძახილების, რომლებიც თან ახლდა შრომის აქტს დაძაბულობისას ამოსუნთქვის დროს. შრომის პროცესის ეს თანმხლები რეფლექსური წამოძახილები თანდათანობით გადაიქცნენ შრომითი პროცესების სიმბოლოებად, პირველი სიტყვების – ზმნების ფუძეებად. ლ. ნუარეს აზრით მეტყველების წარმოშობის შესახებ თუ გამოვალთ შრომის პროცესში მონაწილე ადამიანების ურთიერთშეძახილებიდან, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ავხსნათ, ჯერ ერთი, პირველი სიტყვების ფუძეების ზმნური ხასიათი.

ხმაბაძვის და შორისდებულის თეორიებს დღესდღეობით ნაკლებ ანგარიშს უწევენ. ჰ. პაული (პაული 1960; 28) და სხვა ავტორები მიუთითებენ, რომ ყველა შორისდებული არ არის ნამდვილი, ბუნებრივი ბგერა, ყველა მათგანი თავისი არსით არ გამომდინარეობს აფექტის მდგომარეობიდან ისე, როგორც სიცილი და ტირილი. შორისდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გვიანი წარმოშობისაა და მათი ხასიათი მომდინარეობს არა ემოციებთან უშუალო კავშირებიდან, არამედ სემანტიკური შუამავალი რგოლის მეშვეობით.

ს. რუბინშტეინის აზრით, ბგერითი წაბაძვის და შორისდებულების თეორიების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ბგერითი მეტყვეელბის აგებულების პრინციპებს. ბგერითი მეტყველება პრინციპში ბგერითი გამოხატვისაგან განსხვავებულ საფუძვლებზეა აგებული. მეტყველებისათვის არსებითია აღნიშვნა და არა საგნის გამოხატვა, იგივე ითქმის ემოციური წამოძახილების (შორისდებულების) თეორიის შესახებაც. შორისდებულები არ ქმნიან მეტყველების საფუძვლებს “და რაც მთავარია, რამდენადაც ისინი უბრალოდ მხოლოდ გამომხატველობითი ბგერითი მოძრაობებია, მათი წარმოშობის ახსნა სიძნელეს არ შეადგენს, მაგრამ ეს არ იქნება მეტყველების ახსნა. აუხსნელი დარჩება, თუ როგორ აღმოცენდა სიტყვა, რომელიც არა მხოლოდ გამომხატველია, არამედ რაღაცასაც აღნიშნავს.” (რუბინშტეინი 1946; 418)

მიუთითებენ, რომ ბგერითი წაბაძვისა და შორისდებულების თეორიები ტიპობრივ ინდივიდუალისტურ თეორიებს წარმოადგენს და "მიუხედავად განსხვავებისა, ამ ორ თეორიას საერთო პრინციპი უდევს საფუძვლად: როგორც ერთის, ისე მეორის მიხედვით პირველ სიტყვებს ცალკეული პირები ქმნიან. სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანთა ჯგუფი იმისათვის, რომ გაიგონ "გუ-გუ" და დაუკავშირო იგი გარკვეულ ფრინველს, ან იმისათვის, რომ დაიყვირო შიშისაგან, ან აუტანელი ტკივილისაგან" (ჩიქობავა 1952; 126).

ბგერითი წაბაძვის და შორისდებულის თეორიების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისინი არ ათვალისწინებენ ბგერითი მეტყველების აგებულების პრინციპებს.

შორისდებულები არ ქმნიან მეტყველების საფუძვლებს და რაც მთავარია, რამდენადაც ისინი უბრალოდ გამომხატველობითი ბგერითი მოძრაობებია, მათი წარმოშობის ახსნა სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს არ არის მეტყველების ახსნა.

დელაკრუას აზრით, ხმაბაძვის თეორია განვლილი ეტაპია მეცნიერებაში. დღეს უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი ნატურალურ სიმბოლიკაზე. ცდა, რომ ბუნების თვისებების დახმარებით აიხსნას ბგერები და მნიშვნელობა, მიზანს ვერ აღწევს. შესაძლოა დავუშვათ, რომ ბგერას შეუძლია გვემსახუროს აღმნიშვნელად და სახელწოდებად, როდესაც მაგალითად ცხოველის ყვირილის იმიტაციას ახდენს, მაგრამ სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე ცნება გამოიხატება სხვადასხვა ბგერით, გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ, ხმაბაძვით სიტყვებს აქვთ ძლიერ სუბიექტური ხასიათი; ისინი იცვლებიან ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით და ექსპრესიულ ღირებულებას მხოლოდ მნიშვნელობის წყალობით იძენენ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხშირად ხმაბაძვისა და შორისდებულების თეორიების კატეგორიას აკუთვნებენ ისეთ თეორიებს, რომელთა მიმართაც აღნიშნული კრიტიკული შენიშვნების საკმაო ნაწილი დაუმსახურებელია, მაგრამ ამ საკითხის განხილვა ამჟამად ჩვენს ამოცანებს სცილდება. მით უმეტეს, რომ ეს თეორიები დღეისათვის მეცნიერებაში უკვე განვლილ ეტაპად არის მიჩნეული და თუკი რაიმე არის მათში ღირებული, მათ

თავიანთი ასახვა უკვე ჰპოვეს უფრო გვიანდელ თეორიებში, რომლებიც ექსპერიმენტული ძიების მასალებზე დაყრდნობით იქნა წამოყენებული და რომელთა შესახებაც ჩვენ შედმგომ გვექნება მსჯელობა.

ზოგიერთი ავტორი ითვალისწინებს რა, რომ თანამედროვე ენების სიტყვათა დიდ უმრავლესობაში არ იგრძნობა მათი ხმაბაძვითი ან შორისდებულისეული წარმოშობა, საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტილებას გვთავაზობს. ასე მაგალითად, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის გ. ლეიბნიცის (ლეიბნიცი 1936; 245) მიხედვით, არსებობენ გვიანი წარმოშობის – "ნაწარმოები ენები" და არსებობს პირველადი – "ფუძისეული" ენა, რომლისგანაც წარმოიშვა ყველა "ნაწარმოები ენა". პირველადი, "ფუძისეული" ენების აღმოცენების საკითხი უკავშირდება მეტყველების წარმოშობას, ხოლო "ნაწარმოები ენების" ისტორია ცალკეული ენების აღმოცენების ისტორიაა. ხმაბაძვას ადგილი ჰქონდა ფუძისეულ ენაში. ნაწარმოები ენებიც ავითარებდნენ ხმაბაძვის პრინციპს იმისდა მიხევით, თუ რომელ ენაში უკეთ ვითარდებოდა ფუძისეული ენის პრინციპები. იმ მასშტაბებით, რა მასშტაბებითაც ნაწარმოები ენები სცილდებოდა ფუძისეულ ენას, მათ ახასიათებდა სულ უფრო და უფრო ნაკლები ხმაბაძვითობა და ხდებოდა მეტად სიმბოლური" (ლეიბნიცი 1936; 245).

საკითხის ანალოგიური გადაწყვეტა გვხვდება მეტყველების წარმოშობის თეორიაში დელაკრუასთანაც.

დელაკრუას მიხედვით, მეტყველების წარმოშობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ემოციის გამოხატვა, სოციალური გარემო და ინტელექტი. მეტყველება სათავეს ემოციებიდან იღებს, ყოველ შემთხვევაში, ამ მასალის დიდ ნაწილს – ბგერებს, რომლებისგანაც სიტყვები შედგება, და ჟესტებს, რომლებიც მეტყველების აქტს ერთვის თან. მეტყველება თავის საწყის ეტაპზე ემოციურია; ემოცია არის ბუნებრივი მეტყველება (დელაკრუა 1924; 78). ემოციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიფუზურ ირადიაციას წარმოადგენს, რომელიც გამღიზიანებელზე უშუალოდ იძლევა შესატყვის პასუხს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემოციის გამომსახველობითი მხარე არა მარტო უშუალო პასუხია გამღიზიანებელზე.

ემოცია დიფუზურ ირადიაციას წარმოადგენს, რომელიც მთელ ორგანიზმზე ვრცელდება და მის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა გავლენას ახდენს. ემოცია ბუნებრივი მეტყველებაა, მაგრამ ნამდვილი მეტყველება იმ მომენტიდან იწყება, როდესაც სუბიექტს შეუძლია მთლიანი რეპროდუქციისაგან გათავისუფლდეს და ერთი ელემენტისაგან მთლიანობის ნიშანი შექმნას. ამისათვის კი აუცილებელია საზოგადოებრივი გარემო. ჩვენი მეტყველება გავლენას ახდენს სხვების ცნობიერებაზე, ის ინტერპრეტირებული და გაგებულია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შედგება სამეტყველო აქტი. მეტყველება, ისევე როგორც მიმიკა, გვიბრუნდება სხვაზე თავისი არეკვლის მეოხებით. ამიტომაც, დელაკრუა ხაზგასმით მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მეტყველების აუცილებელი გარემოა, მეტყველება მხოლოდ კოლექტივში, სოციალური პირობების გამო შეიძლება გამოვლინდეს. კომუნიკაციის მოთხოვნილება, სოციალური კონტაქტი, სხვაზე ზემოქმედების საჭიროება მეტყველების აუცილებელი პირობაა. მეტყველება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ინდივიდი მოცემულ აქტს შეთანხმებით გარკვეულ მნიშვნელობას მიაწერს და ამ აქტს ისინი ურთიერთობის მიზნით გამოიყენებენ. მეტყველება იწყება მაშინ, როდესაც ნიშანი ბუნებრივ გამოსახვას ცვლის, ხოლო ინტენცია – მექანიკურ განტვირთვას. საზოგადოებრივი ცხოვრება ნიშნად გარდაქმნის იმას, რაც მხოლოდ ბუნებრივი მოძრაობა და ძახილი იყო. სწორედ ამის შედეგად გადაიქცევა გრძნობების გამოხატვა მეტყველებად.

მეტყველების წარმოშობისათვის აუცილებელია აზროვნება. იმისათვის, რომ ნიშანი არსებობდეს, აუცილებელია ნიშანთა სისტემა, რომელიც ცნებებსა და მათ შორის მიმართებებზეა დაფუძნებული. საგნებს შორის მიმართებების მონახვა აზროვნებაა. ამიტომ მეტყველებას არ შეუძლია თავი დააღწიოს აზროვნებას, აზროვნება კი აუცილებლად მიაღწევს მეტყველებას. მეტყველების წარმოშობას წინ უსწრებს აზროვნების ინტუიციური ანტიციპაციის საფეხური. აზროვნების შინაგანი მოთხოვნა, რომელიც ფსიქიკურ ნიშანს აღწევს, ხვდება კომუნიკაციის საჭიროების გარეგან მოთხოვნას, რომელიც სოციალურ ნიშანს აღწევს. აი, ამ სოციალური და ფსიქიკური ნიშნის კავშირით იქმნება მეტყველება.

დელაკრუას მიხედვით, მართალია მეტყველება პირველ სიტყვებს ნახულობს ჯერ კიდევ საგნებთან მჭიდრო მიმართებებით დაკავშირებულ აფექტურ გამომხატველობით მოძრაობებში, მაგრამ იგი ჩქარა გადალახავს ამ საწყის კავშირებს და პირობითობასა და ნებისმიერობას მიაღწევს. იგი თანდათანობით გაფაქიზდება და გართულდება, რათა ნიშანთა სისტემა ააგოს.

მეტყველებაში წარმოებს ძნელად წარმოსათქმელი კომბინაციების ელიმინაცია. ბევრი თანამედროვე პრიმიტიული ენა გადატვირთულია ძნელად წარმოსათქმელი ბგერებით, მისი აზრით, პრიმიტიულ ენას აქვს ძლიერ მუსიკალური აქცენტი და პირველადი მეტყველება გაცილებით მუსიკალური და გამომსახველობითია. ცივილიზაცია თითქოს ადუნებს გრძნობებს და შესაბამისად ასეთი ენები ხასიათდება გამომსახველობის ნაკლები ხარისხით.

ჩვენი აზრით დელაკრუას თეორიაში არასწორად არის გაგებული

- აზროვნებისა და მეტყველების როლი, მათი ფუნქცია.
- აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხი.
- კომუნიკაციის როლი.

შეუძლებელია დავეთანხმოთ დელაკრუას იმაში, რომ პირველადი ლექსიკა მხოლოდ ემოციების ურთიერთგაზიარებას, ურთიერთგაგებინებას ემსახურებოდა, ისევე როგორც ძნელია გაიზიარო მისი დაშვება მეტყველების აღმოცენებამდე აზროვნების საკმაოდ მაღალი დონის და ასევე საკმაოდ მაღალი ფორმების კომუნიკაციის არსებობის შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეტყველების თანმხლებ კომპონენტებს – მიმიკასა და ჟესტიკულაციას. ამ უკანასკნელებზე ყურადღება განსაკუთრებით ლ. გაიგერმა გაამახვილა, ხოლო ვ. ვუნდტი (ვუნდტი 1913; 76) პირველად შეეცადა შეექმნა ხელის (ჟესტის) ენის ფსიქოლოგიური თეორია, თუმცა ხმაბაძვის, შორისდებულების და ჟესტის ენის თეორიები, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საკითხის კვლევაში უკვე განვლილ ეტაპად არის მიჩნეული, ამიტომ მათი საფუძვლიანი განხილვა უმართებულოდ მიგვაჩნია.

სახელდების საკითხის მეორენაირი გადაწყვეტა საწყისს ასევე ანტიკური საბერძნეთიდან იღებს. ამ თეორიის მიხედვით, სახელისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირება ნებისმიერი, პირობითია. ჯერ კიდევ სოფისტი ჰერმოგენე ამტკიცებდა, რომ ვაშლს შეიძლება ქლიავი ეწოდოს და ქლიავს – ვაშლი, თუკი ჩვენ ამაში შევთანხმდებითო. სკეპტიკოსები, აკრიტიკებდნენ რა სტოიკოსების ხმაბაძვის თეორიას, მიუთითებდნენ, რომ სიტყვამ თავისი მნიშვნელობა ნებისმიერად, შემთხვევითად მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ხალხს ერთმანეთისა უნდა ესმოდეს.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშიც საკმაოდ პოპულარული იყო. ჯ. ლოკი (ლოკი 1960; 43) და სხვები, ებრძოდნენ რა ენის წარმოშობის შესახებ ბიბლიურ მითს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ურთიერთობის აუცილებლობამ აიძულა ადამიანები, გამოეგონებინათ ენა. ჯ. ლოკი წერდა: "ყოვლად დაუშვებელია ვეძებოთ რაიმე სახის ბუნებრივი კავშირი ცალკეულ ბგერებსა და ცნებებს შორის. ასეთ შემთხვევაში ყველა ადამიანი ილაპარაკებდა ერთსა და იმავე ენაზე"(ლოკი 1960:45).

დაახლოებით იმავე აზრს იზიარებენ ჟ. რუსო, ე. კონდილიაკი, ე. მოპერტიუ, ჟ. კონდორსე და სხვები – ენის წარმოშობა ხელშეკრულების, წინასწარი მოფიქრებისა და შეთანხმების გზით მოხდა; ენის წარმოშობაში ადამიანთა შეგნებულმა, მიზანდასახულმა მოქმედებამ შეასრულა დიდი როლი.

სახელდების პრობლემის მეორენაირმა გადაწყვეტამ, ასახვა ჰპოვა *ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიაში.*

ენობრივი ნიშნის ბუნების საკითხში თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის აზრთა პრინციპული სხვადასხვაობაა. ზოგჯერ ენობრივი ნიშანი გაგებულია, როგორც მხოლოდ ბგერითი მასალისაგან შედგენილი ენობრივი ელემენტი, რომელიც, ფ. დე სოსიურის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, წარმოადგენს მხოლოდ აღმნიშვნელს. ამ თვალსაზრისის მიხედვით "აღმნიშვნელი უდრის ნიშანს, "აღმნიშვნელი" და "ნიშანი" სინონიმებია" (სოსიური 1933: 35) . უფრო ხშირად კი ენობრივი ნიშანი გაგებულია, როგორც აღსანიშნსა და აღმნიშვნელის, სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობის ერთობლიობა.

როგორც ვხედავთ, ერთმანეთს უპირისპირდება სახელდების საკითხის ორგვარი გადაწყვეტა:

1. <u>აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირება კანონზომიერი ხასიათისაა, იგი მოტივირებულია, მათ შორის კავშირი არ არის შემთხვევითი, ნებისმიერი, მოცემული აღსანიშნის აღმნიშვნელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება.</u>
2. <u>აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირება არ არის მოტივირებული, ეს კავშირი შემთხვევითია, პირობითია, ნებისმიერია, მოცემული აღსანიშნის აღმნიშვნელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი გამოდგება.</u>

პირველნაირი გადაწყვეტა ემყარება ფაქტებს, რომელთა სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. სახელდობრ, ყველა ენაში საკმაო რაოდენობით არსებობა იმ სიტყვებისა, რომლებიც შეიცავენ *პიქტორალურ ელემენტებს*, ბუნებრივი ენების სხვადასხვა კატეგორიის სიტყვებში ფონემათა სხვადასხვაგვარი განაწილება, მრავალმხრივ და მრავალრიცხვოვან ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგები და სხვა.

მეორენაირი გადაწყვეტა ემყარება მრავალენიანობის ფაქტს – ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება და ასე შემდეგ. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირების საკითხის ორი ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტის სასარგებლოდ წარმოდგენილი არგუმენტები არც უპირისპირდებიან და არც გამორიცხავენ ერთმანეთს. ეს გარემოება ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იმითაა განპირობებული, რომ მოცემულ შემთხვევებში საკითხი ორი სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილება: საკითხის პირველნაირი გადაწყვეტა არის საკითხის ემპირიული განხილვის, ხოლო მეორენაირი – საკითხის ფილოსოფიურ, გნოსეოლოგიურ, ლოგიკურ ასპექტში განხილვის შედეგი. მართალია, აღნიშნული თვალსაზრისით განხილვა სავსებით კანონიერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელდების პრობლემის ორივენაირი გადაწყვეტა ასევე მართებული და მისაღებია. ეს არ ნიშნავს, რომ მართებულია მტკიცება: თუ საკითხს ემპირიული თვალსაზრისით მივუდგებით, კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არ არის პირობითი, არ არის ნებისმიერი, არ არის შემთხვევითი, მოტივირებულია, კანონზომიერია,

აღსანიშნი ნებისმიერი ბგერათა კომპლექსით არ შეიძლება იყოს აღნიშნული.

ავტორები, რომლებიც საკითხის ორივენაირ გადაწყვეტას კანონიერად თვლიან, არ ითვალისწინებენ, რომ "მეცნერებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შესწავლის ობიექტით და არა თვალსაზრისით" და რომ ორ სხვადასხვა მეცნიერებას არ შეუძლია შეისწავლოს ერთი და იგივე კანონზომიერება.

ზემოაღნიშნული, ცხადია არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა მეცნიერება სწავლობდეს სინამდვილის ერთსა და იმავე ფაქტს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა მხარეს და მაშასადამე, სხვადასხვაა მათი კვლევის საგანი. *ფილოსოფიას აინტერესებს აღმნიშვნელისა და აღსანიშნის კავშირის გნოსეოლოგიერი მხარე*, სახელდობრ, არის თუ არა აღმნიშვნელი აღსანიშნის ასახვა, არის თუ არა მათ შორის ორგანული კავშირი, ამასთან, მას აინტერესებს საკითხის ობიექტური მხარე – აღსანიშნი და აღმნიშვნელი თავისთავად. აქედან გამომდინარე აღსანიშნი და აღმნიშვნელი განიხილება უშუალოდ ერთმანეთთან მიმართებაში, ხდება ამ კავშირის აბსტრაჰირება ადამიანისაგან, რომელშიაც ას კავშირი არსებობს და რომელიც ამ კავშირს ამყარებს.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის გნოსეოლოგიურ, ლოგიკურ ასპექტში განხილვისას ირკვევა, რომ "სიტყვა, როგორც ბგერათა კომპლექსი, არ წარმოადგენს საგნების ასლს, არ იმყოფება ორგანულ კავშირში ობიექტური სამყაროს თვისებებთან ", რომ აღმნიშვნელის აღსანიშნთან დაკავშირება ორგანული კავშირით არ არის დეტერმინებული. მეტიც, ბგერათა კომპლექსი და საგანი ჰეტეროგენული მოვლენებია და თუ მათ ადამიანისაგნ აბსტრაჰირებულად განვიხილავთ, საერთოდ მათ შორის არანაირი კავშირი არ ასებობს.

აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის გნოსეოლოგიურ ასპექტში განხილვა საჭირო და აუცილებელია მისი პრინციპული თეორიული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობის გამო, მაგრამ, როცა გნოსეოლოგიური თვალსაზრისი გადაინაცვლებს მეტყველების ფსიქოლოგიასა და ენათმეცნიერებაში, ხან ფილოსოფიური

არგუმენტაციით, ხან მის გარეშე, თავს იჩენს ფილოსოფიის, ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის საგანთა აღრევა.

საქმე იმაშია, რომ ფოლოსოფიას აინტერესებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნება ობიექტური თვალსაზრისით, ხოლო თუ კავშირის ამ მხარეს განვიხილავთ, მაშინ მისი ბუნება მხოლოდ უარყოფითი პრედიკატებით ხასიათდება: აღმნიშვნელი არ წარმოადგენს აღსანიშნის ასახვას, აღმნიშვნელის აღსანიშნთან დაკავშირება ორგანული კავშირებით არ არის დეტერმინებული. საქმის ვითარება არ იცვლება იმაზე მითითებით, რომ საკითხი ფილოსოფიურ ან ლოგიკურ ასპექტში განიხილება. აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი მხოლოდ ინდივიდშია მოცემული. ”ეს რომ ასე არ იყოს, აღსანიშნსა და აღმნიშვნელის დაკავშირება ადამიანის გარეშე იწარმოებდა, ე. ი. მნიშვნელობა მატერიალური სინამდვილის, გარე სამყაროს ფაქტი აღმოჩნდებოდა”, – სამართლიანად შენიშნავს ა. ჩიქობავა (ჩიქობავა 1952: 154). ადამიანის, ინდივიდის გარეშე მათ შორის კავშირი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულის გამო მართებული უნდა იყოს სახელდების მეორენაირი გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია, ნებისმიერია, მოცემული მნიშვნელობის აღსანიშნავად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი შეიძლება გამოვიყენოთ, განვიხილოთ, როგორც სახელსა და მნიშვნელობას შორის ადამიანში მოცემული კავშირის დახასიათება და ვნახოთ, რამდენად მართებულია იგი.

1. პრობლემის მეორენაირი გადაწყვეტის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს მრავალენიანობის ფაქტი – ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის შემთხვევითია, ნებისმიერია.

მაშასადამე, მრავალენიანობის მიზეზი არის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის არამოტივირებულობა, მისი ნებისმიერობა. მრავალენიანობა არის ამ კავშირის ნებისმიერობის შედეგი. როგორც ვხედავთ, მრავალენიანობის ფაქტის, როგორც შედეგის, არსებობის საფუძველზე კეთდება დასკვნა მისი მიზეზის – აღსანიშნისა და

აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის შესახებ, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ დასკვნა, ლოგიკური თვალსაზრისით მოკლებულია საკმაო საფუძველს, თუმცა ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ დებულება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის ნებისმიერობის შესახებ, აუცილებლად მცდარია. უბრალოდ შევეცდებით, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ.

ე. წ. წარმოებული სიტყვები სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სიტყვებიდან არიან წარმოებულნი. ასე მაგალითად, ფრინველ "სტვენიას" სახელი ქართულში წარმოდგება სიტყვიდან "სტვენა", იმავე ფრინველის სახელი რუსულ ენაში ნაწარმოებია სიტყვიდან "თოვლი" (снегирь), სერბიულ ენაში სიტყვიდან – ზამთარი (зимовка), გერმანულ ენაში Gimpel წარმოებულია სიტყვიდან "ხტუნვა"(gümbel), ფრანგული სახელი "le bouvreuil" ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან "bovariolus" – მწყემსი. ამ ფრინველის ფრანგული სახელი "piovine" კი ვარაუდობენ, რომ მომდინარეობს ტყის ყაყაჩოს (პეონი) სახელიდან, მეცნიერული (ლათინური) სახელწოდება Pirrula (vulgaris) წითელი ფერის ბერძნული სახელიდან არის წარმოებულიდა სხვა (1). ფრინველი ერთი და იგივეა, სხვადასხვა ენაში კი მისი სახელი სხვადასხვა სიტყვებიდან არის წარმოებული, თუმცა სამოტივაციო სიტყვების სხვადასხვაობის საფუძველზე ალბათ ვერავინ გააკეთებს დასკვნას, რომ სამოტივაციო სიტყვის შერჩევა არ არის განსაზღვრული სახელსადები შინაარსის სპეციფიკით, რომ მოცემული მნიშვნელობის სახელის საწარმოებლად ნებისმიერი სიტყვის ბგერითი მხარე შეიძლება იყოს გამოყენებული, რომ სამოტივაციო სიტყვის როლის შესრულება ნებისმიერ სიტყვას შეუძლია. ასეთ დასკვნას არავინ გააკეთებს, რადგან ცნობილია, რომ წარმოებული სიტყვა აღნიშნავს არა მხოლოდ გარკვეულ მნიშვნელობას, არამედ ასევე ასახავს ამ მნიშვნელობის სხვა მნიშვნელობებთან მიმართებასაც.

"ყოველი ენა, – წერს ა. ჩიქობავა, – ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით ჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში – სხვა... აღსანიშნთა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან – სხვაგვარად, ... ზოგჯერ

თავისებურება ისე შორს მიდის რომ ერთი ენის გამოთქმა პირდაპირ არც ითარგმნის" (ჩიქობავა 1945: 185–186).

დებულება: ყოველი ენა მსოფლმხედველობაა, მართებულია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურ სისტემაში, სინამდვილე (აღსანიშნი) მეტ-ნაკლებობის ნაირ – ნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული). ყოველი ენა მეორის თვალსაზრისით, მეტისმეტად ნებისმიერია თავის კლასიფიკაციებში. ის, რაც ერთ ენაში წარმოგვიდგება ერთიან მარტივ იდეად, მეორეში შეიძლება იდეების მთელი სერიით იყოს წარმოდგენილი.

2. თეზისის – სიტყვის ბგერით მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის კავშირი არ არის მოტივირებული, ნებისმიერია, პირობითია, დასაბუთების მიზნით მიუთითებენ, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება და მაგალითად მოჰყავთ სიტყვა მაგიდა – რუსულად, ფრანგულად, იტალიურად, ინგლისურად და გერმანულად.

დასაბუთების ეს ფორმა ლოგიკურ შეცდომას შეიცავს, რომელსაც თეზისის იგნორირებას, *ignoratio elenchi* – ს უწოდებენ. ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, არ ასაბუთებს თეზისს – კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის ნებისმიერია, რადგანაც სხვადასხვა სახელით აღინიშნება არა ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ, ერთი და იგივე საგანი.

3. როდესაც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ ნიშნის ნებისმიერობის ძირითადი პრინციპი ხელს არ გვიშლის, ყოველ ენაში განვასხვავოთ ის, რაც საფუძველშივე ნებისმიერია, ე. ი. უმოტივაციოა, იმისგან, რაც მხოლოდ შედარებითაა ნებისმიერი. ნიშანთა მხოლოდ ნაწილია აბსოლუტურად ნებისმიერი: სხვებს კი ისეთი ნიშნები გააჩნიათ, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ისინი ნებისმიერობის სხვადასხვა საფეხურს. ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით მოტივირებული. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ენის პირველადი, ძირითადი მასალა არაა მოტივირებული; ამითაა შეპირობებული ენობრივი

ნიშნის ნებისმიერი ხასიათი ფ. დე სოსიურის მიხედვით (სოსიური 1933: 127).

ესე იგი აბსოლუტურად ნებისმიერი მხოლოდ ენის პირველადი, ძირითადი მასალაა და ლექსიკის უმეტესი ნაწილი კი – შედარებით ნებისმიერი.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობა, არამოტივირებულობა წარმოებული სიტყვების მაგალითზე ვერ დასაბუთდება, ამიტომ ასახელებენ ხოლმე ისეთ სიტყვებს, როგორიცაა "ხარი" და სხვა, მაგრამ ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში სიტყვა, რომელიც სხვა სიტყვიდან იყო წარმოებული, განიცდის დეეტიმოლოგიზაციას და იკარგება ის სემანტიკური კავშირები, რომლითაც ის შექმნის დროს ხასიათდებოდა. ამის გამო ამა თუ იმ სიტყვის ეტიმოლოგიური ძირების დადგენა დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული და ძალიან ხშირად შეუძლებელიც. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეისთვის ძნელია რომელიმე სიტყვაზე ვთქვათ, რომ მას არ განუცდია დეეტიმოლოგიზაცია.

ძნელია დავასახელოთ რომელიმე ისეთი სიტყვა, რომლის მიმართაც შეიძლებოდა დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ის სხვა სიტყვიდან არ არის წარმოებული, რომ ის თავდაპირველი ფუძისეული სიტყვაა.

4. სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობის ურთიერთკავშირის ნებისმიერობის, არამოტივირებულობის, პირობითობის სასარგებლოდ ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე იმ გარემოებაზე, რომ სახელი – ბგერათა კომპლექსი – არ ასახავს ამ სახელით აღნიშნულ სინამდვილის მოვლენებს, საგნებს.

"ყოველ ენაში, – წერს ბ. ა. სერებრენიკოვი (სერებრენიკოვი 1950:247), ბგერათა კომპლექსი უკავშირდება მხოლოდ ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას, მაგრამ ეს არ არის საგნებისა და მოვლენების ნიშნებისა და თვისებების ასახვა... ბგერათა კომპლექსი, გარდა უმნიშვნელო რაოდენობის ხმაბაძვითი სიტყვებისა, არსად არ არის მოტივირებული იმით, რომ ის რაიმე სახით ასახავდეს მის მიერ აღნიშნულ საგანს". სიტყვასა და საგანს შორის ასეთი ორგანული შესატყვისობა რომ არსებულიყო, ე. ი. სიტყვები რომ საგნებს ასახავდნენ, მაშინ ყველა ენა

ლექსიკურად ერთნაირი იქნებოდა, რადგანაც სიტყვა უშუალოდ გამოხატავდა საგნებს ან მოვლენებს.

ყოველი სიტყვა თავისი იერით რომ ასახავდეს საგნების ბუნებრივ თვისებებს, სიტყვა ვერ შეძლებდა ყოფილიყო განზოგადება, რადგანაც ყოველი საგანი სპეციფიურად განსხვავებულია სხვებისგან, სიტყვას უნდა აესახა ყოველი საგნის სპეციფიკა, ხოლო განმაზოგადებელი სიტყვები არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ადგილი არ ექნებოდა სიტყვის მნიშვნელობის გადატანას, არც მნიშვნელობის შევიწროვებას ან გაფართოებას.

როგორც ვნახეთ, არც ერთი აღნიშნული არგუმენტთაგანი ცალცალკე აღებული და ერთად, არ იძლევა საკმარის ლოგიკურ საფუძველს, რომ ვამტკიცოთ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის ნებისმიერობა. ამ არგუმენტების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა ლოგიკური თვალსაზრისით არ არის მართებული:

1. მოცემული მნიშვნელობის აღსანიშნად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიტყვის ბგერითი გარსის კონსტრუირება ხდება არა ნებისმიერი ბგერებიდან, არამედ გარკვეული ენის ბგერებისაგან, რომლებიც მის ფონოლოგიურ სისტემას ქმნიან და ამიტომ იმყოფებიან გარკვეულ ურთიერთმიმართებაში როგორც ერთმანეთთან, ასევე ენის სხვა სტრუქტურულ ელემენტებთან. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სიტყვის ბგერითი გარსი ჩვენთვის არ წარმოადგენს მონოლითურ და ჰომოგენურ წარმონაქმნს. ჩვენ მათში გამოვყოფთ ბგერათა კომპლექსებს, რომლებსაც ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც სიტყვის ცალკეულ კომპონენტებს (ფესვი, ფუძე, დაბოლოება და სხვა) და რომლებსაც, ყოველ შემთხვევაში თავის ნაწილში (პრეფიქსი, სუფიქსი, ფლექსია) მკაცრად განსაზღვრული ბგერითი სახე აქვთ. ეს კი ახალი მხრიდან აპირობებს სიტყვის ბგერით მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულებას, რადგანაც ამ მნიშვნელობის ხასიათისდა მიხედვით (ე. ი. გარკვეული მნიშვნელობის სიტყვების მიკუთვნება სახელების ანდა ზმნების რიცხვისადმი) სიტყვამ შეიძლება მიიღოს ფლექსიის, პრეფიქსის ანდა სუფიქსის სახით (ფლექსიურ ანდა აგლუტინაციურ ენებში) მკაცრად განსაზღვრული ბგერითი კომპლექსები.

2. მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარების შედეგად ენა სულ ახალ–ახალი ტერმინებითა და სიტყვებით ივსება. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, “ხელოვნური” სიტყვების შექმნა ძალიან იშვიათი მოვლენაა. ასეთი სიტყვები მსოფლიოს ყოველ ენაში ერთ ათეულს არ აღემატება და ზოგიერთი მათგანის ხელოვნურობა სადავოდაც კია გადაქცეული. თუ მოცემული მნიშვნელობის აღსანიშნად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი გამოდგება, როგორც სოსიური მიუთითებს და მის შემდგომ მრავალი ენათმეცნიერი იზიარებს ამ აზრს, მაშინ გაუგებარია ენებში ე. წ. ხელოვნური სიტყვების ესოდენ მცირე რაოდენობით არსებობა, გაუგებარია, რატომაა, რომ ენები ძირითადად ვითარდებიან საკუთარი ელემენტების გარდაქმნის ხარჯზე და არა ახლის შექმნის გზით.

ფრანგული სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ჟ. ვანდრიესი (ვანდრიესი 1937:28–29), ისევე, როგორც ამ სკოლის ფუძემდებელი სოსიური, იზიარებს მოსაზრებას, რომ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთკავშირი ნებისმიერია, რომ ნებისმიერი ბგერათა კომპლექსით ნებისმიერი აღსანიშნის აღნიშვნაა შესაძლებელი. ამის მიუხედავად, იგი იძულებულია აღიაროს, რომ: “ძნელია მათი (სიტყვების) ხელოვნური შექმნა. ახალი სიტყვების შემოტანა ენაში ურთულესი პროცესია და საერთოდ წარმოუდგენელია სიტყვათწარმოება და სახელდება სიტყვათწარმოების ჩვეულებრივი ხერხების გარეშე. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არის რაღაც, რაც არჩევანს წინასწარ განსაზღვრავს”.

ასეთ სირთულეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ სახელსა და მიშვნელობას შორის კავშირი ნებისმიერია, ისევე, როგორც არ უნდა არსებობდეს “რაღაც, რაც არჩევანს წინასწარ განსაზღვრავს”.

ენაში ახალი სიტყვების შემოტანა რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული და მხოლოდ გაგებინების სირთულე – სიადვილე ვერ გადაწყვეტს სიტყვა იქნება თუ არა სანქციონირებული ენობრივი კოლექტივის წევრების მიერ. ხშირად მშობლიური ენის სიტყვებიდან წარმოებული “ადვილად გასაგები” სიტყვა უარიყოფა და მის ნაცვლად ენაში მკვიდრდება უცხო ენის “არაფრისმთქმელი” სიტყვა. ზოგჯერ უკვე დამკვიდრებული, ენობრივი კოლექტივის მიერ სანქციონირებული სიტყვა

იცვლება ახლით, როგორც ამას ადგილი აქვს მაგალითად ევფემიზმისა და ტაბუს შემთხვევაში. ზოგჯერ ძველი, უარყოფილი სიტყვა იმავე ფუძიდან არის ნაწარმოები, რომლიდანაც ახალი სიტყვა, განსხავება მხოლოდ მაწარმოებელ სუფიქსებშია, თუმცა ორივე სიტყვა სიტყვათწარმოების წესების თვალსაზრისით სავსებით მართებული და კანონიერია.

მაშასადამე, საპირისპიროდ ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის თეორიისა, ენის ახალი სიტყვებით შევსების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელთა შერჩევისას, ყოველთვის არის რაღაც, რაც ჩვენს არჩევანს წინასწარ განსაზღვრავს (ეს დასტურდება ნეიმინგის პროცესშიც, ამ პროცესს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ). სახელდებისას ყოველთვის დგას საკითხი, სახელის უკეთეს–უარესობის შესახებ, ყოველთვის არის რაღაც, რაც შეუძლებელს ხდის ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი ნებისმიერი აღსანიშნის სახელად იქნას გამოყენებული.

§2 ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიები

როგორც უკვე ავღნიშნეთ შესავალში, ფონეტიკური სიმბოლიზმის ტრადიციული თეორიის მიხედვით არსებობს შინაგანი შესატყვისობა ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის, გარკვეული ბგერები გარკვეულ მნიშვნელობებზე მიუთითებენ.

ყველა ავტორი ფონეტიკურ სიმბოლიზმს განიხილავს, როგორც დესკრიპციულ ცნებას, რომელიც თავის მხრივ ახსნასა და მისი განსმსაზღვრელი .მექანიზმის ჩვენებას საჭიროებს, მაგრამ თუ ავტორთა უმრავლესობა ერთსულოვნებას იჩენს იმაში, რომ მიღებული შედეგები ფონეტიკური სიმბოლიზმის გამოვლინებად მიიჩნიოს, მისი განმსაზღვრელი მექანიზმის საკითხში მსგავსი ერთსულოვნება არ შეინიშნება. ფონეტიკური სიმბოლიზმის მექანიზმის საკითხში ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას.

ე. სეპირი (სეპირი 1929; 49) გადაჭრით ვერ ამბობს, რით არის განპირობებული ცდებში გამოვლენილი სიმბოლიზმი და საერთოდ, როგორც მიუთითებს, ტერმინს – *ფონეტიკური სიმბოლიზმი*, იყენებს უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო. მას შესაძლებლად მიაჩნია ფონეტიკური სიმბოლიზმის საფუძველი აკუსტიკური ხასიათისა იყოს; – შესაძლოა გარკვეული ხმოვნების შინაგანი მოცულობა არის უფრო დიდი, ვიდრე სხვების – მიუთითებს იგი. მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე, რომ, ფონეტიკური სიმბოლიზმი კინესთეტიკური ფაქტორებით იყოს განპირობებული – შესაძლოა ჩვენ ქვეცნობიერად ვგრძნობდეთ, რომ ფონეტიკური სიმბოლიზმი ენის პოზიციასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, “i”–ს შემთხვევაში ენა მაღლა არის სასასთან და ჰაერის რხევადი ნაკადი გადის ვიწრო სარეზონანსო არეში; “a” – ს შემთხვევაში კი პირიქით, ენა ძლიერ დაბლაა დაწეული და გაწეულია უკან, რის გამოც ჰაერის რხევადი ნაკადი გადის უფრო ფართო სარეზონანსო არეში. სეპირის მიხედვით, ცდაში დადასტურებული სიმბოლიზმი

არასოციალიზირებული სიმბოლიზმია და მისი ახსნა შეუძლებელია ფუნქციური ენობრივი ფაქტორებით.

ს. ნიუმენის (ნიუმენი 1933; 87) მიხედვით, ფონეტიკური სიმბოლიზმი და, მაშასადამე, ექსპერიმენტებში დადგენილი სიმბოლური სკალაც, განპირობებულია ისეთი მექანიკური ფაქტორებით, როგორიცაა საარტიკულაციო აპარატის პოზიცია, აკუსტიკური რეზონანსის სიხშირე, არტიკულაციისას პირის ღრუს ზომა, ფონემის ვოკალური სიგრძე, თანხმოვნის ჟღერადობა და ფონეტიკური სტრუქტურა. სიმბოლიზმის სხვადასხვაობაც ასევე ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. ასე მაგალითად, ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ფონემის ვოკალური სიგრძე და მისი წარმოთქმისას პირის ღრუს ზომა, ძირითადი ფაქტორებია სიდიდის სიმბოლიზმისათვის. არტიკულაციისას ენის პოზიციის თანამიმდევრობა და თანხმოვნის ჟღერადობა სიდიდისა და სიბნელის სიმბოლიზაციის ფაქტორებს უნდა წარმოადგენდნენ და სხვ.

რ. პაჯეტის (პაჯეტი 1930; 13-23) ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის მიხედვით სიმბოლიზმი არის არა ფონემის, არამედ საარტიკულაციო აპარატის უნარი. მისი აზრით, გარკვეული ბგერები, გარდა მათი აკუსტიკო-არტიკულატორული თავისებურებებისა, გარკვეულ მნიშვნელობებზეც მიუთითებენ. საარტიკულაციო აპარატს აქვს უნარი, მოახდინოს გარე სამყაროს მოვლენების მოძრაობებისა და კონტურების იმიტაცია. მისი აზრით, კომუნიკაცია დაიწყო, როგორც მთელი სხეულის ჟესტების სისტემა, რომელიც წარმოადგენდა პრიმიტიული ცხოვრების ძირითად მოქმედებას. არტიკულაციის კუნთები ასრულებს ამ ჟესტებს მინიატურაში. ამ მოძრაობებისადმი ფონაციის დამატებამ შექმნა შინაარსის მქონე გამონათქვამები, რომლებშიაც მნიშვნელობას წარმოგვიდგენდა კუნთების მოქმედება. მაშასადამე ბგერები შესაფერისები არის მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იმიტაციური ჟესტები ქმნიან.

ბენტლი და ვარონის (ბენტლი... 1933; 23-34) აზრით, ის ფაქტი, რომ ცდაში მონაწილე პირები ახდენენ გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით ბგერების დაჯგუფებას, არ გვაძლევს საფუძველს დავამტკიცოთ ბგერათა სიმბოლიზმის, ან როგორც თავად უწოდებენ ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობა.

ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის მიმდევრები და წარმომადგენლები, ეყრდნობიან რა სეპირის, დაგირის, მირონის, დევისის და სხვათა ჯვარედინ – ენობრივი კვლევის მასალებს, უცნობი ენის ანტონიმური სიტყვებისათვის მშობლიური ენის ეკვივალენტური სიტყვების შერჩევის ექსპერიმენტებს, აგრეთვე ო. იასპერსენის, ჰორნბოსტელის, ვესტერმანის და სხვათა დაკვირვებების მასალებს – თვლიან, რომ ექსპერიმენტებში გამოვლენილი ფონეტიკური სიმბოლიზმი უნივერსალური, საყოველთაო ხასიათისაა.

ზოგიერთი ავტორის აზრით, არსებული ექსპერიმენტული ფაქტები არ იძლევა საფუძველს უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობის მტკიცებისათვის. ასე მაგალითად, რ. ბრაუნი (ბრაუნი 1958; 70) აჯამებს რა ფონეტიკური სიმბოლიზმის კვლევის მიმართულებით ჩატარებულ ექსპერიმენტებს, ასკვნის, რომ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობა პრობლემატურია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ შედეგების საერთო ხასიათს, მისი აზრით საყოველთაო ფონეტიკური სიმბოლიზმი არც დამტკიცდება და არც უარიყოფა.

მალცმანი, მორისეტი და ბრუქსი, ბრეკბილი და ლითლი საკუთარ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით იცავენ აზრს, რომ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის დაშვება არ უნდა იყოს მართებული.

ი. და მ. ტეილორები (ტეილორი 1962; 14-38) საკუთარ ჯვარედინ – ენობრივ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით ცდილობენ დაასაბუთონ, რომ უნივერსალური სიმბოლიზმის თეორია არ შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას, თუმცა აღნიშნული ავტორების მიერ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის კრიტიკა არ არის საკმარისი და მათ მიერ მოყვანილი არგუმენტაცია დასკვნებისათვის საკმაო საფუძველს არ იძლევა.

არც ერთი ჩატარებული ექსპერიმენტის (რომლებზეც არის დაფუძნებული უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორია) შედეგად არ მტკიცდება, რომ ცალკეული ფონემები ხასიათდება მათთვის სპეციფიური ფონეტიკური სიმბოლიზმით, რომ გარკვეული ბგერები გარკვეულ მნიშვნელობებზე მიუთითებს. საქმე იმაშია, რომ *ექსპერიმენტების უმრავლესობაში გამოიყენება ბგერათა კომპლექსები.*

გარდა ამისა, როგორც სპეციალური ექსპერიმენტით მტკიცდება, ბგერათა კომპლექსი წარმოადგენს არა მასში შემავალი ბგერების მექანიკურ ჯამს, არამედ გეშტალტურ მთლიანობას, რომელშიაც ზოგიერთი ბგერა მართალია ერთგვარად წამყვან როლს ასრულებს, მაგრამ მაინც მისი სპეციფიურობა საბოლოოდ განსაზღვრულია ბგერათა კომპლექსით, როგორც მთელით და იმ შინაარსით, რომლის სახელადაც ის გვევლინება.

§3 ბგერათა სიმბოლიზმის აღმოცენების სამი თეორია

ჩვენ უკვე გავეცანით ბგერათა სიმბოლიზმის შესწავლისას დაგროვილ თითქმის ყველა ძირითად შეხედულებას, ახლა კი შეგვიძლია შევუდგეთ ამ პრობლემასთან დაკავშირებული ერთ–ერთი ყველაზე რთული და ყველაზე მთავარი საკითხის განხილვას, – ეს არის <u>ბგერათა სიმბოლიზმის ბუნების რაობის საკითხი.</u>

დღესდღეობით არსებობს სამი ძირითადი მოსაზრება ბგერათა სიმბოლიზმის აღმოცენების მიზეზების შესახებ.

1. *ს. ნიუმენის, მ. ბენტლის* და *ე. ვარონის* (ნიუმენი 1933; 56); (ბენტლი... 1933; 45) და სხვათა აზრით, ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად უდევს ბგერათა ფიზიკური (აკუსტიკური და არტიკულაციური) თვისებები. ფ. კაინცის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს შეგრძნებების ერთი სახიდან მეორეში "ტრანსპოზიციას", ანუ "სინესთეზიას".

პირველ თვალსაზრისს ეყრდნობა ე. წ. "ფიზიონომიური" კონცეფცია, რომელიც მთელ რიგ ნაშრომებში მკაცრადაა გაკრიტიკებული. ამ კონცეფციის მიხედვით, ბავშვები, ცხოველები, დაღლილი ან ავადმყოფი ადამიანები ზოგჯერ გარესამყაროს არაადექვატურად, ფიზიონომიურად აღიქვამენ. ასე მაგალითად, ავტომობილის ფარები ცხოველის ორი საშინელი თვალი ჰგონიათ. ჰ. ვერნერის აზრით, სწორედ უსულო საგნების ეს უნარი, გააჩნდეთ "ფიზიონომიური თვისებები" უდევს საფუძვლად ყოველგვარ სიმბოლიზმს, მათ შორის ბგერათა სიმბოლიზმსაც. ვერნერის სიმბოლოთა წარმოშობის თეორიაში ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. საერთოდ, ადამიანი ორ საგანს

აკავშირებს და სიმბოლოს სახით იღებს ერთს, ვერნერთან კი პირიქითაა, არსებობს ერთი განუყოფელი, დაუნაწევრებელი, ფიზიოგნომიური ობიექტი, რომლიდანაც თანდათანობით გამოიყოფა ორი თავისი ბუნებით დაკავშირებული ობიექტი, რომელთაგანაც ერთ–ერთი ხდება მეორის სიმბოლო.

2. *რ. ბრაუნის თეორია.* რ. ბრაუნის (ბრაუნი 1958; 1-8) აზრით, ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად უდევს არა რაღაც იდუმალი და ამოუცნობი, არამედ ადამიანის მიერ თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე შეძენილი გამოცდილება. ადამიანი "სწავლობს" იმას, რომ მძიმე საგნები (მაგალითად კარადა), გამოსცემს (გადაადგილებისას) "დაბალ" და "უხეშ" ბგერებს, ხოლო პატარა საგნები – "სასიამოვნო" და "მაღალ" ბგერებს. ამიტომ ცდაში მონაწილე პირები ექსპერიმენტისას მაღალ ბგერებს უკავშირებენ რაღაც "პატარას", დაბალს კი – "დიდს".

3. *ი. ტეილორის კონცეფცია.* ი. ტეილორის (ტეილორი 1963; 65) აზრით ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად უდევს "ენობრივი ჩვევა", "ლინგვისტური ტრენინგი". ინგლისურ და ფრანგულ ენებში ფონემა [g] გვხვდება "დიდის" მნიშვნელობით, ამიტომ ცდაში მონაწილე პირები (რა თქმა უნდა ქვეცნობიერად) საწყის [g]-ს აღიქვამენ, როგორც რაღაც "დიდთან" ასოცირებულს.

ამ სამ თეორიას მოიხსენიებენ, როგორც შედარებით *სინესთეტიკურს* (ს. ნიუმანის, მ. ბენტლის, ე. ვერონის, ჰ. ვერნერის, და სხვათა კონცეფციები), *რეფერენტულს* (რ. ბრაუნის კონცეფცია) და *ასოციაციურს* (ი. ტეილორის კონცეფცია).

მოცემული სამი თეორია შეიძლება დავიყვანოთ ორ ძირითადზე:

1. <u>ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად უდევს ერთი შეგრძნების სხვა შეგრძნებაში ტრანსპოზიცია (ამ სიტყვის ფართო გაგებით);</u>
2. <u>ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად უდევს "ენობრივი ჩვევა".</u>

ჩვენ შევეცდებით შემოგთავაზოთ ჩვენი კონცეფცია ბგერათა სიმბოლიზმის მატერიალური და ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ, რაზეც მომდევნო თავში ვილაპარაკებთ. ეს კონცეფცია ფორმალურად

პირველი კონცეფციის ჩარჩოებშია მოქცეული, თუმცა აღრმავებს მას, ეყრდნობა რა ფიქოლინგვისტიკის, ლინგვისტური ტიპოლოგიის, ფიზიკისა და ფსიქოფიზიოლოგიის თეორიულ და ფაქტობრივ მასალებს. რაც შეეხება პირველი (ტრანსპოზიციაზე დაყრდნობით) და მეორე (ენობრივი ჩვევის შედეგი) თეორიების სისწორეს, ვ. ვ. ლევიცკი (ლევიცკი 1969), რომელიც შეისწავლიდა აღნიშნულ პრობლემას, მივიდა დასკვნამდე, რომ რომ პირველი კონცეფცია უფრო შეესაბამება დრევანდელ მეცნიერებაში არსებულ ფაქტებს. თავისი თეორიის სასარგებლოდ ი. ტეილორს (ტეილორი 1963; 80-84) მოჰყავს შემდეგი ფაქტები:

1. ფონემები, რომლებიც გაიზომა ერთსა და იმავე სკალაზე, სხვადასხვა ენაში ერთმანეთს არ დაემთხვა;

2. შედეგების სხვადასხვაგვარობის გამო, არ არსებობს კორელაცია სხვადასხვა ენებს შორის. თუმცა, ასეთი კორელაცია უნდა იზრდებოდეს ენათა ნათესაობის ხარისხთან ერთად;

3. ბგერები, რომლებიც ზოგიერთ ენაში (მაგალითად ფრანგულ და იტალიურ ენებში) დაკავშირებულია ცნებებთან "დიდი" ან "პატარა", გვხვდება მოცემულ ენაში საწყისი [g] და საწყისი [t] – ს სახით.

მიუხედავად მოცემული შეხედულებების ლოგიკურობისა ი. ტეილორის მიერ მოყვანილი ფაქტები ან არ შეესაბამება სინამდვილეს, ან არ გააჩნიათ საკმარისი დამაჯერებლობა.

ტეილორის ექსპერიმენტის ხარვეზები:

1. ტეილორის ინსტრუქცია ცდაში მონაწილე პირებს საშუალებას აძლევდა შეედარებინათ მოცემული სიტყვები მშობლიურ ან ინგლისურ ენასთან. ეს უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს მიღებული შედეგების მართებულობას. მ. მაირონმა (მეტყველების... 1986; 16-46) ი. ტეილორის საწინააღმდეგოდ დაადგინა, რომ ხმოვნები – [i], [e], [a], [o], [u] ამერიკელებისა და იაპონლების მიერ თითქმის ერთნაირად აღიქმება. იაპონურში, მაგალითად [i] ასოცირდება სასიამოვნო და სუსტთან, [u]-უსიამოვნო და ძლიერთან.

2. სხვადასხვა ენებს შორის ფონემის დონეზე კორელაცია, მართალია არ ვლინდება, თუმცა ეს კორელაცია დამოკიდებულია არა ენათა ნათესაობის ხარისხზე, არამედ ბგერათა ფიზიკურ თვისებებზე და მაინც, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ ენებში საკმაოდ ბევრი მაგალითი მოიძებნება ფონემათა შემადგენლობით განსხვავებული ანტონიმური წყვილებისა. ასე მაგალითად ფრანგულში, სინონიმების ჯგუფში "პატარას" მნიშვნელობით ყველაზე ხშირად გვხვდება ფონემები [i:], [i], [l], [m], ხოლო "დიდის" მნიშვნელობის მატარებელ სიტყვებში [a], [b], [g], [d].

ამ ლინგვისტურ ფაქტს შეიძლება მივცეთ ორმაგი ინტერპრეტაცია:

1. ჩამოთვლილი ფონემები ხშირად გვხვდება იმიტომ, რომ თავისი ფიზიკური თვისებების გამო, მოლაპარაკეთა აზრით, ისინი მეტად შეეფერებიან შესაბამის ცნებას (ს. ნიუმენის თვალსაზრისი);
2. ფონემები [i:], [i], [b], [g] და ა. შ. ცდაში მონაწილე პირების მიერ განიცდება, როგორც პატარა ან დიდი იმიტომ, რომ, ისინი ხშირად გვხვდება შესაბამისი მნიშვნელობების მქონე სიტყვებში და არა მათი ფიზიკური თვისებების გამო (ი. ტეილორის თვალსაზრისი).

ამრიგად, ჩვენს წინაშე კიდევ ერთი მოჯადოებული წრეა. თუ ი. ტეილორია მართალი, მაშინ სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ხარისხით, სხვადასხვა ფონემები შეგვხვდება, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ფონემები [i], [l], [m] აღნიშნავენ პატარას არა მხოლოდ ინგლისურში, არამედ რუსულშიც, ფრანგულშიც, გერმანულშიც, იტალიურშიც (ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე). ზუსტად ასევე, ფსიქოლინგვისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით, [g], [d] აღნიშნავს დიდს არა მარტო ინგლისურში, როგორც ამას ამტკიცებდა ი. ტეილორი, არამედ რუსულშიც, ფრანგულშიც, გერმანულშიც, იტალიურშიც, იაპონურშიც; [s] აღნიშნავს პატარას რუსულშიც, ფრანგულშიც, გერმანულშიც, იტალიურშიც, უკრაინულშიც,

მოლდავურშიც, იაპონურშიც; ხოლო [b] აღმოჩნდა დიდის აღმნიშვნელი თითქმის ყველა ენაში გარდა იაპონურისა.

ახლა უკვე შეგვიძლია ი. ტეილორის ჰიპოთეზა ენობრივი ჩვევის შესახებ უარვყოთ, როგორც ლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური ფაქტებისადმი შეუფერებელი.

მეორე მხრივ, უარვყოფთ რა "ენობრივ ჩვევას", როგორც ბგერათა სიმბოლიზმის აღმოცენების მიზეზს, არ შეიძლება უარვყოთ მისი გავლენა, ექსპერიმენტის ჩატარებისას (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ინსტრუქცია არასწორადაა ფორმულირებული ან გაგებული), მითუმეტეს, თუ ეს ეხება ისეთ შკალას, როგორიცაა შეფასების შკალა. პ. ჟურავლიოვმა (ჟურავლიოვი 1991; 25, 26) აღმოაჩინა, რომ რუსები აფასებენ ბგერას [x'], როგორც "უსიამოვნოს", გერმანელები – როგორც "სასიამოვნოს". ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ რუსულისთვის არაა უცხო გერმანული ფონემა - [Ç], რომელიც შედის კნინობოთ-ალერსობითი სუფიქსის შემადგენლობაში. საინტერესო იქნება აღინიშნოს ისიც, რომ, ი. ტეილორის საწინააღმდეგოდ, ჯ. ვაისი (ვაისი 1966; 23) აღნიშნავდა, რომ თუ ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად ედო ენობრივი ჩვევა, მაშინ ეს პირველ რიგში აისახებოდა არა საწყის, არამედ ბოლო ხმოვნებზე, რადგან ინდოევროპულ ენებში კნინობოთ-ალერსობითი ფორმა გამოხატულია სუფიქსის მეშვეობით. ამგვარად, სიმართლე ვაისის მხარესაა.

შესაბამისად, მართებული იქნება ავღნიშნოთ, რომ <u>ექსპერიმენტის შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ შესასწავლი ბგერების მატერიალურ ბუნებაზე, არამედ სხვა ფაქტორებზეც</u>. მეორე, ასეთი სახის ფაქტორებიდან (ენობრივი ჩვევის გარდა) შეიძლება იყოს მთელი ფონოლოგიური სისტემის გავლენა მოცემულ ენაზე.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფონემათა რაოდენობითაც და შემადგენლობითაც. ფონემათა შორის სისტემურმა ურთიერთობამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ექსპერიმენტის მსვლელობისას ნებისმიერი ფონემის შეფასებაზე. ასე მაგალითად, ფონემათა – [i] და [e] შეფასება იმ ენაში, სადაც არ არის შესაბამისი ლაბიალიზებულები [y] და

[œ], განსხვავებული იქნება იმავე ფონემების შეფასებისაგან იმ ენებში, სადაც შესაბამისი ლაბიალიზებულები მოგვეპოვება. აი რატომ არის არამართებული ვეძებოთ ბგერათსიმბოლური კავშირები ენებს შორის ფონემის დონეზე: ფონემათა რანგების დამთხვევა სხვადასხვა ენებში შეუძლებელია ამ ენებისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ფონოლოგიური სისტემების გამო. ბგერათსიმბოლური უნივერსალიების ნიშნები დაყვანილ უნდა იქნას დიფერენციალურ (აკუსტიკურ და არტიკულაციურ) ნიშნებამდე, თანაც, როგორც შემდგომში ვნახავთ, მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება არა ცალკეული ბგერების, არამედ ბგერათა კომპლექსების საკვლევ მასალად გამოყენება.

საკვლევ სიტყვებში ბგერათა თანამიმდევრობა ასევე უნდა ახდენდეს გავლენას ცდისპირების აღქმაზე, მაგრამ არის კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტების შედეგებზე და რომლის აღნიშვნა ჩვენი აზრით აუცილებელია.

ზოგიერთი გამოკვლევა იძულებულს გვხდის ვივარაუდოთ, რომ ექსპერიმენტის მსვლელობაში "ჩართული" "შეგრძნებათა ტრანსპოზიციის მექანიზმი" ან "ენობრივი ჩვევის მექანიზმი" შეიძლება პროვოცირებული იყოს არა მხოლოდ ინსტრუქციის შემადგენლობით, არამედ თვით იმ განზომილებით, რომელშიაც მიმდინარეობს ბგერის შეფასება. თუმცა ამის დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ექსპერიმენტის მეშვეობით. ვ. ვ. ლევიცკის (31) მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა დაემტკიცებინა ან უარეყო ენობრივი ჩვევის მონაწილეობა ბგერათსიმბოლური ასოციაციების წარმოქმნაში. საერთო ჯამში ექსპერიმენტი, რომელიც მან ჩაატარა უკრაინული და მოლდავური ენების ბაზაზე დაყრდნობით, ა. პ. ჟურავლიოვის (ჟურავლიოვი 1991; 98-122) დასკვნებს ამართლებს.

ყოველივე ამან საფუძველი მისცა მას, წამოეყენებინა შემდეგი ჰიპოთეზა: <u>არსებობს ისეთი განზომილებები, სადაც შედარებით იოლად ხდება შეგრძნებათა ტრანსპოზიცია (აქ შედის "სიდიდის", "სიძლიერის", "სიმყარის" და ა. შ. სკალები) და ისეთი, სადაც ტრანსპოზიცია</u>

<u>შედარებით რთულად ხორციელდება (აქ შედის ფერების, გემოს, ტემპერატურის შკალები).</u>

როცა ცდაში მონაწილე პირის წინაშეა (სწორად ფორმულირებული ინსტრუქციის შედეგად) შედარებით "იოლი" შკალა, მუშაობს "სინესთეზიის მექანიზმი"., ხოლო როცა ცდისპირი აღმოჩნდება შედარებით "რთული" ამოცანის წინაშე, მისი გადაწყვეტისათვის მოქმედებს "ენობრივი ჩვევის მექანიზმი". ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იმავე ექსპერიმენტის მსვლელობისას ორივე მექანიზმი შენაცვლებით მოქმედებს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ერთი მეცნიერის მიერ წარმოებული ექსპერიმენტის შედეგების ასეთი სხვადასხვაობა. ინსტრუქციის შეცვლა განაპირობებს ცდაში მონაწილე პირის მიერ ან "სინესთეზიის მექანიზმის", ან "ენობრივი ჩვევის მექანიზმის" გამოყენებას.

ამრიგად, ჩვენ ხაზს ვუსვამთ დაკვირვების ობიექტისადმი სწორად ფორმულირებული ინსტრუქციის მნიშვნელობას.

თავი II

ბგერათა სიმბოლიზმი, როგორც ფსიქოლინგვისტური მოვლენა

§1 ბგერათა სიმბოლიზმის ბუნება

ბგერათა სიმბოლიზმის ხასიათის (უნივერსალურია თუ ნაციონალური) და ბუნების (რა უდევს საფუძვლად ბგერათა სიმბოლიზმს) საკითხი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

დღესდღეობით არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი ბგერათა სიმბოლიზმის ხასიათის შესახებ:

1. <u>ბგერათა სიმბოლიზმი უნივერსალურია.</u>
2. <u>ბგერათა სიმბოლიზმი ნაციონალურია.</u>

პირველი თვალსაზრისი წარმოდგენილია ჰ. ალპორტისა (ალპორტი 1935) და სხვათა ნაშრომებში.

მეორე თვალსაზრისს იზიარებს ი. ტეილორი. თითქმის ყველა ნაშრომი, რომელიც ეყრდნობა პირველ თვალსაზრისს, აგებულია "შერჩევის" მეთოდზე, მაშინ როცა ტეილორმა გამოიყენა უფრო ეფექტური მეთოდი და ამ მეთოდის მეშვეობით გამოიკვლია ენათა უმრავლესობა. ყოველივე ამან მას დიდი უპირატესობა მოაპოვებინა (მან შეისწავლა 4 ენა, 18 ბგერა). ტეილორის ექსპერიმენტების შედეგად (ტეილორი 1962; 155-158) მიღებული დასკვნები ასეთია:

1. არსებობს შინაგანი შესატყვისობა ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის.
2. ექსპერიმენტებში გამოყენებული მარცვლების ბგერებს შორის არა აქვს ადგილი მნიშვნელოვან ურთიერთმოქმედებას; თითოეულ ბგერას ფონეტიკურ სიმბოლიზმში საკუთარი წვლილი შეაქვს სხვებისგან დამოუკიდებლად.

3. ბგერათა კომპლექსის სიმბოლური ღირებულებისათვის მნიშვნელობა აქვს ბგერათა კომპლექსის ვიზუალურ სიდიდეს, რაც შეეხება ორმარცვლიან სიტყვებში მახვილის პოზიციას, იგი უმნიშვნელო როლს ასრულებს.
4. ფონეტიკური სიმბოლიზმი არ არის უნივერსალური, რაც იმით დასტურდება, რომ მნიშვნელობა რომელიც რომელიმე ცალკეულ ბგერას უკავშირდება, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა.

საკმაოდ მწვავე პოლემიკა გაიმართა ი. ტეილორსა და ჯ. ვაისს შორის. ვაისი, ეყრდნობოდა ექსპერიმენტების მსვლელობისას "შერჩევის შედეგად" მიღებულ ფაქტებს, ტეილორი კი ამ ფაქტებს უარყოფდა; ახალი ფაქტები არც ერთ, არც მეორე მხარეს არ გააჩნდა. ამიტომ, დისკუსიის მონაწილეების შეთანხმების მიხედვით, პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი მონაცემების საფუძველზე. სწორედ ამან განაპირობა ვ. ვ. ლევიცკის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მიზანი და ხასიათი. შესადარებელი ენები მის მიერ არჩეულ იქნა ისე, რომ ორი მათგანი ყოფილიყო მონეთესავე (ეს მას საშუალებას მისცემდა შეემოწმებინა ი. ტეილორის ერთ–ერთი არგუმენტი ენობრივი ჩვევის სასარგებლოდ, კორელაცია მათი ნათესაობის პირდაპირ პროპორციული უნდა ყოფილიყო). ლევიცკიმ გამოიკვლია 6 ხმოვანი და 12 თანხმოვანი – რუსულ, მოლდავურ და უკრაინულ ენებში. (ლევიცკი 1969; 63)

ლევიცკის მიერ მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ურთიერთგანსხვავებულ ენებშიც არსებობს მკაცრად გამოხატული კანონები, განსაზღვრული არტიკულაციის ასოცირება განსაზღვრულ ცნებებთან.

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ :

1. უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარეები თავიანთი მნიშვნელობების შესახებ მეტ – ნაკლები ხარისხის ინფორმაციას იძლევა.
2. ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით შეინიშნება ინტერინდივიდუალური სხვადასხვაობა, ცდაში მონაწილე ზოგიერთი პირისათვის სიტყვის გამოცნობისათვის

შედარებით ნაკლები რაოდენობის ინფორმაციაც საკმარისია, ზოგს კი უფრო მეტი ინფორმაცია ესაჭიროება.

3. რაკი უცნობი ენის სიტყვების გამოცნობა კანონზომიერი ხასიათისაა, ასევე კენონზომიერი უნდა ყოფილიყო მათი სახელდება.

4. სიტყვა, წარმოებული იქნება ის თუ არა, მისი შემადგენელი ნაწილები დაექვემდებარება რაიმე ხასიათის ცვლილებებს თუ არა – სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის შენარჩუნება მაინც ხდება. ცვლილებების ხასიათის მიუხედავად, ამ ურთიერთშესატყვისობის იგნორირებას ენობრივი კოლექტივი არასოდეს ახდენს.

§2. ბგერათა ინტერფერენცია, როგორც ბგერათსიმბოლური სიტყვების ფაქტორის ძირითადი ახსნა

ბგერათსიმბოლურ სიტყვებში ბგერათა და ბგერათშეერთებათა ადამიანის ფსიქიკაზე გავლენის შესწავლის წინ, უნდა გამოვიკვლიოთ ბგერის ფიზიკური ბუნება და ადამიანის მიერ მისი აღქმის ფიზიოლოგიური საფუძვლები.

ბგერის ცნება ჩვენს მიერ ასოცირდება სმენასთან, შესაბამისად ყურში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებთან და ასევე ჩვენს ტვინში მიმდინარე ფსიქოლოგიურ პროცესებთან (სწორედ იქ ხდება იმ შეგრძნებათა გადამუშავება, რომლებიც სმენითმა ორგანომ მიიღო). გარდა ამისა ფიზიკური მოვლენა, რომელიც სმენითი ორგანოს ამოქმედებას

იწვევს, ჩვენ გვესმის როგორც ტალღები ე. ი. ბგერა არის საარტიკულაციო აპარატის მიერ წარმოებული ტალღა.

ბგერის საფუძველს შეადგენს სამი რამ – ეს, პირველ რიგში არის *ბგერის წყარო* (მოცემულ შემთხვევაში ჩვენი საარტიკულაციო აპარატის მუშაობა); მეორე, – ეს არის *ენერგია,* რომელიც გადადის ბგერის წყაროდან ბგერით ტალღებში; მესამე, – ეს არის *ყურის მიერ ბგერის აღქმა (რეგისტრაცია).*

ბოლო ეტაპზე ბგერა ტვინის მიერ აღიქმება და იშიფრება, როგორც ცვლილებას დაუქვემდებარებელი. შესაბამისად, რათა ადამიანის ყურმა (და შესაბამისად ტვინმა) სიტყვებში ბგერათა კომპლექსი აღიქვას, როგორც რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი ბგერების უბრალო ნაკრები, აუცილებელია რაღაც პირობის არსებობა, პირველ (ბგერების ფორმირება და წარმოება) და ნაწილობრივ, მეორე ეტაპზე (ბგერითი ენერგიის გადაცემა ტალღების საშუალებით).

მოცემულ საკვალიფიკაციო ნაშრომში ყურადღებას არ გავამახვილებთ ბგერების ისეთ თავისებურებებზე, როგორიცაა, ინტენსივობა, სიმაღლე, სიხშირე, გავრცელების სისწრაფე, ტემბრი და ტონალური შეფერილობა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი პარამეტრებია ბგერის ფიზიკური დახასიათებისას, თუმცა ნაკლებად მნიშვნელოვანი ლინგვისტური და ფსიქო–ლინგვისტური თვალსაზრისით, ბგერათსიმბოლური სიტყვების ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების ასახსნელად. ასე რომ, შემდგომში ჩვენ ყურადღებას დავუთმობთ მხოლოდ ზემოაღნიშნულ მახასიათებლების საშუალო დონის მქონე ბგერებს.

აღნიშნულ მომენტამდე მკვლევარები, რომლებიც ყველა ენაში შეისწავლიდნენ ბგერათსიმბოლურ სიტყვებს, ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ გარკვეულ ბგერებს, რომლებიც ამ სიტყვაშია გამოყენებული., ბევრი მკვლევარი ამ პრობლემას უდგებოდა ცალმხრივად, არ ითვალისწინებდა რა იმ ფაქტს, რომ სიტყვა, მათ შორის ბგერათსიმბოლურიც, ეს ყოველთვის არის ცალკეული ბგერების კომპლექსი. რა თქმა უნდა ცალკეული ბგერები ხასიათდებიან ზოგიერთი თვისებებით, რომლებიც მკვლევარებს საშუალებას აძლევს განათავსონ ისინი შკალაზე "სასიამოვნო – არასასიამოვნო", "დიდი – პატარა" და ა. შ

ადამიანის შეგრძნებების თვალსაზრისით, მაგრამ არა როგორც ცალკეული ბგერები, არამედ, როგორც ბგერათა კომპლექსი, ასე ისინი ადამიანის წარმოსახვაზე ზემოქმედების უფრო მეტ ძალას ფლობენ და იწვევენ ასოციაციებს. ქვემოთ ჩვენ შემოგთავაზებთ ჰიპოთეზას, რომელიც ამ კანონზომიერებას ხსნის.

ჰიპოთეზა. ბგერა, ისე როგორც ნებისმიერი ტალღა, ფლობს გარკვეული თვისებებს და ექვემდებარება განსაზღვრულ ფიზიკურ კანონებს. ისეთი ცნობილი ფიზიკური ფენომენი, როგორიცაა *ტალღების ინტერფერენცია*, ლინგვისტიკის სფეროში არც ერთხელ არ გამხდარა კვლევის საგანი, კონკრეტულად ბგერათსიმბოლურ სიტყვებთან მიმართებაში.

ტალღების ინტერფერენცია ეს არის სივრცეში ორი ან მეტი ტალღის შეკრება, რომლის დროსაც სხვადასხვა წერტილში ძლიერდება ან სუსტდება ჯამური ტალღის ამპლიტუდა. ინტერფერენცია დამახასიათებელია ნებისმიერი ტალღისათვის. თუ სივრცეში ორი ტალღა ვრცელდება, სივრცის ნებისმიერ წერტილში ჯამური რხევა შესაკრები ტალღების რხევათა გეომეტრიული ჯამია. სუპერპოზიციის ეს პრინციპი ჩვეულებრივ, დიდი სიზუსტით ვრცელდება (ვიკიპედია; ინტერნეტ რესურსი;)

იმდენად, რამდენადაც ბგერის ფიზიოლოგიური აღქმა (შესაბამისად მისი გაშიფვრაც) არის მისი ფიზიკური მახასიათებლების ასახვა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ გარკვეული ბგერები, რომლებიც ბგერათსიმბოლურ სიტყვებში გვერდიგვერდ დგანან, წარმოშობენ ტალღებს, რომლებიც ინტერფერენციისას (ერთმანეთზე გადაჯაჭვულები), თუ ისინი კოჰერენტულები არიან, ქმნიან ტალღას რხევის დიდი ამპლიტუდით და რომელიც ადამიანის ყურის მიერ აღიქმება, როგორც რაღაც, რაც არ არის უბრალო ბგერა ან ბგერათშეერთება, რაღაც, რაც არის აზრის მატარებელი. ერთი სიტყვით, ბგერები, რომლებიც ერთმანეთს "უთანხმდება", ქმნიან ეფექტს, რომელსაც ჩვენ ბგერათა სიმბოლიზმს ვუწოდებთ.

§3 სიტყვების ბგერათსიმბოლური კომპონენტების აღქმის ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლები

საკმაოდ რთულია ადამიანის მიერ მონასმენის აღქმის და ბგერითი სიგნალების დეკოდირების პროცესი.

გამოკვლევები ფსიქო–ფიზიოლოგიის სფეროში გამოყოფს ნერვული სისტემის შემდეგ ფუნქციებს: სიგნალების აღმოჩენა და მათი ამოცნობა, გადაცემა, გარდაქმნა და კოდირება, ასევე სენსორული სახის ნიშნების დეტექცია და მათი ამოცნობა. ამ ფუნქციების გარდა კიდევ შეიძლება გამოიყოს ბგერის აღქმა – გაშიფვრის პროცესის შესაბამისი ეტაპები.

პირველი სამი ეტაპი: სიგნალების აღმოჩენა, ამოცნობა და გადაცემა – ატარებს სუფთა ფსიქო-ფიზიოლოგიურ, ფიზიკურ ხასიათს, სადაც ბგერითი ტალღები ადამიანის სმენითი აპარატის მიერ ფიქსირდება და ამოიცნობა, როგორც შესაბამისი ფიზიკური მახასიათებლების მქონე ბგერები.

უკანასკნელი ეტაპი – სენსორული სისტემის ბოლო და ყველაზე რთული ოპერაციაა, რომელიც წარმოადგენს სახეების მიკუთვნებას ობიექტთა ამა თუ იმ კლასის მიმართ, ე. ი. სახეების კლასიფიკაცია – სახე უკვე “დასრულებულია”, “სავსეა”, ყველა თავისი ბგერათსიმბოლური თუ სხვა ასოციაციებით. ნეირონ–დეტექტორების სიგნალების სინთეზის შემდეგ, სენსორული სისტემა ახდენს “სახის” ფორმირებას და მის შედარებას მეხსიერებაში არსებულ სხვა მრავალ “სახესთან”. იდენტიფიცირებამდე უკვე წარმოიქმნება ბგერათსიმბოლური ასოციაციები (თუ სიტყვა ბგერათსიმბოლურია) და იდენტიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს უფრო სწრაფად და მარტივად, რადგან უკვე გვაქვს “მინიშნება” – ბგერათსიმბოლური ასოციაციაის სახით.

შესაბამისად, ბგერათსიმბოლური ასოციაცია წარმოიშვება სიგნალის გარდაქმნის, კოდირების, და დეკოდირების შუა ეტაპის დროს.

კოდირება – ეს არის გარკვეული წესებით ინფორმაციის გარდაქმნა პირობით ფორმად – კოდად. ამ პროცესის თავისებურება ის გხლავთ, რომ სატელეფონო და სატელევიზიო კოდებისაგან განსხვავებით, დეკოდირება სიგნალს აღადგენს არა თავდაპირველი, არამედ ოდნავ შეცვლილი სახით. სიგნალების დეკოდირება – ეს არის სენსორული ნეირონების მიერ გამაღიზიანებლის ამა თუ იმ თვისების არჩევითი გამოყოფა. ამ ანალიზს ახორციელებენ ნეირონ – დეტექტორები, რომლებიც არჩევით რეაგირებენ სტიმულის გარკვეულ თვისებებზე (პირველი რიგის დეტექტორები)(http://ido.edu.ru/psychology/psychophysiology/index.html).

სენსორული სისტემების უმაღლეს დანაყოფებში განთავსებულია უმაღლესი ხარისხის დეტექტორები, რომლებიც უზრუნველყოფს რთული ნიშნებისა და მახასიათებლების გამოყოფას. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაბამის სიტყვებში ბგერათსიმბოლური კომპონენტი კოდირებისას ინახება, დეკოდირების დროს კი აღდგება და პირველი რიგის დეტექტორების მიერ გამოიყოფა როგორც შესაბამისი ნიშანი (სწორედ მოცემულ ეტაპზე ჩნდება გარკვეული ასოციაციები, რომლებიც იწვევენ "ბგერათსიმბოლურ ასოციაციებს") და ეხმარება მაღალი რიგის დეტექტორებს უფრო ადვილად და ეფექტურად იპოვონ მთლიანი სახე ან მისი რთული ნიშანი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება მოვიყვანოთ შემდეგი დაკვირვება: ექსპერიმენტის მსვლელობისას აღმოვაჩინეთ, რომ ასოციაციები, რომლებსაც იწვევდნენ სიტყვები უცხო ენებიდან, ცდისპირებს უფრო სწრაფად უჩნდებოდათ, თუ სიტყვა შეიცავდა ბგერათსიმბოლურ კომპონენტს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის სისწორეს.

დეკოდირების და ამოცნობის პროცესის საინტერესო თავისებურება ის არის, რომ სენსორული სახეების ამოცნობისას შეიძლება მოხდეს შეცდომაც. მათ განსაკუთრებულ ჯგუფს ჰქვია "სენსორული ილუზია". ისინი გამოწვეულია სიგნალის დამუშავებაში მონაწილე ნეირონების

ურთიერთქმედების გვერდითი მოვლენებით, და იწვევენ სახების აღქმის მთლიან ან ნაწილობრივ დამახინჯებას.

შესაბამისად შეგვიძლია შემდეგი ვარაუდი წამოვაყენოთ: ბგერათსიმბოლური სიტყვები, რომლებიც ფლობს შესაბამის ბგერათსიმბოლურ კომპონენტს, დეკოდირებისა და ამოცნობისას მეტად არიან დაცულები შეცდომებისაგან, ე. წ. შესაბამისი ფონეტიკურ-სემანტიკური კომპონენტი გვევლინება "გამაძლიერებლად", რომლის საშუალებითაც უფრო იოლია სიტყვის პირველსაწყისი ფორმის აღდგენა.

ბგერათა სიმბოლიზმის ფსიქოფიზიოლოგიური საწყისის უმთავრესი კომპონენტებია – *სინესთეზია* და *კინემიკა*.

სინესთეზია – ეს არის აღქმის ფენომენი, რომელის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული გამაღიზიანებლის შესაბამის და გრძნობის მოცემული ორგანოსათვის სპეციფიურ შთაბეჭდილებას თან ახლავს დამატებითი შეგრძნება ან სახე, რომელიც სხვა მოდალობისთვისაა დამახასიათებელი. ბევრი მეცნიერის აზრით, სწორედ ეს მოვლენა უდევს საფუძვლად ბგერათა სიმბოლიზმს (შეგრძნებათა ტრანსპოზიციის თეორია).

კინემიკა – ეს არის კუნთების დაჭიმული მოძრაობების ჯამი, რომელსაც თან ახლავს ემოცია და შეგრძნებები. როგორც აღნიშნული საკითხის მკვლევარებს მიაჩნიათ, სწორედ ამ მოვლენამ შეუეყო ხელი ბგერათგამომხატველი ფუძე – ენის წარმოშობას.

ამგვარად, ეს მოვლენები შეიძლება მივიჩნიოთ ბგერათსიმბოლური სიტყვების პროდუქცირების და ადამიანის მიერ მისი აღქმის საფუძვლად.

§4 ბგერათა სიმბოლიზმი და მოტივაცია

ამგვარად ბგერათა სიმბოლიზმს საფუძვლად უდევს ბგერათა ფიზიკური თვისებები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტყველების ბგერებს გააჩნიათ ბგერათსიმბოლური მნიშვნელობა.

ასეთ შემთხვევაში შეთავსებადია თუ არა ბგერათსიმბოლური წესები და ენობრივი ნიშნის პირობითობა? როგორ შეიძლება ბგერასა და მნიშვნელობას შორის კავშირის თანაარსებობა, – ერთი მხრივ და სინქრონიაში (ენიდან – ენაში) ფონეტიკური სისტემების ცვალებადობისას და მეორე მხრივ დიაქრონიაში (ენის ისტორიული განვითარების პროცესში).

ეს შეკითხვა არც დასმულა ფსიქოლინგვისტიკაში, ხოლო ბგერათა სიმბოლიზმისა და ენობრივი ნიშნის პირობითობის თანაარსებობა ბგერათა სიმბოლიზმის თეორიაში კარდინალურ საკითხს წარმოადგენს.

ექსპერიმენტების მთელი რიგი სერიების შედეგად დადგინდა, რომ ცდაში მონაწილე პირისათვის შინაარსის გარეშე ჟღერადობის წარდგენა იწვევს სახელსა და მნიშვნელობას შორის ან ბუნდოვან, ან ფაქტობრივად არასაიმდო კორელაციას, ან საერთოდ კორელაციის არარსებობას. პირიქით, თუ ჟღერადობა წარდგენილ იქნება ორი ან მეტი მნიშვნელობის თანხლებით, სახეზე იქნება სტატიკურად საიმედო კორელაცია ცალკეულ ბგერათა კომპლექსებსა და შინაარსობრივ ერთეულებს შორის.

ამრიგად, ცდაში მონაწილე პირს უნდა მიეწოდოს შესაძლო პასუხების შეზღუდული რაოდენობა. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: ბგერის ჟღერადობას არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს არაფერი საერთო სიტყვით აღნიშნულ საგანთან ან მოვლენასთან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა ენაში სახელებს სხვადასხვა დასახელება არ ექნებოდათ, მითუმეტეს ენის ისტორიული განვითარების შედეგად არ შეიცვლებოდა სიტყვები ერთი და იმავე ენის ფარგლებში.

ყოველივე ეს ხელს არ უშლის ე. წ. “მეორადი ბგერათსიმბოლიზმის” არსებობას, როცა მოლაპარაკე ცდილობს აღმოაჩინოს კორელაცია სიტყვის ჟღერადობასა (რომელიც ვითარდება მოცემული ენის ფონეტიკური კანონების მიხედვით) და მნიშვნელობას შორის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელიც ფუნქციურად წააგავს ე. წ. “ხალხურ ეტიმოლოგიას”. იქაც და აქაც მოლაპარაკე ცდილობს იპოვოს საგნის რომელიმე თვალშისაცემი ნიშანი, რათა ნაწილობრივ

მაინც უარყოს ჟღერადობასა და მნიშვნელობას შორის კავშირის ნებისმიერობა.

ექსპერიმენტული მონაცემები აჩვენებს, რომ მოლაპარაკე სრულიადაც არ ცდილობს ეძებოს მშობლიური ენის ყველა სიტყვაში შესაბამისობა, ბგერათსიმბოლური "ყნოსვა" თითქოს "თვლემს" ადამიანის ცნობიერებაში და ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა, რომელიც ვითარდებოდა მოცემული ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური კანონების შესაბამისად, შემთხვევით იღებს ისეთ ფორმას, რომელიც მოლაპარაკის აზრით, ამ სიტყვის შინაარსს შეესაბამება.

ბგერათა სიმბოლიზაციის პროცესში ხდება ორი სტრუქტულად მსგავსი, მაგრამ ბუნებით განსხვავებული მოვლენიდან ერთ–ერთისათვის გარკვეული პირობითი მნიშვნელობის მინიჭება. ასეთი სახით წარმოშვებული მეორად (ე, ი. პირობით) კავშირს ჟღერადობასა და მნიშვნელობას შორის, საფუძვლად უდევს ერთი სახის შეგრძნებათა მეორეში ტრანსპოზიცია, ანდა თუ გნებავთ, ბგერათა ფიზიკური თვისება. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ მიუხედავად ფონეტიკური კანონების და ბგერათსიმბოლური წესების საწინააღმდეგო მიმართულებებისა, პირველის მოქმედება ხელს არ უშლის მეორეს მოქმედებას: სიმბოლური მნიშვნელობები მიეწერება ბგერათა კომპლექსს უკვე იმის შემდეგ, რაც მისი "ახალი" (შეცვლილი) ბგერითი გარსი შემთხვევით მიუახლოვდება "ახალ" (შეცვლილ) ლექსიკურ მნიშვნელობას.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, "ბგერათა სიმბოლურ მნიშვნელობებზე", რა თქმა უნდა საქმე გვაქვს სამეცნიერო აბსტრაქციასთან. თავისთავად, მათთვის რაიმე მნიშვნელობის მიწერის გარეშე ბგერებს არა აქვთ არანაირი მნიშვნელობა არც ექსპერიმენტისას (შედეგები ბგერების წარდგენისას მნიშვნელობის გარეშე – უარყოფითია), არც ენაში (თავისთავად ფონემები არანაირ მნიშვნელობას ენაში არ ფლობენ). ექსპერიმენტისას ბგერები მნიშვნელობებს იძენენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ხელოვნურად მიაწერენ ორ ან რამოდენიმე მნიშვნელობას, ენაში კი – როცა ისინი შედის სიტყვების და გარკვეული ლექსიკური ან დერივაციული მნიშვნელობის მქონე მორფემების (მაგალითად კნინობით-ალერსობითი) შემადგენლობაში.

თუმცა ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, ცალკეულ ბგერათა კომპლექსებს სიტყვისაგან დამოუკიდებლად, შეიძლება გააჩნდეს ბგერათსიმბოლური მნიშვნელობა.

ხმოვნების და თანხმოვნების სიმბოლური თვისებების შესწავლისას ჩანს, რომ ერთი და იგივე აკუსტიკურ-არტიკულაციური ერთეულები ახდენენ მსგავს ცნებათა სიმბოლიზაციას. მაგალითად :

1. *რბილი* თანხმოვნები ასოცირდებან რაღაც – "რბილ", "პატარა", "სასიამოვნო", "თბილთან" და ა. შ;
2. *მაგრები* – "მაგარ", "მყარ", "დიდ", "ძლიერთან" და ა. შ.;
3. *მუღერები* – "დიდი", "ცივი", "ჩქარი";
4. *ყრუები* – "პატარა", "თბილი" და ა. შ;
5. ინგლისელები, ფრანგები და იტალიელები "სინათლესთან" დაკავშირებული ლექსიკის შესაქმნელად უფრო ხშირად იყენებენ წინა, ანუ *ნათელ* ბგერებს, "სიბნელის" ლექსიკისთვის კი უკანა, *ყრუ* ბგერებს.

თუმცა ერთი და იგივე ცნება სიმბოლიზირდება სხვადასხვა აკუსტიკურ-არტიკულაციური ერთეულის მეშვეობითაც: მაგალითად, ცნება – "დიდი" შეიძლება გამოიხატოს უკანაენისმიერი, მაგარი, მუღერი ბგერების მეშვეობით. "პატარა" – ყრუ, რბილი ბგერების მეშვეობით და ა. შ. ამრიგად, მიუხედავად არტიკულაციურ-აკუსტიკურ და სემანტიკურ ერთეულებს შორის გარკვეული კავშირის არსებობისა, მათ შორის მყარი კავშირი მაინც არ არსებობს.

ფრანგულ ენაში უკვე დამკვიდრებულია ბგერათშეერთებების შემდეგი მნიშვნელობები, რომლებიც დაგვეხმრება ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობის ანალიზისას:

[bl] – სინაზე, სიმსუბუქე;

[br] – სიხისტე, ძალა, სიმკაცრე, ვიბრაცია;

[bsk] – წინააღმდეგობა;

[bt] – სირთულე, წინააღმდეგობა;

[kr] – არასასიამოვნო, ნგრევა, მსხვრევის, ნგრევის ხმა;

[ks] – არასასიამოვნო, ტრაური, სირთულე, აღგზნებადობა, გიტარა, განსჯა, პასიურობა;

[ksp] – სივრცე, სიშორე;

[kss] – ყურადღება;

[dr] – მიმდინარეობა, მოქმედება (*მოძრაობის სემა*);

[fl] – ნაზი, ახალი, მსუბუქი, სასიამოვნო, აბრეშუმი, ფრენა;

[fr] – მსხვრევა, არასასიამოვნო, შიში, ენერგია, კანკალი, შეხება, უხეში, ტანჯვა;

[gl] – ტირილი, სიხარული, სინათლე, სიმკაცრე;

[gr] – არასასიამოვნო, ჩხუბი, ცახცახი, პირქუში;

[gz] – სიშორე, დისტანცია;

[pf] – ზიზღი, სიძულვილი;

[pl] – სიშორე, სივრცე;

[pr] – ცახცახი;

[pst] – ძახილი, ყურადღება;

[rk] – მოძრაობა, მოქმედება;

[rf] – გრძლივობა, მოძრაობა, მოქმედება;

[rd] – გრძლივობა, მოძრაობა, მოქმედება;

[rs], [rt], [rz] – სიშორე, მანძილი;

[rd], [rf], [sp] – სიშორე, მანძილი;

[st] – პირდაპირი, მდგომი, დახურული, ფიქსირებული, სტაბილური, გაჭიმული;

[str] – სირთულე;

[tr] – მიმდინარე, მორბენალი, ტკივილი, კანკალი, ჩქარი მოძრაობა, წინააღმდეგობა, დარდი, ჩქარი ვიბრაცია;

ზოგადი კანონზომიერებები:

ფრანგულ ენაში "სინათლის" აღმნიშვნელ სიტყვებში *წინაენისმიერი ხმოვნები* შეადგენს 48%; ხოლო *უკანაენისმიერი ხმოვნები* – 52%.

“სიბნელის” აღმნიშვნელ სახელებში ხმოვანთა პირველ ჯგუფზე მოდის 25%, ხოლო მეორეზე 75%.

“ახლოს” – “შორს”,

“მსუბუქი” – “მძიმე”,

“ჩქარი” – “ნელი”,

“მაღალი” – “დაბალი” მიმართების მდგომარეობა ასეთია:

“ახლოს”,

“მსუბუქი”,

“ჩქარი”,

“მაღალი” შინაარსის აღმნიშვნელ სახელებში ხმოვანთა 37% შეადგენს უკანაენისმიერი ხმოვნები; ხოლო 63% წინაენისმიერი ხმოვნები.

“შორს”, “მძიმე”, ‘ნელი”, “დაბალი” შინაარსის სახელებში 67-78% მოდის აღნიშნულ ხმოვანთა პირველ ჯგუფზე, ხოლო 22-33% - მეორე ჯგუფზე.

§5 ხმაბაძვითი სიტყვები

ყოველ ენაში, მიუხედავად იმისა, თანამედროვეა იგი თუ ძველი, კულტურის განვითარების მაღალ დონეზეა ამ ენაზე მოლაპარაკე ერი თუ დაბალზე, არსებობს ე.წ. პიქტორალური სიტყვები, რომლებშიაც კარგად ჩანს სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არსებული საერთო მომენტები, მათ შორის არსებული ურთიერთშესატყვისობა.

ასეთი სიტყვების აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში სხვა ტერმინებსაც იყენებენ

- ბგერითი წაბაძვა
- პიქტორალური სიტყვები
- ხმაბაძვა
- ონომატოპეა
- ექსპრესია

ტერმინები – ბგერითი წაბაძვა, ხმაბაძვა უფრო ხშირად ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება, ე. ი. ისეთი კატეგორიის სიტყვების აღსანიშნად, რომელთა სახელებშიც გამოყენებულია ამ სახელებით აღნიშნული საგნებისა და მოვლენების მიერ გამოცემული ბგერები. მაგრამ ენის ლექსიკაში სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა მხოლოდ ამ ფორმით არ ვლინდება, ამიტომაც, საერთოდ ასეთი კატეგორიის სიტყვების აღსანიშნად ამ ტერმინების გამოყენება უხერხულობასთან არის დაკავშირებული. ასეც არ იყოს, ეს ტერმინები გარკვეულ თეორიას გულისხმობენ – ეს სიტყვები ბგერითი წაბაძვის გზით არის მიღებული, ე. ი. წინა პლანზე წამოწეულია სიტყვათქმნადობის ხასიათი. სიტყვის ქმნადობის პროცესის თავისებურება გულისხმობს ბუნებრივი ბგერის ცნობიერ, შეგნებულ, მიზანდასახულ იმიტაციას, რასაც ალბათ, იმის მიუხედავად, ეს სიტყვები გვიან წარმოშობისაა თუ ადრინდელი, ადგილი არასოდეს არ ჰქონია, რაც ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ გარკვევასა და დაზუსტებას საჭიროებს. თუმცა იმისათვის, რომ პიქტორალური სიტყვების სხვა სახეობიდან გამოვყოთ არაშორისდებულისეული სიტყვების ის თავისებური ჯგუფი, რომლებშიაც იგრძნობა ბგერითი საერთოობა სახელსა და მნიშვნელობას შორის, ამ ტერმინს ჩვენც შემდგომში გამოვიყენებთ ასეთი მნიშვნელობით და პრინციპულად არა იმ მნიშვნელობით, რომ ეს სიტყვები შექმნილია ბგერითი იმიტაციის გზით.

ტერმინი ონომატოპეა ენათმეცნიერებაში გამოიყენება ბგერითი წაბაძვის გზით სიტყვათწარმოების აღსანიშნად და ამიტომაც მისი ხმარებაც უფრო ფართო მნიშვნელობით უხერხულობას ქმნის.

ტერმინი ექსპრესია უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველების ერთ-ერთი ფუნქციის – განცდათა გამოხატვის ფუნქციის აღსანიშნად. ამიტომაც, მისმა ხმარებამ შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს. ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორთა აზრს, რომლებსაც ამ კატეგორიის სიტყვების აღსანიშნად უფრო მოხერხებულად მიაჩნიათ ტერმინი – პიქტორალური სიტყვები, პიქტორალური დამწერლობის, პიქტოგრაფიის ანალოგიით. მაგრამ ამ ტერმინს გამოვიყენებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯელობა გვექნება საერთოდ ამ კატეგორიის სიტყვებზე, ხოლო ცალკეულ ავტორთა

მოსაზრებების დალაგების დროს გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამოვიყენებთ მათ მიერ შერჩეულ ტერმინებს.

ყოველ თანამედროვე ენაში, წერს ა. სპირკინი (სპირკინი 1958; 30-31), საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებობს სიტყვები, რომლებშიაც ჯერ კიდევ გარკვევით შეიგრძნობა მათი ხმაბაძვითი ბუნება. ასეთი სიტყვების მოძიებისათვის დიდი დრო არ დაგვჭირდება და არც გონების ზედმეტი დაძაბვა მოგვიწევს. უბრალოდ ის სიტყვები რომ ავიღოთ, რომელიც მეხსიერებაში შემთხვევით ამოტივტივდება, ესეც საკმარისი იქნება. სპრიკინის აზრით, ხმაბაძვითი ხასიათის სიტყვები ენაში არც თუ ისე მცირე რაოდენობით მოიპოვება. ამასთან ყველა მათგანი წარმოადგენს ყოველდღიურად ხმარებულ, ფართოდ გავრცელებულ სიტყვებს, გამოხატავენ საყოფაცხოვრებო ცნებებს და ალბათ ძირითადად ჯერ კიდევ შორეულ წარსულში წარმოიშვა. ამ საკითხზე მსჯელობის დროს, მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ენის სიტყვები ასეულათასობით წლების წინანდელია, თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე უთვალავჯერ იქნა გადატანილი ერთი საგნიდან მეორეზე; ადგილი ჰქონდა სიტყვათა სესხებას სხვა ენებიდან, სხვა სიტყვებთან შეზრდას; არაერთგზის ექვემდებარებოდნენ შიდასტრუქტურულ ბგერით ცვლილებებს, შემოკლდა და გაფართოვდა, იმოსებოდა მორფემების რთული სისტემით და ა.შ.

ს. ულმანი მიუთითებს, რომ გერმანული ენა უპირატესობას ანიჭებს წარმოებულ სიტყვებს, ფრანგულში კი ასეთი წარმონაქმნები შედარებით ნაკლებია. სიტყვის სტრუქტურის ამ აღნიშნულ ორ ტიპს შორის სხვადასხვაობა, მისი აზრით, განპირობებულია იმ როლით, რომელსაც გერმანულ და ფრანგულ ენებში ასრულებს ონომატოპეა. მართალია, ბგერის ექსპრესიული მნიშვნელობის შეფასება ძლიერ რთული საკითხია და ბევრ შემთხვევაში სუბიექტურიც, ზოგიერთი საერთო ტენდენცია აქ საკმაოდ გამოკვეთილად ვლინდება, და დასძენს, ასე მაგალითად საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანული ენა არაჩვეულებრივად მდიდარია ხმაბაძვითი სიტყვებით, მათი ფონეტიკური სტრუქტურით, მოტივირებით, იმ დროს, როცა ფრანგული, თუმცა არაფრით ჩამოუვარდება გერმანულს ექსპრესულობაში, მსგავს ეფექტებს შედარებით

იშვიათად მიმართავს, იტალიური ენა გაცილებით ფართოდ იყენებს ონომატოპეას, ვიდრე ფრანგული, ინგლისურ ენაში ბგერითი წაბაძვითი წარმონაქმნები მეტია, ვიდრე ფრანგულში, მაგრამ ნაკლები, ვიდრე გერმანულში (ულმანი 1962; 24-25).

ჰ. პაული სიტყვათა პირველქმნადობის საკითხის განხილვისას გვთავაზობს გვიანი პერიოდის შუა ზემოგერმანული დიალექტის იმ სიტყვების ვრცელ სიას, რომლებშიც იგრძნობა შინაგანი კავშირი სიტყვის ჟერადობასა და მნიშვნელობას შორის. ასეთი სიტყვების უმრავლესობა, მიუთითებს იგი, აღნიშნავს სხვადასხვა სახის ბგერასა და მოძრაობებს. პაულის აზრით, ასეთი სიტყვების დიდი რაოდენობა შეიძლება შეირჩეს როგორც ძველგერმანულ დიალექტებში, ასევე ბერძნული და ლათინური ენების ლექსიკაშიც (პაული 1960; 215-217).

ამ სახეობის სიტყვებში ჟღერადობასა და მნიშვნელობას შორის განცდილი შინაგანი კავშირი, პაულის აზრით, ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს მტკიცებისათვის, რომ სიტყვათა ამ ჯგუფიდან ყოველი მათგანის წარმოშობა მართლაცდა ასეთი კავშირებიდან მომდინარეობს. ცნობილია შემთხვევების მთელი რიგი, როდესაც დამტკიცდა, რომ ის განსაკუთრებული ფონეტიკური სახე ანდა მნიშვნელობა, რომელთა წყალობითაც მსგავსი სიტყვები ონომატოპეურის შთაბეჭდილებას ტოვებს, მათ მიერ უფრო გვიანი განვითარების პროცესში იქნა შეძენილი, მაგრამ თუ ამ სიტყვებს მთლიანობაში განვხილავთ, მიუთითებს იგი, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, უკუვაგდოთ მოსაზრება, რომ მათი დღევანდელი სახე ყოველთვის შემთხვევითობის შედეგია. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მათ შორის ხშირად გვხვდება ერთიმეორესთან ძლიერ მსგავსი ვარიანტები იგივეობრივი ანდა ძლიერ მსგავსი მნიშვნელობებით, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ ხმოვანებით განსხვავდება, თუმცა ფონეტიკური კანონების მიხედვით მათი დაყვანა ერთ საერთო საწყის ფორმაზე არ შეიძლება, სხვა ენებშიც, აღნიშნავს პაული, ასევე ხშირად შეიმჩნევა ამგვარი სახის მსგავსი ჟღერადობის სიტყვები, რომელთა მონათესავეებად მიჩნევა ფონეტიკის კანონების მიხედვით არ შეიძლება (პაული 1960; 219-220).

მხოლოდ ონომატოპეური ინსტინქტით შეიძლება აიხსნას აგრეთვე ზოგიერთი ის სახეცვლილებაც, რომლებსაც უკვე ჩამოყალიბებული სიტყვები ექვემდებარება.

სიტყვათა პირველქმნადობასთან დაკავშირებით შორისდებულების საკითხის განხილვისას პაული მიუთითებს – არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ ყველა შორისდებული ბუნებრივი ბგერაა და ისინი სიცილისა და ტირილის მსგავსად აუცილებლად აფექტის მდგომარეობიდან მომდინარეობს. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ერთი და იმავე ემოციის გამოხატვის საშუალება სხვადასხვა ენასა და დიალექტში სხვადასხვა იყოს. პირიქით, ერთი და იმავე დიალექტზე მოლაპარაკე სხვადასხვა ინდივიდებიც კი შეიძლება იყებებდნენ განსხვავებულ შორისდებულებს ერთსა და იმავე სიტუაციაში (პაული 1960; 220–221).

პაული ანსხვავებს ორი სახის შორისდებულს:

- მხოლოდ შინაგანი ემოციის გამომხატველნი
- შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ როგორც შინაგან ემოციებს, ასევე გარეგან მოვლენებსაც.

პირველი სახის ემოციებიდან ზოგიერთი მიეკუთვნება მხოლოდ ერთ გარკვეულ გარკვეულ ემოციას, ზოგი კი შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი ემოციით იყოს გამოწვეული. ეს უკანასკნელნი გვევლინება, როგორც თავისთავად საკმაოდ გაურკვეველი არტიკულირებადი სუბსტრატები, რომლებიც კონკრეტულ შინაარსს მხოლოდ თანმხლები ემოციური ინტონაციის წყალობით იძენენ. მაგრამ, პაულის აზრით, მათი მნიშვნელობების ეს გაურკვევლობა არ უნდა იყოს თავდაპირველი. სხვა სიტყვების მსგავსად შორისდებულები შეიძლება ნასესხები იყოს სხვა ენიდან, შეიძლება წარმოიშვას ცალკეული სიტყვებიდან ან სიტყვათა ერთობლიობიდან. ფონეტიკური ცვლილებების წყალობით ამ უკანასკნელთა წარმოშობა შეიძლება იმდენად შეინიღბოს, რომ დაკვირვების შემთხვევაშიაც ვერ მოვახერხოთ მათი შემჩნევა. ამიტომაც, მიუთითებს პაული, იმ შორისდებულთა შემთხვევაშიაც კი, რომლებიც აბსოლუტურად მარტივად გამოიყურება და, როგორც ჩანს,

მორფოლოგიურ ანალიზს არ ექვემდებარება, არ შეიძლება წინასწარ გვქონდეს იმის რწმენა, რომ ისინი ასეთი გზით არ არიან წარმოშობილნი. თუმცა, მიუთითებს იგი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სახის შორისდებულთა გარკვეული ნაწილი მაინც სხვა სიტყვებიდან არ აღმოცენებულა და უშუალოდ ემოციის გამომხატველი ბგერებიდან მომდინარეობს. (პაული 1960; 221).

შორისდებულთა მეორე სახე, რომლებიც გამოხატავს არა მხოლოდ გარკვეულ ემოციებს, არამედ სხვა სახის მოვლენებსაც, პაულის აზრით, ძლიერ მჭიდრო კავშირში არის ონომატოპეურ წარმონაქმნებთან. მათი ონომატოპეური ხასიათი ვლინდება ფუძის გაორებისა და გასამების შემთხვევაში.

გარდა ზემოხსენებული ავტორისა, კიდევ მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ყოველ ენაში მოიპოვება საკმარისი რაოდენობა პიქტორალური სიტყვებისა. მეორე მხრივ, გაცილებით მეტი ავტორის დასახელება შეიძლება, რომლებიც, მართალია არ უარყოფენ ასეთი სიტყვების არსებობას, მაგრამ რაოდენობრივაად იმდენად უმნიშვნელოდ თვლიან მათ, რომ საჭიროდ არ მიაჩნიათ ამ ფაქტისათვის ანგარიშის გაწევა. აზრთა სხვადასხვაობა იმით არის გამოწვეული, რომ ტერმინები – ბგერითი წაბაძვა, შორისდებულისეული სიტყვები, ექსპრესია, ონომატოპეა, პიქტორალური სიტყვები და სხვა, რომლებიც ჩვეულებრივ ასეთი კატეგორიის სიტყვების აღსანიშნად გამოიყენება, ყველა ავტორის მიერ ერთნაირად არ არის გაგებული. ზოგიერთი მათ ძლიერ ვიწრო მნიშვნელობით იყენებს, ზოგიერთის მიერ კი მეტ-ნაკლებად ფართო მნიშვნელობით იხმარება. ასეთი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საკითხის სისტემატური კვლევა არავის უცდია, რათა გაერკვია, თუ რა ხვედრითი წონისაა ასეთი კატეგორიის სიტყვები ამა თუ იმ ენის ლექსიკაში. ეს გარემოება ალბათ საკითხის კვლევის სიძნელითაც არის განპირობებული. სიტყვათა განხილვისას არც თუ ისე მეორეხარისხოვან როლს ასრულებს შემფასებლის თეორიული პოზიცია. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ პიქტორალობის მომენტები სიტყვებში მეტ-ნაკლები ხარისხით არის წარმოდგენილი, გასაგები გახდება, თუ რაოდენ ძნელია სიტყვათა

პიქტორალობის საზღვრების დადგენა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საკითხის მნიშვნელობას, ცხადი გახდება, რომ თუნდაც მიახლოებით მასალები ამ მხრივ გარკვეული ღირებულების მქონეა.

ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საგულისხმო კანონზომიერება გამოავლინა ტ. გუდავამ. მეგრულში არის ხმაბაძვითი სიტყვების ერთი რიგი, რომელიც გარდა ძირითადი მნიშვნელობებისა, გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს მჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას "ბგერწერა" შეიძლება ვუწოდოთ". (გუდავა 1958; 15)

"ბგერწერითი სიტყვები" (ჩვეულებრივ ზმნები) ქმნიან კონებს: ორი ან რამდენიმე "ბგერწერითი" სიტყვა გაერთიანებულია მსგავსი მნიშვნელობითა და ერთმანეთისაგან კანონზომიერად განსხვავებული თანხმოვნებით. ეს განსხვავება სამეულებში (ან წყვილებში) შემავალ თანხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობით მყარდება.

"ბგერწერით" სიტყვებში მჟღერი თანხმოვნის მონაწილეობა გადმოსცემს "დიდის", "მსხვილის", "მძიმის" ელფერს, ყრუ თანხმოვნის მონაწილეობა – "პატარის", "მსუბუქის", "წვრილის" ელფერს. ფშვინვიერი თანხმოვანი, როცა დაპირისპირება სამსაფეხურიანია (მჟღერი – ფშვინვიერი – მკვეთრი) ამ მხრივ საშუალო ადგილს იჭერს. ამ კანონზომიერების საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს რამდენიმე ნიმუში და მათი მიახლოებითი თარგმანი ქართულ ენაზე:

1. მჟღერი (გ – გ) მიგვაგვალუ "მიგორავს" (დიდი, მსხვილი რაღაც).
2. ფშვინვიერი (ქ – ქ) მიქვაქვალუ "მიგორავს", მიგოგმანებს", "მიცქრიალებს".
3. მკვეთრი (კ – კ) მიკვაკვალუ "მიგორავს" (პატარა, მკვრივი რაღაც).
1. მჟღერი (ძ – ძ) ქოდაძვაძუ "დაჯდა", "დაეცა" (დიდი, მძიმე რაღაც).

2. მკვეთრი (წ – წ) ქოდაწვაწუ “დაჯდა”, “დაეცა” (პატარა, მსუბუქი, ნაზი რაღაც).
1. მჟღერი (გ – ჯ) იგვიჯინანს “დიდი, რაღაც მსხვილად, დონდლოდ გამოიყურება”.
2. ფშვინვიერი (ქ – ჩ) იქვიჩინანს “აქოჩრილად გამოიყურება”.
3. მკვეთრი (კ – ჭ) იკვიჭინანს “პატარა რაღაც მკვეთრად გამოიყურება”.
1. მჟღერი (ძგ – ძგ) ძგიძგონუნს “ძიძგნის”.
2. ფშვინვიერი (ცქ – ცქ) ცქიცქონუნს “ციცქნის”.
3. მკვეთრი (წკ – წკ) წკიწკონუნს “წიწკნის”.

ავტორის აზრით, მეგრულში დადასტურებული ეს კანონზომიერებანი ქართულში შედარებით სუსტადაა გამოხატული.

პიქტორალური მომენტების შემცველ სიტყვებად არა მხოლოდ ისეთი სიტყვები ჩაითვლება, როგორიცაა ხმაბაძვითი (ვიწრო მნიშვნელობით, ე.ი. სიტყვები, რომლებშიც გამოყენებულია ის ბგერები, რომლებსაც გამოსცემს ამ სიტყვით აღნიშნული საგნები) და შორისდებულები., არამედ სიტყვებიც, რომლებიც არც საგნის მიერ გამოცემული ბგერების იმიტაციას წარმოადგენს და არც შორისდებულებს შეიცავს, მაგრამ რომლებშიაც ამის მიუხედავად საკმაო წარმატებით ხერხდება. ყოველ ენაში პიქტორალური ეფექტის მისაღებად მრავალნაირი საშუალება გამოიყენება. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია პიქტორალური სიტყვების სიტყვათწარმოების გზები გავარკვიოთ, ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდება.

პიქტორალური სიტყვებით როგორც უკვე ავღნიშნეთ ძალზე მდიდარია იტალიური ენა. პიქტორალური ეფექტი ხშირად მიიღება სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის ან მოვლენის მიერ გამოცემული ბგერების წარმომადგენლობით. მაგალითისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

tuffo	ჩაყვინთვა
sciabordio	შენჯღევა
scoppio	აფეთქება
fragore	ხმაური

sfrigolare	ჩურჩული
tartagliare	ბუზღუნი
borbottare	ბუზღუნი
acciottolio	კაკუნი
cozzo	რქებით შეჯახება
lugubre	ჯმუხი
tetro	ჯმუხი
zip	ელვა
gracchiare	ჩხავილი
sciabordio	ნჯღრევა
sfarfallio	ციმციმი
gocciolio	უწყვეტი ციმციმი
fumigginare	უწყვეტი წკაპუნი

ასეთი კატეგორიის სიტყვები უპირველესად მყისიერი მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება, როგორც მაგალითად ქართული: ბრახუნი, ბზრიალი, ბზუილი, გრიალი, გრუხუნი, ზრიალი, რახუნი, რიხინი და ა.შ.

პიქტორალური ეფექტის მისაღებად გავრცელებული ფორმაა სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის მიერ გამოცემული ბგერების რედუპლიკაცია: boomboom, clik clak, dindon etc...

ასეთი კატეგორიის სიტყვები უმთავრესად დროში გავრცობილ ერთგვაროვან, სტერეოტიპულ მოქმედებებს გამოხატავს.

სიტყვების ფუძეში მარცვალთა სტერეოტიპული განმეორებითაა მიღწეული აგრეთვე პიქტორალური ეფექტი ისეთი მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებში, რომლებიც უმთავრესად დროში გავრცობილი სტერეოტიპულობით ხასიათდებიან, მაგრამ რომელთა მიმდინარეობა უპირატესად ბგერების გამოცემასთან არ არის დაკავშირებული: ბიბინი, ლაქლაქი, ფუსფუსი, ღაჟღაჟი და ა.შ

პიქტორალური სიტყვებით არც ისე მდიდარი ფრანგული ენა ასეთი სახის სიტყვებს მრავლად იყენებს კომიქსებში. მოძრაობა და ექსპრესია უნდა გადმოიცეს ნახატებშიაც.

ამ მხრივ ფრანგებს ბადალი არა ჰყავთ:

AARGH ! Borborygme de l'individu pris à la gorge par son adversaire ou l'administration fiscale.	შეძახილი, რომელიც ადამიანს აღმოხდება მაშინ, როცა მას ყელში ხელს წაუჭერს მოწინააღმდეგე ან საგადასახადო ინსპექცია.
AH! AH! AH! Rire dubitatif et méprisant.	უნდობლობისა და ზიზღის გამომხატველი ჩაღიმება
AÏE Cri de douleur	ტკივილისაგან წამოყვირება
BADABOUM Bruit de chute.	დაცემის ხმა
BAF Bruit de claque.	სილის გაწნის ხმა
BALABOUM, BALOUM, BALOUM Bruit mat d'un corps dévalant une pente en rebondissant.	სხეულის ხმა დაღმართზე ჩამოგორებისას
BANG Explosion.	აფეთქების ხმა

BEEP En français Bip (tonalité, un bip d'appel)	ტონალობა
BERK ! Exprime le dégoût.	გამოხატავს ზიზღს
BEUH ! Gros chagrin enfantin.	ბავშვური მწუხარება, დარდი
BEURK ! Vomir, gerber.	ღებინება
BING Bruit de coup	დარტყმის ხმა
BLAM Claquement d'une porte.	კარის მიხურვის ხმა
BOF Marque le désintérêt.	გამოხატავს ინდიფერენტულობას
BOING ! Bruit de rebond.	უკან გახტომის ხმა
BOUM Bruit d'explosion.	აფეთქების ხმა
BRAOUM Bruit de la foudre au lointain.	ჭექა-ქუხილის ხმა შორიდან

BROOM, BROM Son inquiétant d'un tremblement de terre.	მიწისძვრის შემაძრწუნებელი ხმა
BROUM Vibrations de surface engendrées par un corps pesant.	მძიმე სხეულით გამოწვეული ზედაპირის ვიბრაციის ხმა
BRUSH Verbe anglais. Brosser	ინგლისური ზმნა. წმენდა
BUZZ Mot anglais signifiant bourdonnement. Bruit du vol du bourdon et autres coléoptères.	ინგლისური სიტყვა, რომელიც ნიშნავს ზუზუნს. მწერების ფრენით გამოწვეული ხმა
BZOING Bruit de ressort.	ზამბარის ხმა
BZZZ Bruit d'insecte en général et de l'abeille en particulier.	მწერის ხმა. ძირითად შემთხვევაში ეს არის ფუტკარი
CHEESE Souriez.	გაიღიმეთ
CHOP ! CHOP ! Le boucher découpe la viande. Du verbe anglais To Chop : Couper .subs. Côtelette	ყასაბი ჭრის ხორცს. მომდინარეობს ინგლისური სიტყვისაგან.

CLAC Bruit de fermeture d'un mécanisme.	რაიმე მექანიზმის დახურვის ხმა
CLAP Verbe anglais signifiant : Applaudir. (clap one's hands)	აპლოდისმენტები
CLAP ! CLAP ! CLAP ! Applaudissements.	აპლოდისმენტები
CLIC-CLAC Bruit du pêne d'un serrure.	საკეტის გადაკეტვის ხმა
CLIC Bruit d'enclenchement d'un mécanisme.	მექანიზმის ჩართვის ხმა
CLUTCH Bruit d'embrayage. Verbe anglais signifiant embrayer.	ჩართვის ხმა
COCORICO Chant du coq aux aurores.	მამლის ყივილი განთიადზე
COIN-COIN Cri du canard.	იხვის ხმა
COT ! COT ! COT ! Cri de la poule avant de pondre.	ქათმის კრიახი კვერცხის დადების წინ

COTT ! COTT ! Cri de la poule cherchant sa pitance.	ქათმის კრიახი
COUCOU Cri du coucou.	გუგულის ხმა
COUGH Verbe anglais signifiant tousser.	ინგლისური ზმნა, აღნიშნავს ხველებას
CRAAAC Bruit de la foudre.	ელვის ხმა
CRAC Cassure	გატეხვის ხმა
CRAPUH ! Bruit d'explosion suivi d'un sifflement.	აფეთქების ხმა, რომელსაც თან სდევს სტვენა
CRASH ! Verbe anglais signifiant s'écraser.	ინგლისური ზმნა, ნიშნავს ჩამოვარდნას.
CRIC ! CRIC ! Crissements légers répétés.	მსუბუქი, ხშირი წამოყვირება
CROÂ Cri du corbeau.	ყვავის ხმა, ჩხავილი
	ჩხავილი

CROAK Verbe anglais : Coasser, croasser	
CRONCH, CRUNCH Bruit de mastication de nos amies les vaches en train de ruminer.	ძროხის ცოხნა
CUI-CUI Les petits oiseaux, sous la frondaison, font entendre leurs gentils cui-cui, c'est le Printemps.	პატარა ჩიტების გალობის ხმა
DING-DONG Bruit de cloches.	ზარების რეკვის ხმა
DRELIN DRELIN Appel de clochette. Madame sonne sa bonne.	ზარის ხმა
DRUM Bruit de pluie ou de grêle. Verbe anglais signifiant tambouriner.	ჭექა-ქუხილის ან წვიმის ხმა
EUH ! Marque d'hésitation ou de perplexité. Dans les discours marque la confusion mentale ou le manque de maîtrise d'un sujet.	ყოყმანის გამომხატველი შორისდებული

FLACK Employé pour évoquer l'explosion des obus de défense anti-aérienne.	ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის იარაღების აფეთქების ხმა
FLAP Bruit d'un tissu claquant au vent.	ქარის დროს ნაჭრის შრიალის ხმა
FLIC-FLOC Gouttes d'eau.	წყლის წვეთები
FLIP-FLOP Bruit de goutte à goutte.	წყლის წვეთების წკაპუნი
FLOP Bruit d'un tissu agité mollement par le vent.	ქარის დროს მსუბუქად შერხეული ქსოვილის ხმა
FLUSH Bruit de l'écoulement d'un liquide. De l'anglais Flush : Chasse d'eau	სითხის ჩამოსხმის ხმა
FRICHH ! Bruit de friture.	შეწვის ხმა
FUIT ! Bruit de fuite d'un gaz ou d'un liquide.	გაზის ან სითხის დაღვრის ხმა

GASP Verbe anglais exprimant un hoquet de terreur.	შეძრწუნების ამოძახილი
GLAGLA Indique un froid intense.	საშინელი სიცივე
GLOMP Bruit de déglutition.	ყლაპვის ხმა
GLOUGLOU Bruit de déglutition d'un liquide.	სითხის დალევის დროს გამოცემული ხმა
GLOU-GLOU-GLOU-GLOU Cri du dindon.	ინდაურის ხმა
GLOUP Bruit de déglutition.	ყლაპვის ხმა
GLUMP Bruit de déglutition en anglais.	ყლაპვის ხმა ინგლისურად
GNARF! GNARF! Cri du sanglier en train de fouir.	ტახის ხმა
GONG Son du gong.	გონგის ხმა

GROUI Cri du porc, tel celui dont Duguesclin tirait les oreilles.	ღორის ხმა, რომელსაც ყურები დააცალეს
GUILI-GUILI Chatouilles.	ღიტინი
HA ! HA ! Cris d'appréciation ou d'admiration.	შეფასების ან აღფრთოვანების შეძახილი
HAN ! Cri du bûcheron au travail.	ხისმჭრელის შეძახილი მუშაობის პროცესში
HÉ ! HÉ ! HÉ ! Exprime un rire sardonique.	ირონია, დაცინვა
HI-HAN Cri de l'âne.	ვირის ყროყინი
HIII ! Hennissement de cheval.	ცხენის ცოხნა
HON ! HON ! 1 - Marque un appel aux forces vitales 2 - Scande la marche à pied.	1. შეძახელი სასიცოცხლო ძალების მოკრებისათვის. 2. ფეხით სვლის სკანდირება
	სერიოზული.

HOOPS ! Same as OUPS ! Grave	
HOP ! HOP ! En anglais, sautiller, aller à cloche-pied.	ინგლ: ცალ ფეხზე ხტომა, ასკინკილა
HUM Bourdonner	ზუზუნი
HUM-HUM Marque la réflexion.	ფიქრი
HUMM ! Que tout cela semble bon.	მგონი კარგია ეს ყველაფერი
HUMPF ! Accuser le coup.	რეაგირება
KLING-KLANG Bruit de pièces métalliques qui s'entrechoquent.	ლითონის მონეტების ხმა
KNOCK Verbe anglais signifiant frapper, frapper à une porte.	ინგლ: კარებზე კაკუნი
MÊÊÊ ! Cri de la brebis.	ცხვრის ხმა
MEUH ! Un cri de nos	ზმუილი

campagnes, meuglement.	
MIAOU Miaulement.	კნავილი
NA ! Interjection enfantine signifiant " C'est mon dernier mot ".	ბავშვების მეტყველებიდან: ეს არის ჩემი ბოლო სიტყვა
OH ! Marque d'étonnement.	გაკვირვების გამოხატვა
OH ! OH ! OH ! Rire du Père Noël.	თოვლის ბაბუის სიცილი
OK D'accord.	კარგი, თანახმა ვარ, გასაგებია
OUIN ! Pleur enfantin.	ბავშვის ტირილი
PAF Bruit de coup.	დარტყმის ხმა
PAM, PAN Bruit de détonation provoqué par une arme à feu.	აფეთქების ხმა, რომელიც გამოწვეულია ცეცხლსასროლი იარაღით
PATATRAS Tout s'écroule.	ყველაფერი ინგრევა

PIF Coup porté au nez.	ცხვირში დარტყმა
PIM Coup de poing.	მუჭით დარტყმის ხმა
PIN-PON Bruit de sirène.	სირენის ხმა
PING Porter un coup.	დარტყმა
PLIP-PLOP Bruit de robinet qui fuit.	ონკანის ხმა
PLOP ! Bruit de bouteille que l'on débouche.	ბოთლის გახსნის ხმა
PLOUF Bruit que fait un objet en tombant à l'eau.	წყალში საგნის ჩაგდების ხმა
POF Bulles crevant à la surface.	წყლის ბუშტუკების გახეთქვის ხმა
POUET-POUET Son de la corne, ancêtre de l'actuel avertisseur	რქის საყვირის ხმა

sonore.	
POUM Bruit de détonation d'un fusil .	იარაღის ხმა
PSCHITT ! Bruit que fait un gaz sous pression lorsque l'on ouvre une bouteille.	გაზის ხმა ბოთლის გახსნისას
PSSSH Bruit que fait un gaz sous pression en s'échappant.	გაზის შუილი
REUH ! Bruit d'accélération d'un moteur diesel.	დიზელის მოტორის ხმა
REUM Le brame du cerf.	ირმის ხმა
RING ! Tintement de sonnette. Du verbe anglais Ring : Sonner	ზარის ხმა. ინგლ: ზარის დარეკვა
RON-RON Ronronnement du chat.	კატის ხმა. კატის ღუღუნი
RRRR ! Ronfler.	ხვრინვა

RUSH ! Marque un mouvement précipité. Du verbe anglais Rush : Se précipiter.	აღნიშნავს ჩქარ მოძრაობას
SCHTUMPH, SCHTOUMPH Bruit sourd de détonation.	აფეთქების ყრუ ხმა
SCRAP Verbe anglais signifiant racler	ინგლ: გაწმენდა
SCRATCH Verbe anglais signifiant gratter	ინგლ: კაკუნი
SLAP - SLAP - SLAP Bruit de la fessée. De l'anglais Slap .v. gifler	ინგლ: სილის გაწნა
SLASH En anglais balafrer, taillader. En français schlass (couteau).	ინგლ: დაჭრა. ფრ: დანა
SLIP Verbe anglais. Glisser	გასხლტომა

SLUSH ! Bruit d'un écoulement de boues. Du verbe anglais Slush : Patauger	ტალახში ჩაფლობა. ინგლ: კოტრიალი
SMAC Bisou, suçon.	კოცნა
SMOOTH .adj. Doux(-ouce)	კეთილი
SNIFF Verbe anglais signifiant renifler.	უარყოფა
SOB Mot anglais impliquant un arrêt transitoire convulsif de la respiration ; hoqueter. Également l'acronyme "Short Of Breath" c'est-à-dire avoir le souffle coupé.	ინგლ: სუნთქვის შეკვრა
TACATA-CATA-CATA Bruit de mitraillette.	ავტომატის ხმა
TAC-TAC-TAC Bruit de machoires qui s'entrechoquent pour cause de froid, peur ou famine.	სიცივით, შიშით ან შიმშილით კბილების წაკწაკი

TAÏAUT A la chasse à courre.	ძაღლებით ნადირობის ხმა
TAP-TAP-TAP Jeannot lapin paraît très impatient. Il veut sa carotte.	კურდღელი ძალიან მოუსვენარი ჩანს. სტაფილო უნდა
TCHOU TCHOU TCHOU Son de la locomotive à vapeur.	ორთქლმავლის ხმა
TEUF ! TEUF ! Bruit d'un moteur mono-cylindre.	ერთცილინდრიანი ძრავის ხმა
TIC-TIC-TIC Bruit aigu répétitif.	განმეორებითი ძლიერი ხმაური
TIC-TAC Bruit d'horloge ou de réveil-matin.	საათის ხმა დილით
TOC ! TOC ! TOC ! Frappement à une porte - Voir Knock.	კარზე დაკაკუნების ხმა
TRASH Verbe anglais signifiant jeter.	ინგლ: სროლა

TRIII ! La trille des oiseaux annonçant le printemps.	ჩიტების ჭიკჭიკი, გაზაფხულის მაუწყებელი
TUMB Bruit de détonation d'une arme équipée d'un modérateur de bruit.	ხმის სახშობიანი იარაღის გასროლის ხმა
TURLUTUTTU Son du mirliton.	საყვირის ხმა
TUUT ! TUUT ! Annonce d'un train entrant en gare.	სადგურზე შემოსული მატარებლის ხმა
UH ! UH ! Cri de la chouette, hululement.	ბუს ხმა
VLAM Bruit de porte qui claque.	კარის ხმა
VLANG Bruit de volets battus par le vent.	ქარის დროს დარაბების ჭრიალის ხმა
VROOM ! VROOM ! Bruit d'accélération d'un moteur.	ინგლ: ძრავის დაქოქვის ხმა

WOW Mot anglais argotique exprimant l'étonnement ou l'admiration.	გაკვირვების ან აღფრთოვანების გამომხატველი შორისდებული
YEAAH ! Cri du guerrier s'élançant au combat.	მეომრის შეძახილი ბრძოლის ველზე შესვლის წინ
YOUPEE Cri de joie.	სიხარულის შეძახილი
ZAP Zapper.	გადართვა ერთი ტელეარხიდან მეორეზე
ZIN BOUM TSOIN TSOIN Et en avant la musique.	შესავალი მუსიკის, მელოდიის დაწყების წინ
ZZZZ Dormir.	ძილი

DICTIONNAIRE DES ONOMATOPÉES DE BANDES DESSINÉES

(http://www.dr-belair.com/dic/Entertainment/Onomatopoeias/dc-onomatopoeias.htm)

§6 სუპრაფონემა, როგორც ბგერათსიმბოლური ერთეული

როგორც მკვლევართა უმრავლესობა ფიქრობს, ერთეული, რომელიც მეტყველების შინაარსობრივ აღქმაში უმთავრეს როლს ასრულებს, ეს არის სიტყვის ბგერითი გამოხატულება. მეტყვლების "სიტყვიერი აღქმის" თეზისს იზიარებდნენ რ. ო. იაკობსონი, ჰ. მოლი და ე. ულენბეკი . როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. ულენბეკი (ფსიქოლინგვისტიკა 1984: 67) "მსმენელი მეტყველებაში არ აღიქვამს ერთ ფონემას მეორის მიყოლებით, არამედ ახდენს შინაარსის მქონე ერთიანობის ე. ი. სიტყვის იდენტიფიცირებასა და დეტერმინირებას".

ჩვენი მხრივ ავღნიშნავთ, რომ სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტი არ არის ცალკეული ფონემა. როგორც უკვე ითქვა, ცალკე აღებული ბგერები, შინაარსისგან მოწყვეტით, არაფერს არ აღნიშნავს, უფრო მეტიც, ცდაში მონაწილე პირებისათვის ერთმანეთთან დასაკავშირებლად ბგერების (ხმოვნების) და ფერების წარდგენისას, მკვლევარები "ენობრივი ჩვევის" მექანიზმს იშველიებდნენ, რამაც სავსებით არ შეუწყო ხელი ექსპერიმენტის შედეგს.

ასევე არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი არის მთლიანი სიტყვა, რომელიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ენის ისტორიული განვითარების პროცესში განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას და რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მრავალი სინონიმი მსგავსი მნიშვნელობებით, მაგრამ სხვადასხვა ფონეტიკური ფორმით (სადაც ბგერათსიმბოლური კომპონენტი ან საერთოდ არ არის, ან სხვა ბგერებით არის წარმოდგენილი).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის გათვალისწინებით (ისეთი ფიზიკური მოვლენის გავლენა, ბგერათსიმბოლური სიტყვების აღქმაზე, როგორიცაა *ტალღების ინტერფერენცია*) მიზანშეწონილად მივიჩნიეთ

გამოგვეყო ახალი ერთეული – *სუპრაფონემა*, რომელიც შესაბამის სიტყვებში *ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელია* და რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც მყარი ბგერითი შესიტყვება, სტრუქტურულად შემდგარი, როგორც წესი რამდენიმე ფონემისაგან, სიტყვის ფონეტიკური ჟღერადობისა და საგნების თვისებების ობიექტური ასოციაციების გამომწვევი.

თავისი სტრუქტურის მიხედვით, ის, როგორც წესი შედგება 2 – 4 ფონემისაგან, რომელთა შერჩევა სულაც არ არის ნებისმიერი და ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული ენის ფონეტიკურ სტრუქტურაზე.

სუპრეფონემა, რომელიც თავისთავად არ არის დასრულებული სიტყვა, მაინც არის ლექსიკური მნიშვნელობის ნაწილის მატარებელი (“კარგი” – “ცუდი”, “მრგვალი”, “ფაფუკი”), რომელსაც ძირითადად მიაწერენ მთლიან სიტყვას. რა თქმა უნდა, მორფოლოგიური სუპრაფონემა არ არის ბგერა, ის არ არის “გაწყობილი” ფლექსიებით, დაბოლოებებით, და სიტყვის ფუძეც ხანდახან არ ემთხვევა სუპრაფონემას: ძირითადად ის წარმოადგენს ფუძის მხოლოდ ნაწილს, თუმცა ის ბგერათსიმბოლური კომპონენტი, რომელიც მასშია მოცემული და “მუშაობს” გვერდით მდგომი ბგერების ინტერფერენციის მეშვეობით, განსაზღვრავს მისთვის სპეციფიურ ლექსიკურ მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ შემდგომში ვუწოდებთ ბგერათსიმბოლურს. როგორც შემდგომში ვნახავთ, ექსპერიმენტში, რომელიც აგებულ იქნა ჩვენი ჰიპოთეზის საფუძველზე, ჩვენ გამოვიყენეთ ასეთი სუპრაფონემები და ძირითად შემთხვევაში, ცდისპირებმა “ამოიცნეს” ეს კომპონენტი.

ფორმალური სისტემიზაციისათვის ჩვენ მართებულად მიგვაჩნია გამოვყოთ სუპრაფონემის ორი ჯგუფი: *ფუძისეული* და *აფიქსალური*; თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში ფუძისეული სუპრაფონემა არ წარმოადგენს საფუძვლივ ფუძეს, მხოლოდ მისი ნაწილია მორფოლოგიური თვალსაზრისით, იღებს რა თავის თავზე სპეციფიური ლექსიკური მნიშვნელობის ნაწილს.

აფიქსალური სუპრაფონემები კი ალბათ წარმოადგენდნენ ცალკეულ არც თუ ისე დამოუკიდებელ ბგერებს დამატებითი ლექსიკური

მნიშვნელობით, რომლებიც ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი იყო და სიტყვას უერთდებოდა "შესავსებად" სრულყოფის მიზნით. მაგალითად, კნინობით – ალერსობითი ან სხვა მნიშვნელობის მისაცემად.

§7 ბგერათა სიმბოლიზმის ფუნქციონირება

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ბგერათსიმბოლიზმის ფუნქციონირების შემდეგი მოდელი წარმოვადგინოთ: <u>არტიკულაციურ-აკუსტიკური ინვარიანტული ნაკრებიდან ყოველი ენა გამოყოფს სუპრაფონემების შეზღუდულ ნაკრებს, რომლებიც, მოლაპარაკეთა აზრით, ყველაზე კარგად ასახავს მსგავსი საგნების ან მოვლენების კომპლექსისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ხშირად, ერთი და იგივე ნიშანი აისახება ბგერათა სხვადასხვა ნაკრებით, ე. ი. სხვადასხვა სუპრაფონემებით, ენაში შეიძლება არსებობდეს მრავალრიცხოვანი სიტყვა – სინონიმები, რომლებსაც მოლაპარაკე გამოიყენებს თავისი შეხედულებისამებრ.</u>

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ ბგერის ფიზიკური ბუნება და ბგერათა ინტერფერენციის მოვლენა, რომელიც ჩვენი ჰიპოთეზის შესაბამისად არის ბგერათა სიმბოლიზმის საფუძველი. ასევე ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ აუცილებელია ბგერათსიმბოლურ სიტყვებში ბგერათა კომპლექსის და არა ცალკეული ბგერების შესწავლა, რადგან ადამიანის აღქმაში ბგერათსიმბოლური ეფექტი მხოლოდ ბგერათშეთანხმებებს შეუძლია მოგვცეს.

შემდეგ გამოკვლეული იყო ბგერის აღქმის ფსიქო-ფიზიოლოგიური ბუნება, ასევე წარმოდგენილი იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტი ბგერის კოდირება/დეკოდირების ეტაპზე ბადებს გარკვეულ ასოციაციებს, ეხმარება რა აზროვნებას სახეებისა და მათი მახასიათებლების ამოცნობაში.

ასევე გამოთქმული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბგერათსიმბოლური სიტყვა ამოიცნობა უფრო იოლად და ეფექტურად, ვიდრე სხვა სიტყვები, რაც განპირობებულია მასში ბგერათსიმბოლური

კომპონენტის არსებობით, რომელიც აძლიერებს სიგნალს და გვეხმარება მათი დეკოდირებისას თავიდან ავაცილოთ შესაძლო შეცდომები.

აღინიშნა, რომ სიტყვები, თვით ბგერათსიმბოლური ელემენტების მატარებლებიც კი იცვლიან თავიანთ ფონეტიკურ ფორმას ენის ფონეტიკური სისტემის შესაბამისად. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად გამოვლენილ იქნა სიტყვის ბგერათსიმბოლური ელემენტის მატარებელი ერთეული – რომელსაც ჩვენ პირობითად სუპრაფონემა ვუწოდეთ და რომელიც წარმოადგენს ფონემების მყარ ნაერთს, არის გარკვეული ენებისთვის სპეციფიკური და იწვევს სიტყვის ჟღერადობასა და მნიშვნელობას შორის ობიექტურ ასოციაციებს, თითქოს სიტყვის გარეგანი მხარე შეესაბამება მის შინაარსსა და მნიშვნელობას

თავი III ბგერათა სიმბოლიზმის ექსპერიმენტული კვლევა

§1 ბგერათა სიმბოლიზმის შესწავლის ექსპერიმენტული მეთოდები

დღესდღეობით ბგერათა სიმბოლიზმის შესწავლის სამი ძირითადი ექსპერიმენტული მეთოდი არსებობს.

მეთოდი №1. ცდაში მონაწილე პირისათვის ბგერათშეთანხმების წარდგენა შინაარსის გარეშე (მიულერის ექსპერიმენტი). ეს მეთოდი შედარებით სრულყოფილია. მონაცემთა შეჯამება სუბიექტურია, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს მასალის დამუშავებისას სტატისტიკის ეფექტურ გამოყენებას.

მეთოდი № 2. ცდაში მონაწილე პირისათვის ორი ჟღერადობის და ორი შესაბამისი შინაარსი წარდგენა. თავის "კლასიკურ" ვარიანტში ეს მეთოდი "შერჩევის ექსპერიმენტის" სახელს ატარებს (matching experiment) და მისი არსი მდგომარეობს შემდეგში – დაკვირვების ობიექტებს, რომლებიც ფლობენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ ენას, ეძლევათ ანტონიმური წყვილები ("დიდი" – "პატარა", "ცივი" – "ცხელი" და ა. შ.) ორ ენაზე, რომელთაგან ერთი ცდისპირის მშობლიური ენის მონათესავე ენაა, ხოლო მეორე მისთვის უცნობია. ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ს. ტსურუ (ტსურუ 1934; 92) მივიდა დასკვნამდე, რომ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმი არსებობს, რადგან ინგლისურენოვანი სტუდენტები იაპონურ სიტყვებს საოცარი სიზუსტით იცნობდნენ.

ს. ტსურუს მეთოდს სერიოზული ნაკლი აქვს : ფონემათა რიცხვი ყველა ენაში შეზღუდულია, სწორედ ამიტომ სიტყვები სხვადასხვა ენებში შეიძლება ჰგავდეს ერთმანეთს. ექსპერიმენტატორს, რომელმაც იცის ორივე ენა, უნებურად შეუძლია ენის ლექსიკური ფონდიდან ინტუიტიურად

შეარჩიოს ისეთი სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურად წააგავს მეორე ენის სიტყვებს, ხოლო ცდაში მონაწილე პირები შემდეგ უკვე თვითონ ირჩევენ სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან ბგერითი შემადგენლობით, ამიტომ ჰ. ალპორტი (ალპორტი 1935; 34-46) და შემდეგ რ. ბრაუნი (ბრაუნი 1958: 47) შემდეგნაირად მოიქცნენ: მშობლიური ენის სიტყვები მათ ათარგმნინეს სპეციალისტ-ფილოლოგებს, რის შემდეგაც იყო გამოვლენილი საცდელ სიტყვათა წყვილები. სიტყვათა უმრავლესობა მაინც იქნა გამოცნობილი ცდაში მონაწილე პირების მიერ.

მეთოდს №2 აქვს სამი სერიოზული ნაკლი. პირველ რიგში, ცდისპირები იცნობენ მოცემული ასოთშეთანხმების შინაარსს, ადარებენ რა მას სუფთა ფორმალური გზით მშობლიური ან მათთვის ცნობილი ენის სიტყვებს. მეორეც, ენაში ყველა სიტყვას არა აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, ცდისპირმა შეიძლება ვერ გამოიცნოს მოცემული სიტყვის მნიშვნელობა არა იმიტომ, რომ ბგერათა სიმბოლიზმი არ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ მოცემული სიტყვა შეიძლება არ იყოს არანაირი ბგერათსიმბოლური "ნიშნის" მატარებელი და ბოლოს მესამე, ორივე წინამდებარე მეთოდი საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ განსაზღვრული არტიკულაციური და შინაარსობრივი ერთეულების შესაბამისობა. "შერჩევის" მეთოდი შეიძლება გამოიყენებოდეს ზოგიერთი სპეციალური ამოცანის ამოსახსნელად, მაგალითად, ორი ან მეტი სინონიმური სიტყვის ფონეტიკური მოტივირებულობის ხარისხის გამოსავლენად. მიზანშეწონილია წარვუდგინოთ ცდაში მონაწილე პირს ორი ჟღერადობა (ერთი ან ორი მნიშვნელობით) იმ შემთხვევაშიც, როცა აუცილებელია ერთმანეთს დავუპირისპიროთ ორი ერთმანეთისაგან ერთი ან ორი დიფერენციალური ნიშნით განსხვავებული ფონემა (მაგალითად, ცდისპირს შეიძლება წარვუდგინოთ ბგერათა შემდეგი კომპლექსები dan, tan, ban და din და dan, tin და tan, რათა გამოვავლინოთ პირის აპარატის ღიაობა-დახურულობის როლი). თუმცა ექსპერიმენტის ჩატარების მესამე მეთოდი მკვლევარებს უფრო მეტ შესაძლობებს აძლევს.

მეთოდი № 3. ცდაში მონაწილე პირისათვის ერთი ჟღერადობის (ერთი ბგერის, ერთი ტიპის სიტყვების "თანხმოვანი – ხმოვანი – თანხმოვანი" ან

რთული შეთანხმების) და რამდენიმე შინაარსის წარდგენა, რომლებიც ორი პოლარული ცნების გრადაციას წარმოადგენს (მაგალითად, “ძალიან პატარა”, “პატარა”, “ნეიტრალური”, “დიდი”, “ძალიან დიდი”). ამ მეთოდის გამოყენების ნიმუშებია ი. ტეილორის შრომები (ტეილორი 1963).

ინგლისური და იაპონური ენების 5 ხმოვნისგან და 5 თანხმოვნისგან მ. მაირონმა (მაირონი 1981; 36-46) შეადგინა 50 უაზრო შეთანხმება, რომლებსაც სთავაზობდა ამერიკელებს (რომლებიც ინგლისურად ლაპარაკობდნენ) და იაპონლებს, რომლებიც ექსპერიმენტამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩამოვიდნენ ამერიკაში. ცდაში მონაწილე პირები (ორივე ჯგუფში 100 ადამიანი) აფასებდნენ მათ წინაშე წარდგენილ შეთანხმებებს 16 შკალად. მასალის სტატიკური დამუშავების შემდეგ მ. მაირონი შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

1. ინგლისურად და იაპონურად მოლაპარაკეთა მიერ ბგერათა შეფასება ერთმანეთს ემთხვევა.
2. წინაენისმიერი ბგერები ორივე ენაში აღნიშნავს “სუსტს” და “სასიამოვნოს”, ხოლო უკანაენისმიერი – “ძლიერს” ”უსიამოვნოს”.

ზოგადად ჩატარებული ყველა ექსპერიმენტის შედეგი ასეთია:

1. ცდაში მონაწილე პირებისათვის სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია იმდენად გარკვეულია, რომ უმეტეს შემთხვევაში არჩვანი სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია, იმდენად სრულყოფილი განცდა აქვს, თითქოს იცის რომ ეს ნამდვილად ასეა.
2. უცნობი სიტყვების ბგერით მხარესა და მნიშვნელობათა ურთიერთშესატყვისობის განცდას უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს რწმენა მათი გამოცნობის სისწორის შესახებ.
3. გამოცნობის სისწორის შესახებ მაღალი რწმენის არსებობის პირობებში უცნობი ენის სიტყვები ძირითადად სწორად არის გამოცნობილი.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც ცდაში მონაწილე პირთა არჩევანის დამთხვევა დიდია, უფრო ხშირად სიტყვათწყვილები სწორად არის გამოცნობილი.

§2 სახელდების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში

სანამ საკუთარ ექსპერიმენტს ჩავატარებდეთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩვენს წინამორბედთა ექპერიმენტების შედეგები და გავაკეთოთ დასკვნები.

ბგერათა სიმბოლიზმი მნიშვენელოვან როლს თამაშობს სახელდების პროცესში. სახლედების პრობლემის ექსპერიმენტული კვლევა მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან იწყება. ჯ. ინგლიშმა (კორნელის ლაბორატორია) 1916 წელს გამოაქვეყნა ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია "საკუთარი სახელების" როლი ამ სახელების მატარებელ უცნობ ინდივიდებზე (ინგლიში 1916; 27) . ეს გამოკვლევა საწყისს იღებს კ. კოლარიტსისა და ე. კლაპარედის გამოკვლევებიდან და ამიტომ მიზანშეწონილია მოკლედ მათზედაც შევჩერდეთ. კ. კოლარიტსი საკუთარი და სხვათა დაკვირვების მასალების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ უცნობ ინდივიდებზე, ლიტერატურულ გმირზე ან უცნობ ადგილმდებარეობაზე ჩვენ მიერ შემუშავებული ვიზუალური ხატი შეიძლება განსაზღვრული იყოს მისი აზრებით, სტილით, ეროვნებით, მისი სახელის ან პროფესიის მსგავსებით ნაცნობ პიროვნებასთან და სხვა.

ე. კლაპარედი (კლაპარედი 1914; 14) კოლარიტსის ამ გამოკვლევის (კოლარიტსი 1914; 8) განხილვისას მიუთითებს, რომ ასეთი ვიზუალური ხატების რაგვარობა სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული აგრეთვე საკუთარი სახელების ბგერითი შემადგენლობითაც" –სახელის ჟღერადობას აქვს აფექტური ტონი, რომელიც მონაწილეობს ამ სახელის მატარებელი ინდივიდის შესახებ გონებრივი ხატის შემუშავებაში. ყველა თანაბარი პირობების შემთხვევაში, მიუთითებს იგი, სახელი, მძიმე ან გამეორებული მარცვლებით აღძრავს დაბალი, ჩასქელებული , ცოტა სასაცილო ინდივიდის ხატს; მოკლე და

მჟღერი სახელი აღძრავს ცოცხალი, თხელი, მაღალ-მაღალი და ა.შ. პიროვნების ხატს. ამ მოსაზრების სისწორე იქედანაც ჩანს, დასძენს იგი, რომ მწერლები თავიანთ პერსონაჟებს მიაკუთვნებენ ისეთ ფიზიონომიას, როგორიც მათ უნდათ, რომ ამ სახელებმა გამოიწვიოს მათი მკითხველების წარმოსახვაში. ამ მოსაზრებით შექმნა ალბათ სახელი ტარტარენი ა. დოდემ, პიკვიკი – ჩ. დიკენსმა.... საკუთარი სახელების ფიზიონომია, კლაპარედის აზრით არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური ფაქტორი, რადგანაც ეს სახელები ყველა მკითხველში ანალოგიურ ეფექტს იწვევს.

ჯ. ინგლიშმა მიზნად დაისახა ექსპერიმენტულად შეემოწმებინა ე. კლაპარედის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება. მან ცდის სამი ვარიანტი ჩაატარა:

1. ცდაში მონაწილე პირებს აძლევდა მათთვის უცნობი ადამიანების სახელებს და სთხოვდა აღეწერათ ამ სახელების მატარებელი ინდივიდები;
2. ადამიანთა სახელების ნაცვლად ცდაში მონაწილე პირებს ეძლეოდათ უაზრო ბგერათა კომპლექსები და ევალებოდათ აღეწერათ ადამიანები, რომლებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ ზუსტად ასეთი სახელი;
3. ცდაში მონაწილე პირებს აჩვენებდნენ უცნობი ინდივიდების სურათებს და ავალებდნენ სახელი შეერჩიათ მათთვის.

ჟ. ინგლიშისა და ე. ალსპაჩის გამოკვლევებში საკვლევი პრობლემა საკმაოდ კონკრეტულია – რა სახის განცდებს იწვევს უცნობი ინდივიდების სახელები. მიღებული შედეგები მათ მიერ არ განიხილება სახელდების პრობლემასთან მიმართებაში, მაგრამ ამ ექსპერიმენტებში პირველად გამოვლინდა, რომ: <u>ცდაში მონაწილე პირების მიერ ბგერათა კომპლექსი, რაიმე ცნობიერი სემანტიკური და ასოციაციური კავშირების გარეშე, განიცდება ისეთი თვისების მატარებლად რომლებიც რაღაცნაირად შეესატყვისებიან იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ცდაში მონაწილე პირში ესა თუ ის ინდივიდი იწვევს, ამასთან დაადგინდა, რომ ბერათა კომპლექსით გამოწვეული ეს შთაბეჭდილებები ხასითდება ერთგვარი ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით.</u>

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საგულისხმო ფაქტებს გვაწვდის ზ. ფიშერის ფიშერი მიზნად ისახავს იკვლიოს: “როგორ და რა პირობებშია საზოგადოდ შესაძლებელი, რომ ბგერათა კომპლექსმა საგნის წარმომადგენლობა აიღოს თავისთავზე, როგორ ხდება კომპლექსი საგნის სახელად” (ფიშერი 1922; 42-43).

იგი თავის 5 ცდაში მონაწილე პირს, რომელთა შორის იყვნენ კარლ და შარლოტა პიულერები, თანმიმდევრობით აწვდიდა უაზრო ნახაზებს და მათ “სახელებს” – უაზრო ბგერათა კომპლექსებს. ცდაში სულ გამოყენებული იყო 6 ფიგურა, რომელთაგან თითოეულის ჩვენება 5 წამს გრძელდებოდა. ექპერიმენტში გამოვლინდა სახელდების პრობლემისათვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ, სახელდობრ აღწერილი წესით უაზრო ნახატსა ან ფოტოსურათზე გამოხატულ ადამიანთან დაკავშირებული უაზრო ბგერათა კომპლექსები ცდაში მონაწილე პირების მიერ ყოველთვის არ აღიქმებოდა ამ ობიექტების სახელებად. როდესაც ბგერათა კომპლექსი გვევლინებოდა, როგორც სახელი, იგი ძლიერ თავისებურად, სხვა ბგერათა კომპლექსისაგან განსხვავებულად აღიქმებოდა.

ინგლიშის, ალსპაჩისა და ფიშერის გამოკვლევების მნიშვნელოვანი შედეგების მიუხედავად, ისინი მაინც ვერ ჩაითვლებიან სახელდების ექსპერიმენტული კვლევის პიონერებად.

სახელდების პრობლემის ექსპერიმენტული კვლევის პირველი ცდა დ. უზნაძეს ეკუთვნის. მის ექსპერიმენტებში ცდის მასალად გამოყენებული იყო 6 უაზრო ნახაზი. “თითოეული მათგანი ისე იყო შედგენილი, რომ შეძლებისდაგვარად არც ერთი ნაცნობი საგნის წარმოდგენა არ უნდა გამოეწვია ასოციაციურად. დამზადებული იყო ექვსი ცალკე ფურცელი, რომლებზეც უაზრო სამმარცვლიანი სიტყვები იყო ჩამოწერილი (თითოზე–რვა). მაგ: იზა, ყუჯ, უბეფირ, ლაყოზუ და სხვა... ცდაში მონაწილე პირს ეძლეოდა 5 წამით თითოეული ნახაზი, იგი უნდა ჩაჰკვირვებოდა მას და შეძლებისდაგვარად ნათლად აღექვა. მას წინასწარ ეძლეოდა განმარტება, რომ თითოეული ეს ნახაზი მაგიური ნიშანი იყო და თითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა, რომელიც მას თითოეული ნახაზის ექსპოზიციის შემდეგ ეძლეოდა და შესაფერისი კომპლექსი

ამოერჩია. დრო აქაც ე.წ. წამზომით იზომებოდა. სახელის ამორჩევის შემდეგ თითოეული ცდისპირი იძლეოდა ანგარიშს თავის განცდათა შესახებ, რომლის დაწვრილებითი ოქმიც იქვე დგებოდა. ცდაში მონაწილეობა მიიღო ათმა პირმა, ხნოვანებით 19-დან 37-წლამდე" (უზნაძე 1940; 5).

ექსპერიმენტის შედეგად გამოირკვა, რომ "სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ ღებულობს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ, ჩვეულებრივ, სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენათა მიმართების მონაცემ შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ხვდება. ამ მნიშვნელობის ცნობიერებაში ორთავე დასახელებული კომპონენტის შეხვედრა ზოგადად ოთხი განსხვავებული გზით წარმოებს:

1. არსებულის ცნობილი ენის სიტყვების – სახელთა მიმსგავსების გზით განზრახულს ბგერით კომპლექსთან;
2. სახელსადები ობიექტისა და ბგერითი კომპლექსის მოყვანილობათა შეთანხმებულობის ცნობიერების გზით;
3. მათი ემოციური კომპონენტების შედარების გზით;
4. იმ თავისებური მდგომარეობის განცდის შესაფერისობის გზით, რომელიც თან ახლავს ორთავე რელატის აღქმას, და რომელსაც ცდისპირნი საერთო შთაბეჭდილების სახელწოდებით ახასიათებენ, ან უფრო გაურკვევლად – არა თვალსაჩინო აზრის საშუალებით, ან კიდევ უფრო გაურკვევლად : მარტო მიახლოებითი შესაფერისი სახელწოდების აღნიშვნით, ანდა დასასრულ, სრულიად გაურკვევლად, უილუსტრაციოდ, დაუხასიათებლად, უდადებით შინაარსიან სიტყვით "არ ვიცი რატომ", – ამბობენ იგინი." (უზნაძე 1940 ; 23)

დ. უზნაძის მიერ დასახული მიმართულებით შემდგომ მრავალი გამოკვლევა იქნა შესტრულებული, რომლებშიაც მრავალ საგულისხმო მომენტზე იქნა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ მისი გამოკვლევების ძირითადი შედეგები ყველა მათგანში დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ ცდებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ენისა და ასაკის პირები. სახელდობრ, დ. უზნაძის ექსპერიმენტებით გამოვლინდა:

1. *ბგერათა კომპლექსი ცდაში მონაწილე პირის მიერ გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად აღიქმება*. მაშასადამე გამოირკვა, რომ ჯ. ინგლიშისა და ე. ალსპაჩის (ინგლიში... 1914) ექსპერიმენტებში გამოვლენილი ფაქტი ზოგადი ხასიათისაა და არ წარმოადგენს სპეციფიკურს მხოლოდ საკუთარი სახელებისთვის. (ჯ. ინგლიშისა და ე. ალსპაჩის გამოკვლევები დ. უზნაძისათვის არ იყო ცნობილი)
2. ბგერათა კომპლექსსა და მნიშვნელობას შორის კავშირი რომ დამყარდეს, *სახელდება რომ განხორციელდეს, საჭიროა ბგერათა კომპლექსი სახელმდებლის მიერ სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის მატარებლად აღიქმებოდეს.* მაშასადამე, ზ. ფიშერის (ფიშერი 1922) ცდებში გამოვლენილმა ფაქტმა, რომ მოცემული შინაარსის სახელად ყველა ბგერათა კომპლექსი ვერ გადაიქცევა, დ. უზნაძის ექსპერიმენტებში შემდგომი დაზუსტება და დადასტურება ნახა.
3. ცდაში მონაწილე პირების მიერ უაზრო ბგერათა კომპლექსების სიიდან ამოღებული სახელსადები შინაარსისთვის შერჩეულ სახელთა დამთხვევის ხარისხი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია იგი შემთხვევითობით იყოს განპირობებული. მაშასადამე, წინააღმდეგ ინგლიშისა და ალპაჩის ვარაუდისა, *ამა თუ იმ ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ინტერინდივიდუალური კონსტანტობით უნდა ხასიათდებოდეს.*
4. ცდაში მონაწილე პირები, ცდებს შორის ხანგრძლივი ინტერვალის პირობებში, იმის მიუხედავად, რომ უკვე აღარ ახსოვთ მათ მიერ სახელსადები შინაარსებისთვის ადრე შერჩეული სახელები, განმეორებით ცდებში ავლენენ გარკვეულ ტენდენციას მიწოდებული სიიდან აირჩიონ იგივე სახელები, რომლებიც ადრე შეარჩიეს. *მაშასადამე, ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის გფუნქციის მატარებლად განცდა ინტრაინდივიდუალური კონსტანტობითაც ხასიათდება. ამრიგად, უზნაძის ცდებში დადასტურდა ე. ალსპაჩის შედეგებიც.*

ვ. კიოლერს სახელდების ექსპერიმენტული კვლევა სპეციალურად არ უწარმოებია. მაგრამ მას სხვადასხვა გრძნობის ორგანოებიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა მსგავსების საკითხის განხილვის დროს (კიოლერი 1930; 56-60) მოყავს მეტად საგულისხმო ექსპერიმენტი და გამოთქვამს მოსაზრებას, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა. მისი აზრით საგნებისა და მოვლენების სახელები წარმოიშვა მხედველობითი ან შეხებით გამოწვეული შთაბეჭდილების შედეგად, საგნების თვისებების და ბგერისა და მნიშვნელობის დაკავშირების შედეგად.

იმ გამოკვლევათა შორის, რომლებიც დ. უზნაძის შედეგების შემდგომ დაზუსტებას ისახავენ მიზნად, განსაკუთრებით საგულისხმოა ჩ. ფოქსის გამოკვლევა (ფოქსი 1935; 47). ფოქსის აზრით, დ. უზნაძის შედეგებიდან დაზუსტებასა და შემდეგ კვლევას საჭიროებს:

1. განზოგადების მართებულობა, რადგანაც ცდათა რაოდენობის სიმცირე საეჭვოს ხდის მონაცემების სანდოობის ხარისხს.
2. თვითდაკვირვების მონაცემები, რადგანაც თითოეულ ცდაში მონაწილე პირს ცდების ისე მცირე რაოდენობისას უხდებოდა თვითდაკვირვება, რომ ვერ მოახერხებდნენ გაწაფვას.
3. დებულება, რომ სახელდების ნამდვილი საფუძვლები ცდაში მონაწილე პირთა ჩვენებაშია მოცემული, რადგანაც იგი ავტორის მიერ წინასწარ, შემოწმების გარეშეა მიღებული. დ. უზნაძემ, ფოქსის აზრით, ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ შესაძლოა დაკვირვების ობიექტთა მიერ ფიგურებისათვის სახელის შერჩევის რეალურმა საფუძვლებმა ან მოტივებმა სრულიად ანდა ნაწილობრივად ვერ ჰპოვოს ასახვა ცდაში მონაწილე პირთა ჩვენებებში, რომ შესაძლებელია ცდაში მონაწილე პირებმა მოგვაწოდონ რაციონალური ჩვენებები.
4. სტატისტიკური მონაცემები, რადგანაც ისინი მცირეა და ზოგიერთი დასკვნისათვის არასაკმარისია.

ფოქსის მიერ ჩატარებული 10 ექსპერიმენტის შედეგად დადასტურდა უზნაძის შედეგები, მაგრამ მან აგრეთვე ყურადღება გაამახვილა ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალზე, რომელიც მანამ არც ერთი სხვა მკვლევარის მიერ საგანგებო ყურადღების საგანი არ გამხდარა:

- გამოირკვა, რომ ცდაში მონაწილე პირები ცალკეული ნახაზისათვის სახელის შერჩევის დროს გაცილებით უფრო ხშირად ირჩევენ ერთსა და იმავე სიტყვას, ვიდრე ავლენენ შეთანხმებულობას არჩევანის საფუძვლების დასახელებისას. ამიტომ ფოქსის აზრით, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სახელდების რეალური საფუძველი და ის "მიზეზები", რომლებსაც ცდაში მონაწილე პირები ასახელებენ თავიანთი არჩევანის საფუძვლად. ეს უკანასკნელნი ხშირად მხოლოდ "რაციონალიზაციებს" წარმოადგენენ, რომლებიც ხელს უწყობენ უკვე არჩეული სახელის ვარგისობის დასაბუთებას.
- დ. უზნაძის შედეგებისაგან განსხვავებით, ფოქსის მონაცემების მიხედვით არ შეინიშნება, რომ სიტყვები, რომლებიც შეირჩა "შინაგანი" კრიტერიუმებით განმეორებით ცდებში, რეპროდუცირებულია უფრო მეტი სიზუსტით, ვიდრე ასოციაციური კრიტერიუმით შერჩეული სიტყვები. მას მიაჩნია, რომ თავის და უზნაძის მოანცებებს შორის სხვაობა შეიძლება გამოწვეული იყოს უზნაძის ექსპერიმენტებში ცდაში მონაწილე პირების სიმცირით.

როგორც ვნახეთ, ზემოხსენებულ ექსპერიმენტებში ცდაში მონაწილე პირები ორ ჰეტეროგენულ მოვლენას – ვიზუალურ ხატსა და აკუსტიკურ შთაბეჭდილებას – ერთიმეორის შესატყვისად, ერთიმეორის მსგავსად აღიქვამენ. იმის გასარკვევად, თუ რით არის განპირობებული ეს მდგომარეობა, მნიშვნელობა აქვს დადგინდეს –ყველა ასაკისათვის არის თუ არა დამახასიათებელი ჰეტეროგენული მოვლენების ურთიერთშესატყვისად განცდის უნარი. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში კი საეჭვოა იმის გარკვევა, თუ სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურებზე რა თავისებურებებით ხასიათდება იგი.

ეს საკითხი ინტელექტის განვითარების პრობლემასთან კავშირში იკვლიეს ფ. ირვინმა და ნიულენდმა. (ირვინი.... 1940; 9). მათი ვარაუდით, სახელდების ექსპერიმენტებში ვიზუალურ ხატსა და აკუსტიკურ აღქმას

შორის მსგავსებას მეტად შენიშნავს განვითარებული ინტელექტის მქონე ადამიანი. მაშასადამე, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე მოსალოდნელია შედეგთა სხვადასხვაობა, ამასთან ასაკის ზრდასთან ერთად მსგავსების შენიშვნის შემთხვევები პროპორციულად უნდა გაიზარდოს. ცდაში მონაწილეობა მიიღო 299-მა ბავშვმა 4-დან 18 წლამდე. არჩევანთა 78% შემთხვევაში ისინი "სტანდარტულ პასუხებს" იძლეოდნენ, ე.ი ცდაში მონაწილე პირების არჩევანი დაემთხვა ექსპერიმენტატორების ჩანაფიქრს. ცდების შედეგად გაირკვა:

1. ცხრა წლის ასაკამდე პასუხების განაწილება ალბათობით მოსალოდნელის ფარგლებში თავსდება, ხოლო 9 წლის შემდეგ "სტანდარტული პასუხები" მაქსიმუმს აღწევს და ჩერდება 88%-ზე
2. სტანდარტულ პასუხთა რაოდენობაზე გავლენას ახდენს მასალის მიწოდების თანმიმდევრობა
3. ცდაში მონაწილე პირები თავიანთი არჩევანის საფუძვლად ასახელებდნენ ზოგად შთაბეჭდილებას.

<u>მიღებული შედეგების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, თითქმის ყველა აღწერილი ექსპერიმენტი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა, რაც აუცილებელს ხდის საკითხის შემდგომ კვლევასა და მიღებული შედეგების დადასტურებას.</u>

<u>ექსპერიმენტების ნაკლოვანებები:</u>

1. ვერ მოხერხდა ექსპერიმენტატორთა მიზანდასახულობის განხორციელება – რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო მიახლოებული სახელდების ექსპერიმენტული პირობები პირველად სახელდებასთან.
2. იმის გამო, რომ ექსპერიმენტები თანამედროვე ადამიანზე ტარდებოდა და ექპერიმენტატორები მიზნად ისახავდნენ გამოერიცხათ სახელდების პროცესში უკვე სახელდებული შინაარსებისა და მათ სახელთა მონაწილეობა. სახელსადები შინაარსიცა და ბგერათა კომპლექსებიც ისე იყო შედგენილი, რომ არც ერთი ნაცნობი საგნის წარმოდგენა არ გამოეწვია ასოციაციურად. ამიტომ გამოყენებული ბგერათა

კომპლექსებიცა და სახელსადები შინაარსებიც იყო უაზრო. ამის შედეგად კი სახელდების ექსპერიმენტული პირობები სახელდების, თუნდაც პირველადის, ბუნებრივი პირობებისაგან უაღრესად განსხვავებული აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ სახელდების შედეგი სიტყვაა. სიტყვა კი, როგორც ცნობილია, უაზრო ბგერათა კომპლექსისაგან იმით განსხვავდება, რომ მას აქვს მნიშვნელობა, რომ იგი გარკვეულ შინაარსს, გარკვეულ აზრს აღნიშნავს. სიტყვა, ჩვენი აზროვნების პროდუქტის – ცნების შინაარსის ობიექტივიზაციის შესაძლებლობას იძლევა: ჩვენი აზრი ობიექტურ მოცემულობად სიტყვაში იქცევა და ამით იგი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სხვებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება. ადამიანი სახელსადების ამოცანის წინაშე დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გარკვული შინაარსის ობიექტივიზაციას ახდებს და აცნობიერებს, რომ ეს შინაარსი ენაშისიტყვით არ არის ფიქსირებული. თ ვისი აზრის სხვისთვის გაზიარების საჭიროება აიძულებს მას მოახდისნოს სახელდება, რათა აზრი ობიექტურ მოცემულობად, სიტყვად აქციოს და ამ გზით მის მიერ შემეცნებული შინაარსი სხვებისთვისაც მისაწვდომი გახადოს. უაზრო მასალის სახელდების წინაშე თანამედროვე ადამიანი არასოდეს არ დგას და წარმოუდგენელია, რომ ასეთი ამოცანის წინაშე ის როდესმე მდგარიყო. ის, რაც უაზროა, არც ობიექტივიზაციას საჭიროებს და არც კომუნიკაციის მიზნებისათვის არის გამოსადეგი. ამრიგად, ზემოთხსენებულ ექსპერიმენტებში უაზრო ცდის მასალის გამო ცდისპირები სახელდების არაბუნებრივი ამოცანის წინაშე დგანან და ბუნებრივია ასეთმა ექსპერიმენტმა არ შეიძლება ამომწურავი ცნობები მოგვცეს სახელდების ბუნებრივი პროცესის შესახებ.

3. სინამდვილის საგნები და მოვლენები, როგორც ცნობილია სისტემას ქმნის, ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული, ერთმანეთზე არის დამოკიდებული და ერთმანეთს განაპირობებს. ჩვენი ცნებები წარმოადგენენ რა

სინამდვილის ასახვას, თავის მხრივ ქმნის ცნებათა ერთიან სისტემას, რომელიც სინამდვილის ერთიანი სისტემის ასახვას წარმოადგენს. ამიტომ ყოველი ცნება გარკვეულ კავშირშია, გარკვეულ მიმართებაშია ყველა დანარჩენთან. იგივე ითქმის სახელსადებ შინაარსზედაც. ნორმალურ პირობებში სახელსადები შინაარსი არასოდეს არ არის მოცემული ადამიანის ცნობიერებაში იზოლირებულად, იგი ყოველთვის არის ჩართული სხვა, უკვე სახელდებულ შინაარსებთან კავშირში. ამ კავშირებმა კი არ შეიძლება სპეციფიური დაღი არ დააჩნიოს სახელდების პროცესის მიმდინარეობას. უაზრო მასალის პირობებში კი სახელსადები მოკლებულია უკვე სახელდებულ შინაარსებთან კავშირს და მაშასადამე, ამის გამო სახელდების ექსპერიმენტული მიმდინარეობა მნიშვნელოვნად შორდება მის ბუნებრივ მიმდინარეობას.

4. უაზრო მასალის გამოყენება ცდაში მიზნად ისახავდა ცდის პროცესიდან გამორიცხული ყოფილიყო ნაცნობი, სახელდებული შინაარსების მონაწილეობა, მაგრამ ცდის მასალების ანალიზის დროს გამოირკვა, რომ, როგორც წესი, ცდაში მონაწილე პირები ამ თავისთავად უაზრო ნახაზებს და გარკვეული აზრისა და შინაარსის მქონედ განიცდიდნენ, თუმცა ცდაში უაზრო სახელსადები მასალის შემოტანამ თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა.

5. ცდაში მონაწილე ყველა პირს სახელსადებად ერთი და იგივე შინაარსი ეძლეოდა, მაგრამ მასალის უაზრობის გამო ერთსა და იმავე სახელსადებ შინაარსში სხვადასხვა პირი სხვადასხვა შინაარსს "პოულობდა", სხვადასხვა "მნიშვნელობას" დებდა.

6. ზემოხსენებულ ექსპერიმენტებში ავტორები მიზნად ისახავდნენ ისეთი ბგერათა კომპლექსები შეერჩიათ, რომ მათ "შეძლებისდაგვარად არც ერთი ნაცნობი სიტყვა არ გამოეწვიათ ასოციატურად" (უზნაძე 1956; 13)

7. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სახელდების ექსპერიმენტისათვის ყოველგვარი უაზრო ბგერათა კომპლექსი

არ გამოდგება. ამ მიზნებისათვის გამოყენებული უაზრო ბგერათა კომპლექსი უნდა შეეფერებოდეს მოცემული ენის ორთოგრაფიასა და ფონოლოგიას. ასე, აგალითად, ინგლისური ენის სიტყვები, როგორც რ. ბრაუნი მიუთითებს (ბრაუნი 1958; 68), არ იწყება ისეთი თანხმოვნების ჯგუფებით, როგორიცაა mle, lme. ინგლისურად მოლაპარაკის მიერ ასეთი კონსტრუქცია წარმოსათქმელად შეუფერებლად მიიჩნევა. ბგერათა კომპლექსი mle კი ეგუება ინგლისურ ენას და შეიძლებოდა იგი ინგლისური ენის სიტყვად გადაქცეულიყო. ამ უკანასკნელი კატეგორიის უაზრო ბგერათა კომპლექსებისაგან, რ. ბრაუნი პოტენციონალურ სიტყვებს, არალინგვისტურ სიტყვებს უწოდებს. ცხადია ორი ასეთი სახის ბგერათა კომპლექსი არ შეიძლება თანაბარი წარმატებით იქნას გამოყებული სახელდების ექსპერიმენტებში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოცემული ენის ორთოგრაფიისა და ფონოლოგიისათვის შეუფერებელი ბგერათა კომპლექსები ცდაში მონაწილე პირმა გამოიყენოს სახელსადები შინაარსის სახელად, თუმცა ასეთი ბგერათა კომპლექსები შესაძლო ასოციაციებისაგან უფრო თავისუფალია ვიდრე ე.წ. პოტენციური სიტყვები, რომლებიც უფრო მეტად ეგუებიან რა მოცემული ენის ლექსიკას, მოსალოდნელია უფრო შესაფერისი იქნენ სახელდების ექსპერიმენტისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბგერათა კომპლექსები ნაცნობი შინაარსის სახელების ასოციაციურად აღმოცენების მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებს.

8. ამრიგად მიზანდასახულობას – სახელდების პირობები მაქსიმალურად მივუახლოვოთ პირველყოფილ სახელდებას – ასეთი სახის სიძნელეც ეღობება წინ.

9. გამართლებული არ უნდა იყოს ასევე აღნიშნული ექსპერიმენტების უმრავლესობაში გამოყენებული უაზრო ბგერათა კომპექსების შედგების პრინციპებიც. როგორც წესი, გამოყენებული უაზრო ბგერათა კომპლექსები შედგენილია შემდეგნაირად ერთი თანხმოვანი – ერთი ხმოვანი ან პირიქით.

ასეთია მოკლედ ის ნაკლოვანებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად უველა ზემოხსენებულ ექსპერიმენტს ახასიათებს. ამის მიუხედავად, ეს გარემოება ვერ ხდის სახელდების პროცესის ექსპერიმენტულ კვლევას შეუძლებლად. საქმე იმაშია, რომ სახელდების ამოცანის გადაწყვეტა თანამედროვე ადამიანსაც უხდება. საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად განუწყვეტლივ ხდება ენის ლექსიკის ახალ-ახალი სიტყვებით შევსება, ახალი შინაარსების სახელდება.

რაკი სახელდების ამოცანის გადაწყვეტა თანამედროვე ადამიანსაც უხდება, მაშასადამე, რპინციპულად შესაძლებელი ყოფილა სახელდების ექსპერიმენტული კვლევაც.

თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდება მრავალმხრივ განსხვავებული იქნება პირველადი სახელდებისაგან. იმ გარემოებამ,, რომ თანამედროვე სახელმდებელი ფლობს ენას და ხშირად რამდენიმესაც, არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს სახელდების პროცესის მიმდინარეობაზე, არ შეიძლება, რომ უკვე სახელის მქონე შინაარსებმა ერთგვარი შუამავლის როლი არ შეასრულოს სახელის ძიებისას.

თანამედროვე ადამიანისათვის სახელდება ცნობიერი, მიზანდასახული პროცესია, რაც არ ითქმის პირველად სახელდებაზე. გარდა ამისა, თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული აზროვნების უნარი, რასაც მოკლებული იყო ადამიანი პირველადი სახელდების პირობებში, ცხადია, თავისებურ წვლილს შეიტანს სახელდების პროცესის სპეციფიკაში. ყოველ ენას ახალი სიტყვების წარმოების გარკვეული ტრადიცია აქვს, რასაც ექვემდებარება თანამედროვე ადამიანის სახელდების პროცესიც. ასეთი ტრადიცია პირველადი სახელდების დროს არ არსებობდა და ცხადია, თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდება ამ მხრივაც იქნება განსხვავებული. აღნიშნულის გარდა კიდევ მრავალ სპეციფიკურობაზე შეიძლებოდა მითითება, რითაც თანამედროვე ადამიანი პირველყოფილისაგან განსხვავდება და რაც თავისებურ გავლენას მოახდენს მის მიერ წარმოებულ სახელდებაზე, მაგრამ ამის მიუხედავად, საფუძველი არა გვაქვს ეს განსხვავება პრინციპული ხასიათის

განსხვავებად მივიჩნიოთ და დავუშვათ, რომ თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდების შესწავლას არაფრის მოცემა არ შეუძლია ადრინდელი სახელდების პროცესის სპეციფიკურობათა შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამ მოსაზრების ხელაღებით უარყოფა ნაჩქარევი იქნება და მასზე პასუხი უნდა მოგვცეს სახელდების პროცესის კვლევის შედეგებმა.

ამრიგად, თანამედროვე ადამიანზე წარმოებული ექსპერიმენტული კვლევის მიზანს პირველადი სახელდების პროცესის თავისებურებათა შესწავლა კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდების პროცესის სპეციფიკურობათა გამოვლინება. შესატყვისად ცდის მასალა და ცდის ორგანიზაციაც ისეთი უნდა იყოს, რომ სახელმდებელი ბუნებრივი სახელდებისათვის სპეციფიკურ პირობებში ჩადგეს, მაქსიმალურად იყოს მიახლოებული თანამედროვე ადამიანის სახელდებისათვის დამახასიათებელ პირობებს.

თანამედროვე ადამიანი რომ ბუნებრივი სახელდების ამოცანის წინაშე დადგეს, აუცილებელია სახელსადები მასალა გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებდეს.

ამჯერად თამამად შეგვიძლია შევუდგეთ საკუთარი ექსპერიმენტის განხორციელებას.

§3 ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობების პრაქტიკული კვლევა ორი ენის ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით

სრულიად მართებულად მიგვაჩნია გამოვიმუშავოთ ბგერათა სიმბოლიზმის შესწავლის ახალი მეთოდი ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის საფუძველზე, შესაბამისად შევისწავლოთ მოცემული მოვლენა ფონემაზე დიდი, მაგრამ ლექსემაზე პატარა, – სუპრაფონემის დონეზე.

გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა საკუთარი ექსპერიმენტი, საკუთარი მეთოდით, თუმცა ყველა წინამორბედის კვლევის გათვალისწინებით.

ექსპერიმენტის მიზნები

ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ენის მატარებლების მიერ გარკვეული ბგერითი კომპლექსებით გამოწვეული ფსიქო-ემოციური ასოციაციების უნივერსალურობის კიდევ ერთხელ დამტკიცებას, რომლებიც ზოგიერთმა მკვლევარმა ეჭვქვეშ დააყენა. ექსპერიმენტის მეორე მიზანი იყო სუპრაფონემის, – როგორც ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეულის, თეორიული პოსტულატის პრაქტიკით დამტკიცებას.

<u>ჩვენი ექსპერიმენტის ამოცანაა</u>:

1) ორი საკვლევი ენის ბგერათსიმბოლური მასალის შეგროვება;
2) არჩეული მასალის დაჯგუფება სიტყვის შემადგენლობაში ჩართული სუპრაფონემის მიხედვით;
3) ბგერათსიმბოლური სიტყვების ცხრილის შედგენა ცდაში მონაწილე პირთა ტესტირებისათვის;

4) დაკვირვების ობიექტთა ექსპერიმენტული ტესტირების ჩატარება საკვლევი მასალის შეგროვების მიზნით;

5) შეგროვებული ემპირიული მასალის ანალიზი ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით;

6) და ბოლოს;

ა). გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები ბგერათა სიმბოლიზმის უნივერსალურობა - არაუნივერსალურობის შესახებ;

ბ). დავამტკიცოთ ან არ დავამტკიცოთ სუპრაფონემის, როგორც სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ახალი ნაწილაკის გამოყოფის კანონზომიერება.

ექსპერიმენტის მეთოდები

ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ჩვენ გამოვიმუშავეთ შემდეგი მეთოდი :

სიტყვები განთავსდება არეულად, ენისა და სუპრაფონემების შემადგენლობების განურჩევლად, ვერტიკალურად, მაშინ, როცა, ჰორიზონტალურად წარმოდგენილი იქნება თვისებათა სხვადასხვა ტიპები “სასიამოვნო”-”უსიამოვნო” და ა. შ., რომლებიც მოგვცემენ არჩეული სიტყვების დახასიათებას.

1) აღნიშნული ცხრილები დაურიგდათ ცდაში მონაწილე პირებს – მონოლინგვებს ან მათ, ვინც არ იცოდა ექსპერიმენტში გამოყენებული ენები. მათ აუცილებლად უნდა აღენიშნათ თავიანთი სინთეზური ასოციაციები იმის შემდეგ, რაც მკვლევარი ხმამაღლა წაიკითხავს სიტყვებს. ცდაში მონაწილე პირებს უფლება ჰქონდათ გაეკეთებინათ რამდენიმე სახის შენიშვნა, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოეყოთ ერთი თვისება, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე ნათლად ახასიათებდა მოსმენილ სიტყვას და სურვილისამებრ ორი დამატებითი მახასიათებელი.

2) ყველა შედეგი დამუშავდა ასოციაციების ფორმირების მართებულობა - არამართებულობის თანახმად და გამოვიყვანეთ სწორი

პასუხების პროცენტი. რა თქმა უნდა, რაც მაღალია პროცენტი, მით უფრო თამამად შეიძლება ლაპარაკი სუპრაფონემის, როგორც ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი უმცირესი ერთეულის არჩევანის სისწორეზე.

ჩვენი ექსპერიმენტის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ, ყველა ბგერათსიმბოლური სიტყვა, რომელიც ექსპერიმენტში იქნა გამოყენებული, არის რეალურად არსებული და მათი მოძიება შეიძლება ნებისმიერ შესაბამის ლექსიკონში; თანაც მრავალი მეცნიერი მათ ნამდვილად აღიქვამს, როგორც ბგერათსიმბოლურს. უაზრო სიტყვები ცოცხალი მეტყველების კვლევაში ვერ დაგვეხმარება.

ჩვენი ექსპერიმენტის სხვა დადებითი მხარეებია:

1) ცდაში მონაწილე პირების შერჩევა ისე, რომ მათი უცხო ენების ცოდნა იყოს მინიმალური, ან იდეალურ ვარიანტში, საერთოდ არ იცოდნენ ისინი.

2) რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ექსპერიმენტში ყურადღება დავუთმეთ არა ცალკეული ბგერების, ხმოვნებისა და თანხმოვნების, არამედ ბგერათა კომპლექსების ანალიზს, რომლებიც, ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, ქმნიან სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტს – სუპრაფონემას. ამგვარმა მიდგომამ, ჩვენი აზრით, გავლენა იქონია ექსპერიმენტის შედეგებზე.

თეორია

ბგერათსიმბოლური სიტყვების ადამიანის აღქმაზე გავლენის ჰიპოთეზის შექმნისას ჩვენ უკუვაგდეთ მოძველებული თეორიები ცალკეული ბგერების "ხარისხის" შესახებ, იმის საფუძველზე, რომ არც ერთი ენისათვის არაა დამახასიათებელი მეტყველების ნაკადში ცალკეული ბგერების არსებობა.

საქმე იმაშია, რომ საკითხის დასმა ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის შესახებ, გამომდინარეობს ენის, როგორც საკვლევი ობიექტის არამართებული გაგებიდან. ის, ვინც საკითხს ამგვარად სვამს, ნებით თუ უნებლიეთ სიტყვას განიხილავს არა როგორც სწრაფად მიმდინარე ცოცხალი მეტყველების ნაწილს, მონაკვეთს, არამედ როგორც რაღაც ისეთ თვითმყოფად რაიმეს, რომელიც შეიძლება დანაწევრდეს

აუჩქარებლად და თითოეული ნაწილი სხვებისაგან დამოუკიდებლად შესწავლის ობიექტად გადაიქცეს. საკითხის ამგვარად დაყენებისას გამოდიან არა ცოცხალი მეტყველებიდან, არა წარმოთქმული სიტყვიდან, არამედ დაწერილიდან. დაწერილი სიტყვის შემადგენელ ნაწილებად დაშლა სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს ნაწილები არ იქნება ცოცხალი სიტყვის ნაწილები, ცოცხალი სიტყვა ამ ნაწილებით ვერ ამოიწურება. სიტყვა არ წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის დამოუკიდებელი ბგერების მექანიკურ შეერთებას, რომელთაგან თითოეულის ასოთი გამოხატვა შეიძლებოდეს. სიტყვა ბგერათა სიმრავლის განუწყვეტელი რიგია და ასოები არიგის დამახასიათებელ წერტილებს აღნიშნავენ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში ეს მოსაზრება საგსებით დაადასტურა სამეტყველო არტიკულაციის რენტგენოლოგიურმა კვლევამ. ამ კვლევამ ნათელყო, რომ მეტყველების ჟღერადი ნაკადის ცალკეუ ბგერებად დაყოფა ძლიერ პირობითია, რომ იგი ატარებს არა ფიზიოლოგიურ ან ფიზიკურ ხასიათს, არამედ აზრითს. ჩვენ გვესმის ცალკეული ბგერები იმიტომ, რომ ისინი სიტყვების მნიშვნელობის განმასხვავებლად გვევლინება და არა იმიტომ, რომ იზოლირებულად წარმოითქმება.

ამრიგად, ცალკეული ფორმების სიმბოლიზმის კვლევა დანიშნულებას ვერ ამართლებს, მაგრამ ამის მთავარი მიზეზი არა ამ მიზნისთვის გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდის უვარგისობაა, არამედ საერთოდ ადამიანის მეტყველების ცალკეული ფონემების კვლევის პრინციპული შეუძლებლობა. შესაძლოა მეთოდი დაიხვეწოს, შესაძლოა სხვადასხვაგვარი გზით გამოირიცხოს ცალკეულ ფონემებზე სხვა ფონემების გავლენისა და ზემოქმედების შესაძლებლობა, მაგრამ შედეგად მიღებული სიმბოლიზმი არ იქნება ადამიანის მეტყველების ფონემების სიმბოლიზმი. რადგანაც ცოცხალ მეტყველებაში ფონემა ყოველთვის ფიგურირებს როგორც ბგერათა კომპლექსის შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მისი სპეციფიკა ყოველთვის განპირობებულია ბგერათა კომპლექსის, როგორც მთელის, სპეციფიკით.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ფონემა ბგერათა კომპლექსში თავის გარკვეულობას კარგავს. ბგერათა კომპლექსი თავისი სიმბოლური

ღირებულების თვალსაზრისით დიფერენცირებული სტრუქტურის მქონეა, სტრუქტურის, რომელშიაც სხვადასხვა ბგერითი წვლილი სხვადასხვა ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი. ბგერათა კომპლექსი სიმბოლური ღირებულების თვალსაზრისით გეშტალტური მთელია.

ეს ვარაუდი, როგორც ვნახეთ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, მაგრამ ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იგი შემდგომ შემოწმებასა და ექსპერიმენტულ დადასტურებას არ საჭიროებდეს.

როგორც დაწვრილებით იქნა აღწერილი მეორე თავში, ჩვენ ტალღების ინტერფერენციას ვთვლით ცდაში მონაწილე პირებში შესაბამისი სინესთეზიური ასოციაციების წარმოშობის მიზეზადაც და საფუძვლადაც. იქვე ჩვენ შევნიშნეთ ახალი ერთეული, რომელიც შეიცავდა სიტყვის ბგერათსიმბოლურ კომპონენტს, რომელსაც ვუწოდეთ – სუპრაფონემა. ამიტომ ჩვენს გამოკვლევაში გამოვიყენეთ მხოლოდ ბგერათსიმბოლური სიტყვები, რომლებიც შეიცავდნენ ასეთ სუპრაფონემებს და არა ცალკეულ ბგერებს.

კვევის პროცესში ვხელმძღვანელობდით შემდეგი მოსაზრებებით: თუ ბგერათა კომპლექსი სტრუქტურულ მთლიანობას წარმოადგენს, მაშინ მასაც უნდა ახასიათებდეს ის თავისებურებანი, რაც გეშტალტის თვისებების სახელით არის ცნობილი. სახელდობრ გეშტალტი, როგორც ცნობილია, როდესაც არ არის დასრულებული – ხარვეზის მქონეა, ყოველთვის მიისწრაფვის დასრულებისაკენ, დანაკლისის შევსებისაკენ. ამასთან გეშტალტის შევსება შეუძლია მხოლოდ ისეთ რამეს, რაც გეშტალტს დაასრულებს და ამ მიზნისათვის ნებისმიერი დანამატი არ გამოდგება.

მასალა

კვლევისათვის ჩვენ გამოვყავით 6 სუპრაფონემა. შესაბამისად ჩვენს მიერ შეირჩა ლექსიკური მასალა – ფრანგული და იტალიური სიტყვები, რომლებიც დაიყო 6 ჯგუფად, ბგერათა კომპლექსების შესაბამისად. სიტყვები იკითხებოდა ცდაში მონაწილე პირების წინაშე ავტორის მიერ ხმამაღლა, გარკვევით, რაც შეიძლება ნაკლები ემოციით (კვლევის პროცესში სუბიექტივიზმის გამორიცხვის თვალსაზრისით). ცდისპირებს

წარედგინათ ცხრილები, სადაც ვერტიკალურად იყო განლაგებული საკვლევი სიტყვები, ხოლო ჰორიზონტალურად – მათი თვისებების სხვადასხვაგვარი შეფასება. წაკითხვის შემდეგ ცდაში მონაწილე პირებს სთავაზობდნენ მოსმენილი სიტყვის გასწვრივ გაეკეთებინათ შენიშვნები, რომლებიც მათი აზრით, ამ სიტყვას ყველაზე უკეთ ახასიათებდა.

გამოყენებული იყო შემდეგი სიტყვები იტალიური და ფრანგული ენებიდან:

1. სიტყვები, რომლებიც შეიცავდნენ სუპრაფონემას [-r]:

ფრანგული	*იტალიური*
brèche	breccia
brusque	brusco
brutale	brutale
briguand	brigante
drogue	droga
frappe	frappa
frisson	frimido
triste	triste
flagrant	flagrante
grave	grave
froid	freddo

2. სიტყვები, რომლებიც შეიცავდნენ სუპრაფონემას [-l]:

ფრანგული	*იტალიური*
flexible	flessibile
fluide	fluido
flûte	flauto
glisser	slittare

3. სიტყვები, რომლებიც შეიცავენ სუპაფონემას [sk-] [-sk]:

ფრანგული	*იტალიური*
cascade	cascata
brusque	brusco
obstacle	ostacolo

obscure	oscuro
scrupule	scrupolo

4. სიტყვები, რომლებიც შეიცავდნენ სუპრაფონემას [b-l], [g-l]:

ფრანგული	*იტალიური*
bel	bello
galant	galant
glorifier	glorificare
baleine	balena

და შემდეგი ბგერათშეერთებები – სუპრაფონემები

bl

b-l

fl

f-l

gl

gr

tr

br

შკალები

ცდაში მონაწილე პირების მიერ ყველა სიტყვა ფასდებოდა შემდეგი შკალების მიხედვით: “სასიამოვნო” – “უსიამოვნო”, “დიდი” – “პატარა”, “ნათელი” – “მუქი”, “ჩქარი” – “ნელი” და დამატებითი შკალები. ამგვარად, დაკვირვების ობიექტთაა მიერ გაკეთებული შენიშვნის მაქსიმალური რაოდენობა ერთი სიტყვის გასწვრივ არ იქნებოდა სამზე მეტი (თითო წყვილი შკალებიდან და ორი დამატებითი); თანაც, ინსტრუქციის წაკითხვისას ცდაში მონაწილე პირებს ურჩიეს გამოეყოთ ერთი თვისება, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავდა მათთვის წარდგენილ ჟღერადობას. ეს მეთოდი გამოვიყენეთ ექსპერიმენტის “სისუფთავის”, სწორი ასოციაციების მიღების მაქსიმალური შედეგის მისაღწევად (შეადარეთ მეთოდი ნომერი ორი, რომელიც წარმოადგენს “შერჩევის ექსპერიმენტის” კლასიკურ მაგალითს, სადაც ცდაში მონაწილე პირებს არ აქვს არჩევანის გაკეთების

საშუალება (ორი ჟღერადობა – ორი შინაარსი)), რადგანაც ცდისპირისათვის არჩევანის თავისუფლების შეთავაზება წარმოადგენდა ალტერნატივას და საბოლოო არჩევანის გაკეთებას ართულებდა. ეს, თავის მხრივ, მოცემული ექსპერიმენტის შედეგებს სანდოობას და ღირებულებას მატებდა, მეორე მეთოდით ჩატარებული ექსპერიმენტებისაგან განსხვავებით.

ცდაში მონაწილე პირები

ექსპერიმენტში მონაწილეობდა სხვადასხვა სოციალური სტატუსის და განათლების მქონე 32 პიროვნება, ასაკით 14-დან 47 წლამდე. ერთადერთი პირობა იყო საკვლევი ენების არცოდნა (ექსპერიმენტის "სისუფთავის" მიზნით). ანალიზისას ცდომილების თავიდან ასაცილებლად, ცდისპირებს ვთხოვეთ, არ გაეკეთებინათ არანაირი შენიშვნა იმ სიტყვების გასწვრივ, რომელთა მნიშვნელობაც მათთვის რაღაც მიზეზით იყო ცნობილი.

ინსტრუქცია

თქვენ მიიღებთ მონაწილეობას სამეცნიერო ექსპერიმენტში, რომლის მიზანია მეტყველების ბგერების შესწავლა. თქვენს წინაშეა ცხრილი, რომელშიც ვერტიკალურად წარმოდგენილია სიტყვები, ხოლო ჰორიზონტალურად საგნების ან მოვლენების სხვადასხვა თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების რამოდენიმე სვეტი, ოთხი მათგანი წყვილია, მაგალითად "დიდი" – "პატარა", და ორი ნეიტრალური. მე წაგიკითხავთ სიტყვებს ერთიმეორის მიყოლებით. შეეცადეთ მოეშვათ, სურვილისამებრ დახუჭოთ თვალები და არ იფიქროთ არაფერზე. არ შეეცადოთ სიტყვის მნიშვნელობის გახსენებას, – ის ალბათ თქვენთვის უცხო იქნება, – შეეცადეთ "იგრძნოთ" სიტყვის ჟღერადობა, მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა ასოციაციებს იწვევს ის თქვენში, განსაზღვრეთ, ჰორიზონტალურად განლაგებული თვისებებიდან, რომელი უფრო ახასიათებს მას და გააკეთეთ შენიშვნა შესაბამის სვეტში. შეგიძლიათ გააკეთოთ რამდენიმე შენიშვნა, თუ თქვენ გეჩვენებათ, რომ არც ერთი მათგანი არ ახასიათებს

სიტყვას მთლიანობაში, მაგრამ შეეცადეთ არ გააკეთოთ სამზე მეტი შენიშვნა. ცხადია, შენიშვნების გაკეთება არ შეიძლება ერთდროულად საპირისპირო მნიშვნელობის წყვილ სვეტებში. მაგალითად, არ შეიძლება აღნიშვნის გაკეთება სვეტებში "სასიამოვნო" და "არასასიამოვნო". თუ მიგაჩნიათ, რომ რომელიმე სიტყვა სვეტში თქვენთვის ნაცნობია, გამოტოვეთ ის და გადადით შემდეგ სიტყვაზე. ეს აუცილებელია ექსპერიმენტის "სისუფთავისთვის".

მასალის დამუშავება

ცდისპირთა ანკეტების ანალიზის შედეგად გამოყვანილ იქნა "სწორი" ასოციაციების საშუალო სტატისტიკური რაოდენობა, იმ ცდისპირების აზროვნებაში, რომლებმაც ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდნენ, წარმოიშვა 74% სწორი ასოციაცია საგნის ან მოვლენის თვისების მიმართ.

ზოგადი კანონზომიერებები

1. სუპრაფონემები, რომლებიც შეიცავენ ხმოვანს [u] , იწვევენ "არასასიამოვნო" შეგრძნებას. ასევე ისინი ხშირად იყვნენ "ბნელები".
2. სუპრაფონემა [-r], რომელსაც წინ უსწრებდა თანხმოვანი, ხშირად იყო "უსიამოვნო".
3. სუპრაფონემები, რომლებიც შეიცავდნენ ხმოვნებს [o], [a], ხშირად აღნიშნავდნენ "დიდს", ხოლო [e], [i] ხმოვნებით შედგენილი სუპრაფონემები – "პატარას", "სასიამოვნოს".
4. სუპრაფონემა [l-] არის ყველაზე უნივერსალური საკვლევ ენებში, ის ყველაზე ხშირად იწვევს "ნათელის" და "სასიამოვნოს" ასოციაციას.
5. იოლად ამოიცნობა სუპრაფონემები [sk-], [-sk], რომლებიც გამოხატავენ მნიშვნელობას – "ჩქარი", "არასასიამოვნო".

ექსპერიმენტის შედეგების შეფასების შედეგად კანონიერად მივიჩნიეთ სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ახალი ერთეულის, *სუპრაფონემის* გამოყოფა, რომელიც ცალკეულ ფონემაზე მეტია და სიტყვაზე პატარა. სახელწოდება სუპრაფონემა ავირჩიეთ იმიტომ, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით ის წარმოადგენს რამდენიმე ფონემის ნაკრებს, მაგრამ ეს ნაკრები საკმაოდ განსაზღვრული და დაუშლელია, ერთიანი და მთელია, როგორც ენის ყველა ერთეული, ფონეტიკურიც და სინტაქსურიც. მაგრამ სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან განსხვავებით, სუპრაფონემა არის ნაკლებად აბსტრაქტული, რადგან მიმართავს უშუალოდ ადამიანის ცნობიერებას და ქვეცნობიერებას, როგორს აზრის მქონე ბგერათა ნაკრები, იწვევს ასოციაციებს და დასახელებული საგნის ან მოვლენის სიმბოლურ აღქმას აიოლებს.

დასკვნები:

1. ბგერათა სიმბოლიზმი არ არის უნივერსალური მოვლენა, თუმცა ჩვენს მიერ გამოყოფილი სეგმენტი – სუპრაფონემა, სხვადასხვა ენის მატარებელ ადამიანების ცნობიერებაზე შეიძლება ერთნაირად მოქმედებდეს და იწვევდეს მსგავს ასოციაციებს.
2. ბგერათა სიმბოლიზმის მატერიალურ საფუძვლად მიგვაჩნია ერთი სუპრაფონემის ფარგლებში ბგერათა ტალღების ინტერფერენცია: სწორედ ბგერათა კომპექსშია შესაძლებელი მოხდეს ბგერათა ტალღების ინტერფერენცია და მოგვცეს აბსოლუტურად ახალი, მაგრამ ცალკეული ბგერებისთვის არადამახასიათებელი ეფექტი.
3. ნებისმიერი ბგერების ერთობლიობა ბგერათა კომპლექსს ვერ შექმნის, ხარვეზიანი გეშტალტის შესავსებად ყველა ბგერა არ გამოდგება
4. სიტყვის ბგერითი მხარე, გარკვეული სტრუქტურის მქონეა და მის სხვადასხვა ნაწილს ბგერათა კომპლექსის მთლიანობაში სხვადასხვაგვარი წვლილი შეაქვს

5. აუცილებელია, მოტივირებულად და ობიექტურად განპირობებულად ვაღიაროთ საგნებისა და მოვლენების სახელდება.
6. ბგერათსიმბოლური სიტყვების შედარებით მცირე რაოდენობა (პროცენტული მიმართებით) მსოფლიოს თანამედროვე ენებში შეიძლება აიხსნას სუპრაფონემების შეზღუდული რაოდენობით ამ ენებში. თუმცა მაინც, ბგერათსიმბოლური ფუძეების მაღალი ეფექტურობა, მათი ემოციური შეფერილობა, ხშირად ესთეტიური ღირებულებაც, რაც მათი, როგორც სტილისტური ხერხის გამოყენების საშუალებას იძლევა პოეზიასა და პროზაში სასურველი ეფექტის მისაღწევად, მიუთითებს ბგერათსიმბოლური კომპონენტის შემცველი სიტყვების საერთო ლინგვისტურ და კულტურულ მნიშვნელობაზე. დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ასეთი სიტყვები ყოველთვის იარსებებს ყველა ენაში და არც თუ ისე მეორეხარისხოვან როლს ითამაშებს როგორც ყოველდღიურ ურთიერთობაში, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.

ექსპერიმენტის დადებითი მხარეები

ბგერათსიმბოლური სიტყვები პირველად იქნა განხილული ახალი ჰიპოთეზის საშუალებით.

მოცემული ექსპერიმენტის კიდევ ერთი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, გამოიყო ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ახალი ერთეული – სუპრაფონემა.

ასევე აუცილებელია ავღნიშნოთ ახალი მეთოდის ეფექტურობა იმ თვალსაზრისითაც, რომ <u>აუცილებელია შევისწავლოთ არა ცალკეული ბგერები, არამედ ბგერათა კომპლექსები. ექსპერიმენტებიც, შესაბამისად, უნდა ჩატარდედს არა ფონემის, არამედ სუპრაფონემის დონეზე, რომელიც ბგერათსიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია.</u>

აღნიშნული პრობლემის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის, მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ, კანონზომიერად მივიჩნიეთ, წარმოგვედგინა შემდეგი დასკვნები:

1. სიტყვის ბგრათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეულია – სუპრაფონემა, რომელიც შედგება ცალკეული ფონემებისაგან და არის მყარი შესიტყვება, სპეციფიური კონკრეტული ენისათვის.
2. ბგერათა სიმბოლიზმის მატერიალური საფუძველი არის ისეთი ფიზიკური მოვლენა, როგორიცაა ბგერითი ტალღების ინტერფერენცია ერთი ერთეულის – სუპრაფონემის ფარგლებში.
3. სუპრაფონემების ნაკრები სპეციფიურია ყოველი ენისთვის, თუმცა მონათესავე ენებში არსებობს მსგავსი სუპრაფონემები, რომლებიც აღნიშნავენ საგნის ან მოვლენის ერთსა და იმავე თვისებებს.
4. ასოციაციები, რომელსაც იწვევენ სუპრაფონემები, ყოველთვის კომპლექსურია და აიხსნება ადამიანების ცნობიერების სპეციფიკით.
5. ამრიგად, ბგერათა სიმბოლიზმის და მისი მატერიალური საფუძვლების პრობლემა კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაღიარებთ ამ პრობლემის შემდგომი კვლევის პერსპექტიულობას ფონოსტილისტიკის, ფსიქო და ნეიროლინგვისტიკის სფეროში, სადაც არსებობს ბგერების და ადამიანის ტვინზე მათი ფიზიკური ზემოქმედების, ასოციაციების ფსიქიკური ბუნების შესწავლის უფრო მეტი შესაძლებლობა.

ბგერათშეერთებები, რომლებიც იწვევენ ასოციაციას "სასიამოვნო"

1	2	3	4
ბგერათშეერთებები	სიმბოლური მნიშვნელობა (ასოციაციები, რომლებსაც ეს სიტყვები იწვევენ)	ფრანგული სიტყვები	იტალიური სიტყვები
bl	სინაზე	bel	bello
b-l	სიმსუბუქე	balle	balla
	სილამაზე	bleu	blu
fl	ნაზი		
f-l	ახალი	flexible	flessibile
	მსუბუქი	fluide	fluido
	აბრეშუმი	flûte	flauto
	აღმაფრენა	felin	felino
gl	სინათლე		
	სიხარული		
		gloire	gloria
		glorifier	glorificare

ბგერათშეერთებები, რომლებიც იწვევენ ასოციაციას "დიდი"

1	2	3	4
ბგერათშეერთებები	სიმბოლური მნიშვნელობა (ასოციაციები, რომლებსაც ეს სიტყვები იწვევენ)	ფრანგული სიტყვები	იტალიური სიტყვები
Gr	იდი სერიოზული	Grave grand grade grenade gronder gros	grave grande grado melagrana sgridare grosso

ბგერათშეერთებები, რომლებიც იწვევენ ასოციაციას "არასიამოვნო"

1	2	3	4
ბგერათშეერთებები	სიმბოლური მნიშვნელობა (ასოციაციები, რომლებსაც ეს სიტყვები იწვევენ)	ფრანგული სიტყვები	იტალიური სიტყვები
Kr	არასასიამოვნო ნგრევა	Cruel	crudele
		crepuscule	crepuscoloso
		cru	crudo
		craquement	scricchiolio
		craquer	scricchiolare
		brèche	breccia
br		brusque	brusco
		brutale	brutale
		briguand	brigante
		briller	brillare
		brise	brezza
		brûlant	bruciante
		brulé	bruciato
		brute	brutto
		tragique	tragico
		triste	triste
Tr		trembler	tremare
		tronquer	troncare

	ჩახცახი		

თავი IV

ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობების გამოვლინება და აღქმა

§ 1. ბგერათა სიმბოლიზმის როლი საქონლის დასახელების შერჩევის პროცესსა და მარკეტინგში

წინა თავებში ჩვენ ხაზი გავუსვით ფონეტიკური სიმბოლიზმის როლს ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების დროს. აღინიშნა, რომ გარკვეული ბგერათშეერთებები იწვევენ სხვადასხვა ასოციაციებს ადამიანის ტვინის მიერ მოსმენილის აღქმისას.

ამრიგად მართებულად მიგვაჩნია განვიხილავთ ფონეტიკური სიმბოლიზმის როლი საფირმო ნიშნების შედგენისა და აღქმის პროცესში.

პროდუქციისათვის სახელწოდების შერჩევისას ორი გზა არსებობს. პირველი, – ეს არის სემანტიკური სახელდება, ანუ სახელი ხდება პროდუქტის შესახებ გარკვეული სახის ინფორმაციის მატარებელი. თუმცა არსებობს სახელდების სხვა, არასემანტიკური მეთოდებიც, როცა ძირითადი ყურადღება გადატანილია არა შინაარსზე, არამედ ჟღერადობაზე. მენეჯერები იყენებენ ისეთ ფონეტიკურ საშუალებებს, როგორიცაა ხმოვნის გარითმული გამეორებები, ალიტერაცია, სიტყვების შეკვეცა – გაფართოება, სასურველი ჟღერადობის მისაღწევად და ა. შ. თუ მეტყველების ბგერები ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ ფსიქო–ემოციურ ასოციაციებს იწვევენ, მაშინ ბგერათა ის ნაწილი, რომელიც არასასიამოვნო ასოციაციების გამომწვევია, ამოღებულ უნდა იქნას სახელწოდებებიდან.

საჭიროა პროდუქციისათვის სახელის სწორად შერჩევა, რათა მან ბაზარზე წარმატება მოიპოვოს, თანაც სახელწოდება შინაარსობრივადაც და ჟღერადობითაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის თვისებებს (ზოგჯერ კი მხოლოდ ჟღერადობით). ფირმები დიდ დროს უთმობენ პროდუქციისთვის სახელწოდების შერჩევას, რადგან საფირმო ნიშნის გამომხატველობამ და ბგერათშემცველობამ ზეგავლენა უნდა მოახდინოს ადამიანის მეხსიერებასა და აღქმაზე.

ბგერათა სიმბოლიზმის როლი საფირმო ნიშნებისა და პროდუქციის დასახელების პროცესში რომ განვსაზღვროთ, ჯერ უნდა განვიხილოთ, თუ რა არის ნეიმინგი (ანუ ბიზნესის ენაზე პროდუქციისათვის "წარმატების მომტანი" სახელის შერჩევა, სახელდება).

შეხედულებები საქონლისათვის სახელწოდების შერჩევის პროცესსზე ზოგჯერ დიამეტრიულად განსხვავებულია. ერთნი ფოქრობენ, რომ სწორად შერჩეული სახელწოდების გარეშე ფირმა ან საქონელი არ შეიძლება იყოს წარმატებული. მეორენი ამტკიცებენ, რომ რა სახელიც არ უნდა ეწოდოს საქონელს, მთავარია ის ხარისხიანი იყოს. რა თქმა უნდა ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის პოპულარობისათვის, მაგრამ სახელწოდება, ეს არის საქონლის და მომხმარებლის პირველი კონტაქტი, ხოლო პროდუქციისათვის სახელის მოფიქრება მისი არსებობისა და განვითარების პირველი ეტაპი. ამგვარად, სახელის შემუშავების პროცესი, რომელსაც ინგლისურად "ნეიმინგს" (naming) უწოდებენ ხოლმე, ეს არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც არც თუ ისე მეორეხარისხოვან როლს ასრულებს ბგერათა სიმბოლიზმი.

ნეიმინგი – ეს არის სპეციალური სააგენტოების პროფესიული მოღვაწეობის სპეციფიური სფერო. ეფექტური სახელწოდება სჭირდება არა მხოლოდ ახლადაღმოცენებულ კომპანიებს არამედ ცალკეულ მარკებს, რომლებიც ბაზარზე წარმოდგენილია ამა თუ იმ ფირმის სახით.

სახელწოდება პირველ რიგში უნდა გამოჰყოფდეს პროდუქტს სხვა კონკურენტული ფირმის პროდუქციისაგან. მიმბაძველობა ხშირად დამღუპველია ბრენდისათვის.

ამ საკითხის სპეციალისტების აზრით, მომავალ მშობლებს უფრო უიოლდებათ საკუთარი ბავშვის სახელის მოფიქრება, ვიდრე მარკეტოლოგებს ახალი საქონლის დასახელებისა. სახელის მოფიქრების მეთოდოლოგია ასეთია:

- პირველი ეტაპი: კვლევა

რათა დაიწყოს საქონლის სახელის შერჩევა შესწავლილ უნდა იქნას ბაზარი, ჩატარდეს გამოკვლევა და შეჯამდეს შედეგები, მოპოვებულ იქნას რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია კონკურენტების შესახებ. ანუ დამუშავდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სახელის შერჩევისათვის.

- მეორე ეტაპი: იდეების განზოგადება

ამ ეტაპზე კომპანიის თანამშრომლები ახდენენ იდეების განზოგადებას. იდეებისა, რომლებიც შეეხება სახელწოდებას.

- მესამე ეტაპი: სახელზე შერჩევა

ის სახელწოდებები და დასახელებები, რომლებიც უკვე შემუშავებულ იქნა და ბაზარზე გავიდა, გადის ანალიზს, კერძოდ კი მას ამოწმებენ ფონეტიკისა და სემანტიკის სპეციალისტები. ამ შემთხვევაში ჟერადობას განსაკუთრებული როლი ეკისრება. აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, თუ როგორ ჟღერს ესა თუ ის დასახელება სხვა ენაზე.

მაგალითად კომპანია კოკა-კოლა დიდხანს ეძებდა შესაფერის სახელწოდებას რათა ჩინეთის ბაზარზე შესულიყო. საქმე იმაშია, რომ ჩინელები კოკა-კოლას წარმოთქვამენ, როგორც "კეკუკელა" რაც საკმაოდ უსიამოვნო ასოციაციებს იწვევდა მომხმარებელში (თარგმანში ეს აღნიშნავს "უკბინე ცვილის თავკომბალას"). კომპანია იძულებული გახდა 40 000 ვარიანტიდან შეერჩია ყველაზე უწყინარი ჩინელებისათვის. დასახელება ჟერს დაახლოებით ასე "კოკუ-კოლე" .

ცნობილმა კომპანიამ General Motors ასევე ფიასკო განიცადა შეეცადა რა ლათინურ ამერიკაში შეეყვანა ახალი ბრენდი Chevrolet Nova რადგან ესპანურ ენაზე ეს იწვევდა ასოციაციას "არ (ვერ) დადის".

- მეოთხე ეტაპი: შემკვეთის შეფასება

წინა ეტაპებზე შემუშავებული იდეები აუცილებლად უნდა შეაფასოს შემკვეთმა.

- მეხუთე ეტაპი: ტესტირება

შერჩეულმა სახელწოდებებმა აუცილებელია გაიარონ "ტესტირება" ფოკუს-ჯგუფებში.

- მეექვსე ეტაპი: საბოლოო

სახელწოდებების ნუსხა იურიდიული დოკუმენტაციისა და ფოკუს-ჯგუფების დასკვნების თანხლებით გადაეცემა დამკვეთს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ძირითადად ბრენდების სახელწოდებები ნეოლოგიზმებია. Tylenol, Teflon,Pepsi -ეს ყველა ნეოლოგიზმია. ნეოლოგიზმებს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. <u>დადებით მხარედ ითვლება ის, რომ ნეოლოგიზმებს არ აქვთ "ისტორია".</u> ახალი სიტყვა არაფერს არ ნიშნავს, ხოლო თუ კომპანიას გაუმართლებს საქონლის სახელწოდება ხალხს არა მხოლოდ დაამახსოვრდება, არამედ განაპირობებს შემდგომში მთლიანად კატეგორიის დასახელებას (Xerox, Kleenex, Pampers)

სახელდების სქემა

1	აბრევიაცია	Abbreviation	FedEx, Microsoft, PanAm
2	აკრონიმი	Acronym	IBM, BP, KFC
3	ალიტერაცია	Alliteration	Dunkin` Dinuts, Roto Rooter, Intel Inside
4	მითითება	Allusion	London Fog, V-8, B-12, 7-Eleven
5	ანალოგია	Analogy	Gateway 2000, Kool-Aid
6	აზრის გადატანა	Appropriation	Soap, Java Bloody Mary`s
7	შერჩევითი	Arbitrary	Apple, Red Pepper, Poppy
8	კლასიკური ფესვები	Classical Roots	Pentium, Quattro
9	ნეოლოგიზმები	Composition	Nutrasweet, Kodak, Qualcomm
10	აღწერითი	Descriptive	Volkswagen, Caterpillar, Head & Shoulders
11	სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები	Foreign Language	Haagen Daz, Volare, Montero
12	დამფუძნებელთა გვარები	Founders	Hewlett Packard, Hilton, Disney, Ford
13	შერწყმა	Fusion	Eveready, DirecTV, ReaLemon
14	ისტორიული და გეორგრაფიული	Historical & Geographical	Rocky Mountain Chocolate, Silicon Valley Bank

15	იუმორისტული	Humor	Yahoo!, Bullfrog, Please Go Away
16	იდეოფონემები	Ideophonemes	7-UP, Union 76, 3COM
17	ჟურნალიტური	Journalistic	Silicon Valley, New England
18	მეტონიმია	Metonymy	Sillicon Alley, Starbucks
19	მიმეტური	Mimetic	Krispy Kreme, Kleenex
20	მორფემული კონსტრუქციები	Morpheme Construction	Amtrak, Unisys, Qualcomm, Compuserve
21	მითოლოგიური	Mythological	Centaur, Mercury
22	ხმაბაძვითი	Onomatopoeia	ZapMail, Kookooroo, Kisses
23	ოქსიმორონი	Oxymoron	Lowe Alpine, True Lies
24	პოეტური	Poetics	Rockin` Tacos
25	რეალური სიტყვები	Real words	Apple, Adobe
26	ძველი წარმოშობის	Retrogressive Formation	Ceaser`s Palace
27	რითმიული	Rhyme	Shake `n Bake, Osh-Kosh
28	სიმღერიდან ან მოთხრობიდან აღებული	Song and Story Origins	Orient Expresse, Aladdin Thermos
29	ბგერათი სიმბოლიზმი	Sound Symbolism	Talon, Kraft, RoundUp
30	სიმბოლიზმი	Symbolism	Tahoe, Yukon, Ford Explorer, Mustang

31	შეკვეცა ან შეერთება	Tacking and Clipping	Nilla Wafers, FedEx, Amex
32	თემატური	Themes	Apple Macintosh, BMW, Boeing 707
33	ჩამოჭრა	Troncation	Intel, Cisco Systems

გავიხსენოთ შემთხვევა (IBM, NEC, DEC, PSDI და ა.შ.)თუ ბრენდის სახელწოდება იწყება "s" ით ის ასოცირდება "უცნაურთან", თუ დაიწყება "k" თი ის აღქმულ იქნება როგორც "საიმედო". სახელწოდებები, რომლებიც იწყება "s", "k" და "b" ზე მყიდველის მიერ აღიქმება, როგორც "ტრადიციული" და "კლასიკური", იმ დროს როცა ბგერები "z" "x" "w" უფრო "ინოვაციურად" ჟღერს. გარდა ამისა, ბგერები "l", "v", "f", და "w" აღიქმება, როგორც "ქალური", ხოლო "x", "m" და "z" უფრო "მამაკაცურთან" ასოცირდება.

შეადარეთ: Louis Vuitton და Microsoft Xbox . ეს მხოლოდ ნაწილია იმ საინტერესო დასკვნებისა, რომლებიც შეიძლება ვიპოვოთ ამერიკული კომპანიის Strategic Name Development კვლევებში.

ბგერის "s" კლაკნილი გველისებური ფორმა ასოცირდება "ვნებასა" და "გრნობასთან", – ამბობს უილიამ ლოზიტო (ჰარტლი 1992: 96), Strategic Name Development - ის პრეზიდენტი. ამიტომ, მისი აზრით, ისეთი ბრენდები, როგორიცაა Sara Lee და Stouffers, ითვლება უფრო "ქალურებად". რატომ ასოცირდება "კ"ზე დაწყებული სიტყვები, ისეთები, როგორიცაა "kraft" ასოცირდება "საიმედოობასთან"? ნაწილობრივ ეს ბგერის მოკლე და მკაფიო ჟღერადობის დამსახურებაა, რომელიც მიუხედავად აქცენტისა და სხვა გარემოებებისა, თითქმის ყოველთვის ყველა ენაში ერთნაირად ჟღერს.

როგორც წესი, ნეიმინგის პროცესში შესაბამისი დასახელების შერჩევისას მარკეტოლოგები ითვალისწინებენ მარცვალთა რაოდენობას, დამახსოვრების სიადვილეს და წარმოთქმის სიმარტივეს. Strategic Name Development ის კვლევები მარკეტოლოგებს შეახსენებს სიტყვების დამატებითი ფსიქოლინგვისტური ანალიზის მნიშვნელობას. "ჩვენმა კვლევებმა ჩვენ საშუალება მოგვცა გაგვეგო რატომ არის ესა თუ ის ბრენდი წარმატებული" – აცხადებს ლოზიტო – Strategic Name Development ის პრეზიდენტი (ჰარტლი 1992: 86) და თან დასძენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საქმიანობას ძნელია ვუწოდოთ ზუსტი მეცნიერება, ეს უმთავრესი ინსტრუმენტია ახალი სახელწოდებების შექმნისას.

Strategic Name Development-მა ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდა 400–ზე მეტი ადამიანი. ცდაში მონაწილე პირებს უნდა შეეფასებინათ ინგლისური ანბანის ბგერები 9 ბალიანი შკალით და ზოგადი შეფასებითი პარამეტრებით (სიახლე, ქალურობა, სინაზე და პირიქით). ჯერ-ჯერობით კომპანიას არ ჩაუტარებია ხმოვნების გამოკვლევა. საქმე იმაშია, რომ გამოყენების კონტექსტი უშუალო გავლენას ახდენს ენობრივი ერთეულის კონოტატურ მნიშვნელობაზე.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ასეთი კვლევის ჩატარება რთული არაა. საკმარისია ცდაში მონაწილე პირებს წარვუდგინოთ მასალა შეფასებისათვის რამდენიმე თვისების მიხედვით, როგორიცაა მაგალითად – ლამაზი-უშნო, ნათელი-ბნელი, ხმაურიანი-წყნარი და ა.შ. ჩამონათვალი შეიძლება ნებისმიერი იყოს, თუმცა მასალის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანტონიმები იყოფა კონოტატური მნიშვნელობის მქონე 3 უნივერსალურ კატეგორიად:

შეფასებითი – "კარგი" – "ცუდი", "მხიარული" – "მოწყენილი" და ა.შ.

ძალისმიერი – "ძლიერი" – "სუსტი", "მაგარი" – "რბილი" და ა.შ.

აქტივობასთან დაკავშირებული – "ჩქარი" – "ნელი", "ცხელი" – "ცივი" და ა.შ.

მიღებული შედეგების მიხედვით კომპანიამ გამოაქვეყნა გამოვლენილი ბგერითი ასოციაციების სია და აქედან გამომდინარე

გაანალიზა 1000–ზე მეტი ყველაზე რეკლამირებული ბრენდის სახელწოდებები. ექსპერტებმა გამოყვეს 11 კატეგორია, რომელთა შორის არის “საკვები პროდუქტები”, “რესტორნები”, “სასმელები”, “ავტომობილები”, “სილამაზე და ჯანმრთელობა”, “საცალო ვაჭრობა” და ა.შ.

ამრიგად, თუ კომპანია, რომელიც დაკავებულია ელექტრო საქონლის წარმოებით, უშვებს ახალ პროდუქციას და დაინტერესებულია, რომ მისი ბრენდი აღიქმებოდეს მყიდველის მიერ, როგორც ინოვაცია, საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი ბგერები, როგორიცაა “q” ან “x” (წარმატებული მაგალითებია Xbox ან Microsoft).

ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა ასევე, რომ პროდუქტების დასახელებებში მეტია ასო ვიდრე მარცვალი. ხოლო ათასობით ყველაზე ხშირად რეკლამირებული ბრენდების სახელწოდებებში პირიქით. მოკლედ რომ ვთქვათ, ნეიმინგის პროცესში “მოკლე” ჯერ კიდევ არ ნიშნავს “უკეთესს”. წარმატებული ბრენდების ,მხოლოდ 32% არის ერთ ან ორმარცვლიანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური კვლევები ტარდება რუსეთშიც, საკვლევი მასალა შესაბამისად რუსულენოვანი პროდუქციაა. შესაბამისი კვლევის ყველაზე ცნობილი სისტემაა კომპიუტერული პროგრამა "ВААЛ" (ვაალი. რუ 2002). ამ პროგრამის შექმნის წინაპირობა იყო შესაბამისი ენობრივი მოვლენა – სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას შორის არსებული კავშირი. პროგრამა ზოგადად საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სიტყვის ფონეტიკური სტრუქტურის ემოციური გავლენა ადამიანის ქვეცნობიერებაზე.

ბგერათა ქვეცნობიერი გავლენის გამოსავლენად და დასახასიათებლად ეს სისტემა იყენებს ან 20 ერთპოლარულ შკალას (მშვენიერი, ნათელი, ნაზი, მხიარული) ან 24 ბიპოლარულ შკალას, რომელიც წარმოდგენილია ანტონიმური წყვილების სახით (ლამაზი – უშნო, მსუბუქი – მძიმე, უსაფრთხო – საშიში, აქტიური – პასიური და ა.შ.).

მაგალითად:

“k” – წვეტიანი, ჩხვლეტია, თუმცა მეცნიერთა აზრით ის კარგად ჯდება კურიერული მომსახურების კომპანიათა სახელწოდებებში (50%)

ბგერა “z” რაღაც “საშიშისა” და “ავის” შთაბეჭდილებას ახდენს (30% და 35%), თუმცა ამავდროულად გამოხატავს “ძალასა” და “სიმამაცეს” (40% და 25%). ბგერა “m” სჯობს არ გამოვიყენოთ რესტორნებისა და ცხელი პროდუქტების სახელწოდებებში, რადგან სკალის მიხედვით 0% დან 100% მდე ის ასოცირდება “სიცივესთან”.

რუსებში ძალიან ცუდ ასოციაციებს იწვევს ბგერები (Ч, Ш, Щ, Х, С, Ф). მათ მახასიათებლებში დომინირებს ისეთი სიტყვები, როგორიცაა “პასიური”, “მოთენთილი”, “მოწყენილი”, “ნელი” და ა.შ.

ბგერები "Л" და "Д" პირიქით, ასოცირდება “სიხარულთან”, “სინათლესთან” და “სიკეთესთან”.

მოკლედ რომ ვთქვათ ამერიკელი მეცნიერებისაგან განსხვავებით, რუსი მკვლევარები არა მხოლოდ საწყისი ბგერის სიმბოლიზმსა და ასოციაციებს იკვლევენ, არამედ ბგერათა ერთობლიობას. სიტყვა ხომ ბგერათა ერთობლიობაა.

მეორე მხრივ, სახელის ანალიზი – მრავალფაქტორული პროცესია. ვიყენებთ რა ნეიმინგის სპეციალისტთა კვლევებსა და მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებს, უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ სახელწოდებების აღქმის ბგერითი ასპექტი, არამედ გრაფიკა, კონკურენტული გარემო, აზრობრივი ასოციაციები და სხვა პრამეტრები.

ფრანგულ ენაში მაგალითად, აკრძალული ბგერათშეერთებები ფართოდ გამოიყენება საფირმო ნიშნების სახელწოდებებში. როგორც ცნობილია, წელიწადში საფრანგეთში რეგისტრირდება დაახლოებით 45 ათასი საფირმო ნიშანი. ყოველი მათგანი ერთადერთია და განუმეორებელი. სახელწოდება შეიძლება აღებულ იქნას ლექსიკიდანაც, მაგრამ აუცილებელი მოთხოვნაა *ლამაზი ჟღერადობა.*

ანალიზისათვის ავიღოთ ჩვენთვის ცნობილი და მსოფლიოში პოპულარული ფრანგული პროდუქტის რამდენიმე დასახელება :

Allure – ცნობილი ფრანგული სუნამო კოკო შანელისაგან, რომელიც შეიცავს ცდისპირების მიერ ყველაზე “სასიამოვნოდ” აღქმულ ბგერას [l].

შეგვიძლია ჩამონათვალი გავაგრძელოთ

Miracle

Elsève

Éclat

და ა.შ.

როგორც ალბათ შენიშნეთ, დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ფრანგული სუნამოების სახელწოდებებში დომინირებს ექსპერიმენტების შედეგად "ყველაზე სასიამოვნოდ" აღქმული ბგერა [l]. ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. დასავლეთში პროდუქციისათვის სახელის შერჩევა მეცნიერებისა და ხელოვნების დონეზე ხდება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხარისხის გარდა სახელწოდებაც ახდენს მყიდველზე ზემოქმედებას. პირველი კონტაქტი ხომ პოტენციური მყიდველის ცნობიერებასა და პროდუქციის დასახელებას შორის რეკლამის სახით ხორციელდება.

არც ერთი წარმატებული პროდუქტის სახელწოდებაში არ შედის არასასიამოვნო ასოციაციების გამომწვევი ბგერათშეერთებები, ისეთები, როგორიცაა:

[br]
[bsk]
[bt]
[kr]
[ks]
[ksp]
[fr]
[gz]
[pf]
[pr]
[pst]
[str]
[tr]

განსაკუთრებით ეს ვრცელდება სუნამოებისა და საკვები პროდუქტების დასახელებებზე, რასაც ვერ ვიტყვით მანქანებისა და შედარებით “ხისტი” პროდუქციის სახელდებაზე, ისეთი, როგორიცაა ლუდი, იარაღი და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ფირმის მენეჯერები უპირატესობას შედარებით “უხეშ” და ხანდახან დაუშვებელ ბგერათშეერთებებს იყენებენ, თუმცა ყველა შემთხვევაში, სტატისტიკის მიხედვით, პროდუქციის პოპულარობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის დასახელებაზე.

მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ ზოგიერთი ბრენდისათვის სახელის შერჩევისა ან შეცვლის პროცესი.

ავიღოთ კომპანია **Canon**

Precision Optical Instruments Laboratory in Japan - Kwanon-Canon

დასახელების ცვლილება გამოიწვია მისმა არაპოპულარობამ და არაკეთილხმოვანებამ.

კომპანია **Google** თავიდან იწოდებოდა **BackRub**

სახელწოდების ცვლილება მოხდა იგივე მიზეზით, რაც **Canon** შემთხვევაში.

BackRub-Google

Kodak ის ფირმის პირველი აპარატი გამოვიდა 1888 წელს. ჯორჯ ესტმენმა – ფირმის ხელმძღვანელმა დიდხანს ეძება ისეთი სახელწოდება, რომელიც თითქმის ყველა ენაში წრმოითქმებოდა ერთნაირად. საბოლოო ჯამში მივიღეთ წარმატებული ბრენდის წარმატებით შერჩეული სახელწოდება, რომელიც ხალხურ მეტყველებაში დღემდე რჩება ფოტოაპარატის სინონიმად.

პოპულარულ არაალკოჰოლურ გამაგრილებელ სასმელს **Pepsi** თავიდან ერქვა **Brad’s drink** და საკმაოდ არაპოპულარული გახლდათ. სახელწოდება კომპანიამ 100 დოლარად იყიდა და მას შემდეგ პოპულარობას არ უჩივის.

იგივე ისტორია აქვს მსოფლიოში სახელგანთქმულ კომპანიას Sony , რომლის სახელწოდებაც თავდაპირველად იყო “ტოცუკო” რაც საკმაოდ არასასიამოვნოდ ჟღერდა და რთულად წარმოსათქმელი და აღსაქმელი

გახლდათ ევროპელებისათვის. ამიტომ კომპანიამ შეიმუშავა ახალი და საკმაო წარმატებული (როგორც შემდგომ აღმოჩნდა) დასახელება, რომელიც დღემდე კომპანიის პოპულარობასა და წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები უდიდეს გავლენას ახდენენ ადამიანის ცნობიერებაზე და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ საგნების აღქმას, თუმცა ზოგჯერ ეს აღქმა შეიძლება ძლიერ სუბიექტურიც იყოს. ბგერების სუბიექტური აღქმა ძირითადად პოეზიაში ვლინდება.

§ 2. ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები პოეზიაში

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები ფონეტიკური სიმბოლიზმის ჭრილში. გამოვყავით სიტყვის ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი ერთეული – სუპრაფონემა და ავხსენით ბგერათა სიმბოლიზმის ფუნქციონირების მექანიზმი. ავღნიშნეთ, რომ პრობლემის კვლევა პერსპექტიულია ასევე ფონოსტილისტიკის სფეროში.

როგორც ცნობილია ფონოსტილისტიკა იკვლევს ენის ექსპრესიულ ფუნქციას. სტილისტიკისაგან განსხვავებით, რომელიც შეისწავლის უფრო კომპლექსურ მთლიანობებს (წინადადება, ფრაზა, პარაგრაფი, ტექსტი), ფონოსტილისტიკა ცალკეულ ბგერებს მიმართავს.

ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბგერათშეერთებებს (და არა ცალკეულ ბგერებს) გააჩნიათ ე. წ. *პოეტური ფუნქცია* ანუ ფუნქცია, რომელიც გულისხმობს შეტყობინებას.

როგორც ვიცით, პოეზია ძალიან ხშირად მიმართავს ბგერათა სიმბოლიზმს. პოეტები ხმოვნებს ყოფენ ჯგუფებად, რათა გამოხატონ გარკვეული ცნებები, ასევე იყენებენ ცალკეულ თანხმოვნებს სხვადასხვა მოვლენების უკეთ წარმოსაჩენად. ა. რემბოს ცნობილი სონეტი "ხმოვნები", ამის ტიპური მაგალითია.

__A__ noir, __E__ blanc, __I__ rouge, __U__ vert, __O__ bleu : voyelles,
Je dirai quelque jour vos naissancecs latentes :
__A__, noir corset velu des muoches éclatantes
Qui bombinent autour des puanteurs cruelles,
Golfes d'ombre ; __E,__ candeurs des vapeurs et des tentes,
Lance des glaciers fiers, rois blancs, frissons d'ombelles ;
__I__, pourpres, sang crache, rire des lèvres belles
Dans la colère ou les ivresses pénitantes ;
__U__, cycles, vibrement divins des mers virides
Paix des patis semes d'animaux, paix des rides
Que l' alchimie imprime aux grands fronts studieux ;
__O__, supreme Clairon plein des strideurs etranges,
Silences traverses des mondes et des Anges :
— O l'Omega, rayon violet de Ses Yeux !

(Arthure Rimbaud. *Voyelles*)
(ფრანგი პოეტები 2000 : 89)

ეს ლექსი, რომელიც რემბოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური მანერით აქვს შესრულებული, ბგერების სიმბოლური მნიშვნელობების დამახასიათებლად არ გამოგვადგება. არა იმიტომ, რომ ბგერებს "ფერი" არ გააჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ უგულებელვყავით მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ცალკეული ბგერები გარკვეული სიმბოლიზმით ხასიათდებიან. თუმცა იმის ნათელ ნიმუშად კი გამოგვადგება, თუ რამდენად სუბიექტური შეიძლება იყოს ადამიანის

წარმოსახვაში ცალკეულ ბგრათა აღქმა. ამ ლექსით შთაგონებული გაბრიელ ბონური, ოპოზიციაში ხმოვანი – თამხმოვანი ხედავს დაპირისპირებას მდედრობითი – მამრობითი. თუმცა ეს მოსაზრებებიც ღრმად სუბიექტურია, ამიტომ მათ განხილვას აღარ შევუდგებით. პოეტის მიერ ნებისმიერი ბგერა შეიძლება ნებისმიერი ფერის ან თვისების მქონედ იყოს აღქმული. უფრო თანმიმდევრულია ლეკონტ დე ლისლი (ფრანგული ლიტერატურა (ა) 1984), რომელიც ამბობს :

« Si l'on supprimait l'*o* de *paon*, je ne verrais plus cet oiseau faire la roue ».

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ბგერებს ფერი და მსგავსი თვისებები არ გააჩნიათ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბგერათშეერთებები გარკვეული გამომხატველობით მაინც ხასიათდებიან და გააჩნიათ ე. წ. *პოეტური ფუნქცია.*

აქვე შეიძლება ამ ფუნქციის რამდენიმე ასპექტის განხილვა.

პირველ ყოვლისა გამოვყოთ *ესთეტიური ზემოქმედების* ფუნქცია, ანუ შეტყობინების მიმღებში გარკვეული მდგომარეობის გამოწვევა. ყველაზე უკეთ ეს გამოიხატება პოეზიაში. ლექსში კონსონანტური ჯგუფების განლაგება შეიძლება დაგვეხმაროს იმ სიტყვების მოძიებაში, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია და რომლებიც უკეთ გამოხატავენ ავტორის განწყობას.

მაგალითისათვის გამოგვადგება კონსონანტური ჯგუფების გამეორება სტროფის შუაგულში:

La lune était sereine et jouait sur les flots,

*La fenetre enfin li**br**e est ouverte à la **br**ise,*

*La soultane regarde et la mer qui se **br**ise,*

*Là-bas d'un flot d'argent **br**ode les noirs ilots,*

*De ses doigt en vi**br**ant s'échape la guitare*

*Elle ecoute... Un **br**uit sourd frappe les sourds échos.*

(V. Hugo. *Claire de lune*)

(ფრანგი პოეტები 2000 : 56)

კონსონანტური ჯგუფი **[br]** ან როგორც ჩვენ მას ვუწოდეთ – სუპრაფონემა მოცემულ ექვს სტროფში ექვსჯერ გვხვდება შემდეგ სიტყვებში :

li**br**e

brise

brise

brode

vi**br**ant

bruit

ეს ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოცემული ლექსის სათაური *Claire de lune* სულაც არ არის ლექსის მთავარი შინაარსის მატარებელი.

როგორც ვიცით, ტექსტში, იქნება ეს პოეტური თუ პროზაული ნაწარმოები, საკვანძო ფრაზის ძიება საკმაოდ რთული პროცესია და ლინგვისტიკაში ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ მეთოდი, რომელიც დაეხმარებოდა მკითხველსა თუ მკვლევარს მის მოძიებაში. *ჩვენი აზრით, ტექსტში ბგერათსიმბოლური კომპონენტების კვლევა ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს საკვანძო ფრაზის მოძიებაში.* რა თქმა უნდა, ძიება არ უნდა მიმდინარეობდეს ტექსტის სემანტიკური მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად. ბგერითი ეფექტები მსმენელის ან მკითხველის ცნობიერებაში წარმოიქმნება ბგერების ან ბგერათა ჯგუფების გამეორების შედეგად ;

ბგერათშეერთებათა გამეორებები ზოგჯერ გვეხმარება ტექსტის დაფარული სემანტიკის და საკვანძო ფრაზის გამოვლენაში. თუ ამ ჰიპოთეზით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ სტროფი, რომელშიც ყველაზე ხშირად მეორდება ბგერათშეერთება **[br],** უნდა იყოს ლექსის მთელი შინაარსის მატარებელი. კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ ამ სტროფს და ვნახოთ, დაემთხვევა თუ არა მისი ბგერათსიმბოლური აღქმა სემანტიკურ შინაარსს :

*La fenêtre enfin li**br**e est ouverte à la **br**ise*

ფანჯარა, რომელიც ჯერ კიდეევ ღიაა, ეს არის იმ ქალის სიმბოლო, რომელიც ზღვის პირას დგას და რაღაცას ელის.

ბგერათა სიმბოლიზმის გამოყენების გამსაკუთრებული შემთხვევები გვხვდება ფოლკლორულ ტექსტებში : შელოცვებში, რიტუალებში. ამ თვალსაზრისით გამვიხილოთ მწყემსების შელოცვა მგლის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია საფრანგეთის ზოგიერთ რეგიონში:

*Viens, bête à laine ; c'est l'agneau de l'humilité ; je te ga**rd**e.*

*C'est l'agneau du Redempteur, qui a jeune quarante jours, sans avoir **pr**is aucun repas de l'ennemi, et fût tente en verité. Va **dr**oit, bête **gr**ise, à **gr**is ag**gr**ipence, va che**rch**er la **pr**oie, loups et louveteaux ; tu n'as point a venir a cette vianded, qui est ici.*

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ტექსტის ყველა კონსონანტური ჯგუფი შეიცავს თანხმოვანს – **r : gr** – გვხვდება სამჯერ (**gr**ise, **gr**is, ag**gr**ipence) , **pr** – ორჯერ (**pr**oie, **pr**is) , **dr** და **rd** თითოჯერ (**dr**oit, ga**rd**e). თუ ბგერათშეერთებათა სიმბოლურ მნიშვნელობებს გადავხედავთ და ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ბგერათშეერთებები :

[gr], - რომელსაც შეესატყვისება არასასიამოვნო, ჩხუბი, ცახცახი, პირქუში ;

[pr] – ცახცახი

[dr] – გრძლივობა, მოქმედება ; საოცარი სიზუსტით გამოხატავენ შელოცვის შინაარსს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბგერათშეერთებათა სიმბოლიზმის ე. წ. *მაგიური ფუნქციის* გამოვლენასთან.

ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობების უკეთ გაცნობისათვის დავაკვირდეთ შემდეგ ლექსს:

*Ô voyageur ! pa**rt**age ma **tr**istesse :*

*Mele tes **cr**is a mes **cr**is sure**rfl**us.*

Il est tombé le roi de la vitesse !

*L'ai**r d**es combats ne le reveille **pl**us.*

*Il est tombé dans l'e**cl**at da sa cou**rs**e :*

*Le **tr**ait fatale a **tr**emblé su**r s**on **fl**anc ;*

*Et les **fl**ots noirs de son généreux sang*

*Ont a**lt**ere le **cr**istale de la sou**rc**e.*

(Charles-Hubert Millevoye.

L'arabe au tombeau de son coursier)

(ფრანგი პოეტები 2000 : 169)

მოცემულ ლექსში კონსონანტური ჯგუფი **[tr]** – გვხვდება სამჯერ, **[rs]** – სამჯერ, **[rt], [rd], [rfl], [fl], [kl], [fl], [pl], [st]** – თითოჯერ. ამ ჩამონათვალში გათვალისწინებულია აგრეთვე ბგერათშეერთებები სხვადასხვა სიტყვებიდან (მაგალითად L'ai**r d**es... და su**r s**on...), რადგან ფრანგულ ენაში მეტყველების ნაკადი დაიყო *ფონეტიკურ სიტყვებად*. როგორც შენიშნეთ, ბგერათსიმბოლური ჯგუფების უმრავლესობა შედგენილია თანხმოვნით **[r].** თუ ბგერათა კომპლექსების მნიშვნელობებს გადავხედავთ, თვალწინ შემდეგნაირი სურათი გადაგვეშლება : მიმდინარე, მორბენალი, ტკივილი, კანკალი, ჩქარი მოძრაობა, წინააღმდეგობა, ნაღველი, დარდი, ჩქარი ვიბრაცია, ხისტი, მკაცრი, არასასიამოვნო, გადამწყვეტი, ნგრევა, სივრცე, მოქმედება, ნაზი, ახალი, მსუბუქი, ფრენა, პირდაპირი, მდგომი, დახურული, სტაბილური. ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას ასე : უდაბნოს სივრცე, გასროლილი ისრის ხმა, არაბის დარდი, რომელიც საკუთარი ცხენის საფლავთან ტირის, ცხენის სისწრაფის გახსენება, სიკვდილის პირას მყოფი ცხენის ცახცახი, ტკივილი, სისასტიკე.

დავაკვირდეთ შემდეგ ლექსს :

*Le si**el** est, par - dessus le toit,*

*Si **bl**eu, si ca**lm**e.*

Un arbre, par - dessus le toit,

*Berse sa pa**lm**e.*

*La **cl**oche, dans le ci**el** qu'on voit,*

Doucement tinte.

Un oiseau sur l'arbre qu'on voit

*Chante sa **pl**ainte.*

*Mon dieu, mon dieu, la vie **est l**à,*

*Sim**pl**e et tranqu**ill**e.*

*Cette paisi**bl**e rumeur – la*

*Vient de la v**ill**e.*

*– Qu'as – tu fait, ô toi que vo**il**à*

***Pl**eurant sans cesse,*
*Dis, qu'as – tu fait, toi que vo**il**à,*
de ta jeunesse ?

(Paul Elouard. ***)
(ფრანგი პოეტები 2000 : 64)

როგორც ვხედავთ, ლექსი შედგება თექვსმეტი სტროფისაგან და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მელანქოლიურია, ბგერათშეერთება **[br]** მასში მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული და ისიც სიტყვაში *ar**br**e* რომელიც ქართულად ნიშნავს - ხეს. ამით პოეტი ლექსს მეტ სიმსუბუქეს, ექსპრესიულობასა და სინაზეს სძენს. ვერლენი იყენებს ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში უნივერსალურად მიჩნეულ სუპრაფონემას **[-l]**, რომელიც ძალიან ადვილად გამოიცნობა ცდაში მონაწილე პირთა მიერ და აღიქმება, როგორც სასიამოვნო, ნაზი, მსუბუქი.

იტალიური ენა, რომელიც საოცრად მდიდარია ხმაბაძვითი სიტყვებით, ძალიან ხშირად პოეტების შთაგონების წყაროდ იქცევა ხოლმე. ამ მხრივ საინტერესო იქნება შემდეგი ლექსი :

Clof, clop, cloch,
cloffette,
clochette,
chchch...
E giu nel
cortile
la povera
fontana
malata,
Che spasimo
sentirla
tossire !
Tossisce,
tossisce

un poco si tace,
di nuovo
tossisce
un poco
si tace, di nuovo
tossisce.
Mia povera
fontana,
il male che hai
il cuore
mi preme...

(Aldo Palazzeschi, *La fontana malata*)

(მაგერა... 2000: 28)

პოეტმა სასურველი ეფექტის მისაღწევად რამდენიმე ხერხი გამოიყენა : იმათთვის, ვინც ლექსს უბრალოდ კითხულობს, მან წერის უჩვეულო მანერით სცადა ყურადღების გამახვილება სიტყვებზე, ხოლო მსმენელთათვის ისედაც ყველაფერი ნათელია, თითქოს გვესმის ავადმყოფი შადრევნის გულის გამაწვრილებელი ხმა. ეფექტი სუპრაფონემების მეშვეობით მიიღწევა.

ეს ყველაფერი იმაზე მიგვინიშნებს, რომ პოეტები ძალიან ხშირად მიმართავენ ბგერათა სიმბოლიზმს ერთდროულად რამოდენიმე ეფექტის მისაღწევად :

1. ეს არის ავტორის მიერ ფონეტიკური საშუალებების გამოყენებით მეტყველებისთვის ექსპრესიულობის მომატება.
2. ემოციური და ესთეტიური ზემოქმედების გამოწვევა ბგერითი მასალის მეშვეობით (შესაბამისი სიტყვების შერჩევა და მათი განლაგება, ბგერათა კომპლექსების გამეორებები და ა. შ.).

პოეტები საუკუნეების განმავლობაში დავობდნენ შემდეგ საკითხზე, რომელი უფრო მნიშვნელოვანია პოეზიაში – ნაწარმოების შინაარსი თუ ფორმა. სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობები ხან ერთს ანიჭებდნენ უპირატესობას, ხან მეორეს. საბოლოოდ მივიდნენ იმ

მოსაზრებამდე, რომ ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები უნდა იყოს ფორმისა და შინაარსის არაძალადობრივი შერწყმა, თუმცა რითმაზე მუშაობა, ჩვენი აზრით, პოეტისათვის მთავარი ამოცანა უნდა იყოს (გავიხსენოთ გალაკტიონი, რომელიც წლობით მუშაობდა რითმების მოძიებაზე და რომლის ლექსებიც სავსეა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ბგერათშეერთებებით). ფრანგულ ლიტერატურაში შინაარსისა და ფორმის თანხვედრის წარმატებული თანხვედრის ნიმუშად შეგვიძლია გავიხსენოთ პოლ ვერლენის ბრწყინვალე ლექსი "შემოდგომის სიმღერა."

Les sang**lo**ts **lo**ngs
Des vio**lo**ns
De l'au**to**m**n**e
B**er**sent mon co**eur**
D'une langu**eur**
Monot**on**e.
Tout **s**u**ff**oc**an**t
Et **bl**ême, qu**an**d
So**nn**e l'h**eur**e
Je me **s**ou**vien**s
Des jours a**ncien**s
Et je **pl**eure.
Et je **m**'en **v**ais
Au vent **m**au**v**ais
Qui m'empo**rt**e
Déç**a**, d**e**là, pareil a la
Feuille mo**rt**e.

(Paul verlaine. Chanson d'automne)
(ფრანგი პოეტები 2000: 84)

მოცემულ ლექსში ვერლენს ძალიან ბევრი სტილისტური ხერხი აქვს გამოყენებული, რათა სასურველ ჟღერადობასა და ეფექტს მიაღწიოს.

შედეგი შთამბეჭდავია, თითქოს ყურში მართლაც ჩაგვესმის შემოდგომის მონოტონური წვიმის ხმა.

იგივე მონოტონურობით ხასიათდება შემდეგი იტალიური ლექსი, რომელიც ცნობილ იტალიელ პოეტს, ჯაკომო ლეოპარდის ეკუთვნის :

Lunghi dal proprio ramo
povera fo**gl**ia fra**l**e,
dove vai tu ? Da**l** faggio
la dov'io nacqui, mi divise il vento.
Esso, tornando a vo**l**o
da**l** bosco a**ll**a campagna,
da**ll**a va**ll**e mi porta a**ll**a montagna.
Seco perpetuamente
vi pe**ll**egrina, e tutto l'altro ignoro.
Vo dove ogni altra cosa,
dove naturalmente
va la fo**gl**ia di rosa,
e la fo**gl**ia d'a**ll**oro.

(Giacomo Leopardi, *Una foglia*)
(Premio Magera 2000 : 63)

როდესაც ბგერათა სიმბოლიზმზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ გოგლა ლეონიძის ლექსს « ყივჩაღის პაემანი ». ალბათ იშვიათად მოიძებნება ქართულ ლიტერატურაში ბგერითი ექსპრესიის ასეთი ნიმუში :

ყუ**რღ**ანებიდან გნოლი გა**ფრ**ინდა,
ყაბა**რდ**ოს ველი გადაიარა,
ისევ ა**ღვსდ**ექი!
მუ**ხრ**ანის ბოლოს
ჩასა**ფრ**ებული ვსინჯავ იარა**ღს**.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,

შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და **ტრ**ამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები **ტრ**იალი,
მცხეთას ვუმ**ტვრ**იე საკე**ტურ**ები,
ვლეწე **ტაძრ**ები კელაპ**ტრ**იანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები...

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

ავტორი ასეთ გასაოცარ ეფექტს აღწევს სუპრაფონემების **[-რ]** და **[რ-]** გამოყენებით. დავაკვირდეთ, ლექსის პირველ სტროფს და მეოთხეს, სადაც ექსპრესია კულმინაციას აღწევს. ეს რა თქმა უნდა არ არის შემთხვევითი და თუ ლექსი ხმამაღლა იკითხება შედეგი სახეზეა. სუპრაფონება **[ტრ]** ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი დატვირთვის მატარებელია და მახვილიც ამ ფონემათა კავშირზე მოდის. მეოთხე სტროფი ლექსში გამოხატავს თითქმის ყველაფერს : სასოწარკვეთას, უზომოდ დიდ სიყვარულს, ვნებას, შინაგან რღვევას...

მაშასადამე, *ბგერითი ეფექტები,* რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ცნობიერებაზე, პოეზიაში, ისევე როგორც ფოლკლორულ

ტექსტებში, ბგერების, უფრო ხშირად კი სიმბოლურ ბგერათშეერთებათა გამეორების შედეგად მიიღწევა.

საინტერესო იქნება, როგორი სახით გამოვლინდება ბგერათა სიმბოლიზმი თარგმანებში. როგორც ვიცით, თარგმანი *თითქმის თავიდან დაწერილი ნაწარმოებია, ურთულესი შესასრულებელია.* თუმცა არის შემთხვევები, როცა მთარგმნელი ახერხებს ჩაწვდეს პოეტის ღრმა ჩანაფიქრს და მიუხედავად უამრავი სირთულისა, სხვა, მონათესავე თუ არამონათესავე ენაზე გადმოიტანოს არა მხოლოდ სემანტიკური შინაარსი, არამედ ის მაგიური ჟღერადობა, რომელსაც ადგილი აქვს ორიგინალში. ამაზე მომდევნო თავში ვილაპარაკებთ

§ 3. თარგმანებში გამოვლენილი ბგერათა სიმბოლიზმი

როგორც წინა პარაგრაფში ავღნიშნეთ, პოეტური ნაწარმოების მთარგმნელის წინაშე ურთულესი ამოცანა დგას, ის ვალდებულია უცხო ენაზე გადმოიტანოს ავტორის განცდები და ლექსის შინაარსი ისე, რომ არ დაარღვიოს მისი ფორმა. ეს თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს თარგმანი ხორციელდება არამონათესავე ენაზე (მაგალითად ქართულიდან ფრანგულად). ამოცანის სირთულე ორმაგად და სამმაგად იზრდება, თუ ტექსტი შესრულებულია მაღალმხატვრულ დონეზე და მდიდარია ბგერათსიმბოლური სიტყვებით, სადაც ულამაზესი შინაარსი ერწყმის კიდევ უფრო ლამაზ ფორმას. თვალსაჩინო მაგალითისათვის გამოგვადგება შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი".

არსებობს "ვეფხისტყაოსნის" ორი ფრანგული თარგმანი. პირველი ეკუთვნის სერგი წულაძეს, მეორე – გასტონ ბუაჩიძეს. ამოცანის სირთულე ორივეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. წინასიტყვაობაში მთარგმნელები აღნიშნავენ, რომ თარგმანი, ორიგინალის სიდიადით ვერ დაიკვეხნის, თუმცა მათთავე სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს ურთულესი პოემის ორი კარგი ფრანგული თარგმანი.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ შეძლეს ბგერათა გამომხატველობის გადმოტანა ქართულიდან ფრანგულსა და იტალიურში ქარი ჰქრის

მთარგმნელებმა, ახლა კი ვნახოთ, როგორ გამოვლინდა ბგერათა სომბოლიზმი "ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ თარგმანებში.

დავაკვირდეთ ორიგინალის ტექსტს :

*ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ **ს**ახე ყოვლი**ს**ა **ტ**ა**ნ**ი**ს**ა.*
*შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე **ს**ა**ტ**ა**ნ**ი**ს**ა!*
*მომეც მიჯნურთა **ს**ურვილი **ს**იკვდიმდე გა**ს**ა**ტ**ა**ნ**ი**ს**ა,*
*ცოდვათა შემ**ს**უბუქება, მუნ თანა წა**ს**ა**ტ**ა**ნ**ი**ს**ა!*

შედარებისათვის ვნახოთ წულაძის თარგმანი :

O Dieu unique, Créateur qui donna la forme à tout corps,
*Protège – moi, accorde – moi la force d'écraser **S**a**t**an,*
Accorde – moi un coeur d'amant, d'amour épris jusqu'à la mort,
Allège le poids de peches qu'en l'au – delà j'irai portant.

როგორც შენიშნეთ, ორიგინალის კონსონანტური ჯგუფები თარგმანისას ვერ შენარჩუნდა. რასაც ვერ ვიტყვით ბუაჩიძის თარგმანზე :

*À ton image, unique Dieu, en toutes choses l'on **s'a**tt**e**nd,*
*Accorde Ta protection afin de bafouer **S**a**t**an,*
*Initie-moi au fol de mortels énlança **t**ant,*
*Soulage-moi de mes pèches que l'au delà n'effa**c**e à **t**emps.*

ქართული [სტ], რომელიც ორიგინალში გამეორდა ყოველი ფრაზის ბოლოს, ასევე გამეორდა თარგმანშიც, მხოლოდ ბგერების სახით ; **s'a**tt**e**nd - [st], **S**a**t**an - [st], enlança **t**ant -[st], n'effa**c**e a **t**emps - [st].

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ენებს შორის უზარმაზარი სხვაობისა, შეიძლება თარგმანი შესრულებულ იქნას მაღალმხატვრულ დონეზე, შინაარსისა და ფორმის უგულებელყოფის გარეშე.

განვიხილოთ შემდეგი ნაწყვეტი :

*თქვა, "მზეო ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ***ეს ადრე,***
*ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლე***სად – რე.***
*მაშინ რაღა ვქმნა, ვერ – ჭვრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძე***სად***
– რე!
*ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წე***სად – რე".***

კონსონანტური ჯგუფი [**ს-დ-რ**] ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება, შედარებისათვის ვნახოთ ბუაჩიძის თარგმანი :

*Il se dit : « Soleil, de l'exile ma rose se res**sen**t**ir**a,*
*Naguère cristale et rubis, plus que l'ambre elle **jau**n**ir**a.*
*Que faire si dérobe aux yeux ton image mon **sort** i**ngr**at ?*
*Pour son aimeé il faut mourir, c'est la loi que **ser**vent mes **br**as. »*

ისევე როგორც ორიგინალში, თანხმოვათა ყველა კომპლექსი, რომლიც მოთავსებულია სტრიქონის ბოლოს, მთავრდება ბგერით – [**-r**] , საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აქ ეს ბგერა მხოლოდ რითმის გამო არ არის გამოყენებული. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გავარკვიეთ, სუპრაფონემა [**-r**], ყველაზე ხშირად არის არასასიამოვნო ასოციაციის გამომწვევი ადამიანის ცნობიერებაში. პოეტებმა კი, რომლებიც *სიტყვის ალქიმიკოსებად* გვევლინებიან, ბგერების მაგიური ფუნქციისა და ადამიანის ცნობიერებაზე ბგერათშეერთებების გავლენის მნიშვნელობის შესახებ, ფსიქოლოგებზე მეტი იციან. სწორედ ამითაა გამოწვეული პოემებისა და ლექსების გასაოცარი უნარი ჩაწვდნენ ადამიანის სულის სიღრმეებს.

გავაანალიზოთ შემდეეგი სტროფი :

*საწოლს დაწვა, **ტირს**, მ**ტირ**ალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,*
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების ;
*რა მიჰლ**ულნ**ის, სია**ხლ**ევე საყვა**რლ**ისა ეოცების,*
*შე**კრ**თის, დიდი დაიზახის, მით პატიჟი ეოცების.*

დავაკვირდეთ წულაძის მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანს :

Sur sa couche il s'étend en pleurs, ses larmes sèchent à grand peine,
*Comme un **tr**em**bl**e agite du vent, de tous cotes il se demène,*
*Des qu'il so**mn**o**l**e, il voit en songe, auprès de lui, sa bien – aimée,*
*Il **tr**essa**ill**e en possant un **cr**i et sa douleur vingt fois s'avive.*

შედარებისათვის მოვიყვანოთ გ. ბუაჩიძის ფრანგული თარგმანი :

*Il **pl**eure a**ff**a**l**e, sur son lit, les la**rm**es ne sechent point, **tr**em**bl**e*
*Son corps agite, **t**ou**r**mente, comme **pl**ie sous le vent le **tr**emble.*
*L'amante, a peine il clot les yeux, lui rend visite, ce lui sem**bl**e.*
*Le preux sursaute et pousse un **cr**i, en proie a vingt douleurs ensem**bl**e.*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ, ბგერათშეერთება [**ტრ**] – ორიგინალში გვხვდება ორჯერ, [**კრ**] – ერთხელ, სუპრაფონემა [**-ლ**] – სამჯერ. ახლა დავთვალოთ თარგმანებში წარმოდგენილი ბგერათშეერთებები :

ს. წულაძესთან – [**tr**] – ორჯერ, [**cr**] – ერთხელ, [**–l**] – სამჯერ.

გ. ბუაჩიძესთან – [**tr**] – სამჯერ, [**cr**] – ერთხელ, [**–l**] კი ექვსჯერ.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო მოვლენასთან. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ თარგმანისას ბევრი სიტყვა შეიძლება შეცვლილ იქნას სინონიმური მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვით, რომლებიც შეიცავენ სხვა ბგერათშეერთებებს, თუმცა მთარგმნელები უპირატესობას ისეთ სიტყვებს ანიჭებენ, რომლებიც ჟღერადობითაც წააგავს ორიგინალში გამოყენებულ სიტყვას.

მკვლევარის წინაშე უსათუოდ დგას პრობლემა :

დაკავშირებულია თუ არა ეს გამომსახველობა ბგერათა სიმბოლიზმთან. ამ პრობლემის გადაჭრისას ჩვენ კვლავაც (როგორც

პრობლემის ექსპერიმენტული კვლევისას) ვიხელმძღვანელებთ შემდეგი მოსაზრებით : *ცალკე აღებულ, იზოლირებულ ბგერას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ ტექსტში, ბგერათა შეერთებებმა და მათმა გამეორებებმა შეიძლება სემანტიკური მნიშვნელობის, საერთო აზრის, სახეების გადმოცემის ფუნცია შეიძინოს,* სწორედ ამიტომ ბგერათშეერთებები აღიქმება, როგორც გარკვეული შინაარსისა და სიმბოლური დატვირთვის მატარებელები.

განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი პოემიდან, თავისი შესაბამისი თარგმანებით :

« უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული,
მათ შექმნან ***გლ****ოვა – ****ტირ****ი****ლ****ი, ქმნან საქმე გამწარებული,*
მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული! »
ამას იგონებს ***ტირ****ი****ლ****ით გონება – შეიწრებული.*

მოცემულ ტექსტში ბგერათშეერთება [**გლ**] – გვხვდება ერთხელ, [**ტ-რ**] – ორჯერ.

ახლა შევადაროთ ეს მონაცემები თარგმანებში გამოყენებულ ბგერათშეერთებებს :

« Se conformant à ma prière, il ira conter mon trépas,
Chacun prendra le deuil, pleurant ainsi qu'on fait dans le malheur,
*Revenant d'un pays lointain, alors j'apparai****tr****ai vivant. »*
Il songe en ces ***tr****istes pensées, tout en larmes, l'ésprit dement.*

ს. წულაძის თარგმანში მწუხარებისა და გლოვის გამომხატველი ბგერათშეერთება **[tr]** – ისევე, როგორც ორიგინალში, გამოყენებულია ორჯერ, თუმცა მთარგმნელს არა აქვს გამოყენებული ბგერათშეერთება [**gl**].

აბსოლუტური სიზუსტითა აქვს დაცული ბგერათშეერთებათა რაოდენობა ორიგინალთან მიმართებაში (**[tr]** – 2-ჯერ, **[gl]** – 1-ჯერ) გ. ბუაჩიძეს :

*« Selon mon souait Chermadin rela**te**ra au roi ma mort,*
*Il y aura san**gl**ots et pleurs, chagrin indicible, remords.*
*Soudain j'apparai**tr**ai vivant, mon cheval mordillant le mors! »*
Ainsi il medite en pleurant, et se point ne demord.

ან კიდევ :

*მე პა**ტრ**ონისა ჩემისა ასული შემყვა**რ**ებია ;*
*თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ – მა**გრ**ებია.*
*თუცა არ მიცნობ, გინახავ, თუ ვითა გია**ზრ**ებია,*
*გახსოვსცა, ოდეს დაჰხოცე მონები არ – სა**პყრ**ებია ?*

ორიგინალში კონსონანტური ჯგუფების უმრავლესობა შედგენილია სუპრაფონემით **[-r]**. შევადაროთ თარგმანებს.

იგივე ნაწყვეტი გ. ბუაჩიძის თარგმანით :

*« J'aime d'un amour éperdu la fille de mon suzé**r**ain,*
*Les sujets admirent leur reine et la servent avec en**tr**ain.*
*Un jour tu me vis. Ton image en moi fût gravée au **b**u**r**in.*
*Tu massa**cr**as alors nos serfs et versas leur sang **p**u**rp**u**r**in. »*

იგივე ნაწყვეტი ს. წულაძის თარგმანით :

*« Je suis és**pr**is d'amour et j'aime la fille de mon suz**er**ain,*
Tous les vessaux les plus puissants pour leur reine la reconaissent,
Tu ne me connais pas, pourtant tu m'apercus, s'il t'en suivent,
*Rappelle-toi, tu massa**cr**as de vaillants écuyers, na**g**uè**r**e. »*

როგორც ვხედავთ, გ. ბუაჩიძისეულ თარგმანში უფრო უკეთ არის გადმოცემული ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები. როცა შოთა რუსთაველი იყენებს შემდეგი სახის რითმას, სადაც ყველა სიტყვაში შედის სუპრაფონემა [l] გ. ბუაჩიძე არ არღვევს პოემის ქართულ ჟღერადობას და ცდილობს გამოიყენოს შესაბამისი ბგერათშეერთებები (რამდენადაც ეს შესაძლებელია. ზოგჯერ მთარგმნელი ადგილს უცვლის სიტყვებს, რათა შესაბამისი რითმა მოძებნოს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, ამიტომ მაგალითებში არაა მოცემული სიტყვების თარგმანი, არამედ წარმოდგენილია სქემა, თუ როგორაა შენარჩუნებული თარგმანში ბგერები, ბგერათშეერთებები და რითმი) :

ორიგინალი	*თარგმანი*
ა**ლ**თა	brû**l**ait
მავ**ალ**თა	**all**ait
მრავ**ალ**თა	p**al**ait
ვ**ალ**თა	f**all**ait
ბნ**ელ**ისა	crepusc**ul**e
ცხ**ელ**ისა	br**ûl**e
ხ**ელ**ისა	ém**ul**e
საეჭვ**ელ**ისა	dissim**ul**e

“ვეფხისტყაოსანში” და მის თარგმანებში (განსაკუთრებით გ, ბუაჩიძის მიერ შესრულებულ თარგმანში) ასეთი მაგალითები მრავლად მოიძებნება :

*ხრმალი გავს**ტყ**ორცე, გადვიჭერ, ვეფ**ხ**ი შევიპყარ ხელი**თა** ;*
*მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელი**თა** ;*
*მი**ღრ**ინვიდა და მაწყენდა **ბრ**ჭკალითა სისხლთა მღვრელი**თა**,*

*ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელი**თა**.*

*« Et puis, a**tti**rée dans mes **br**as, la panthère se rebi**ffa**,*
*Je voulus l'em**br**asser au nom de mon amour qui m'échau**ffa**,*
*Mais elle rugît, se dressa, me balafra et me gri**ffa**.*
*À bout de patience, alors de sa vie ma main triom**pha**. ».*

(გ. ბუაჩიძის თარგმანი)

qarTuli	*franguli*
[ტყ] – 1	[tr] – 1
[ფხ] – 1	[fr] – 1
[ბრ] – 1	[br] – 2
[თა] – 4	[fa] – 4

*« Je bondis à **terr**e, rejetant l'épee, emploiant la tigresse,*
*J'avais le desir de l'e**tr**eindre pour Celle dont les feux me pressent,*
Elle rougit, me labourant de ses griffes, me mit en sang,
*Je ne pus mai**tr**iser mon coeur, je la tuai, fou de colère.*

(ს. წულაძის თარგმანი)

ქართული	*ფრანგული*
[ტყ] – 1	[tr] – 3

სხვა თანხვედრა ამ თარგმანში არ დასტურდება.

გ. ბუაჩიძის მიერ შესრულებული თარგმანიდან კიდევ შეიძლება ბგერათსიმბოლური სიტყვების ზუსტი თარგმანების მოძიება. აქვე მოვიყვანთ რამოდენიმეს :

*ფატმან რა ნახა, შეშინდა, **ძრ**წის და მიეცა **ძრ**წოლასა.*
*მან გაკვირვებით უჭ**ვრ**იტა მათსა ლაღობა – წოლასა ;*
*უთხრა : არ გიშლი, დიაცო, ფერთა მიდა მო **კრ**თოლასა,*
გამითენდების განენებ მაგა მოყმისა ყოლასა!

*Fatman **tr**embla à sa vue, en **pr**oi a une obsession,*
L'homme eut pour le couple enlace un mouvement d'aversion,
*Puis dit : « **Pr**elasse – toi, catin, sans pause ou interruption,*
*À l'aube tu re**gretter**as ta joie et ta possession!*

სუპრაფონემით [-r] შედგენილი ბგერათშეერთებები ორიგინალში არის ოთხი : ***ძრ**წის, **ძრ**წოლასა, უჭ**ვრ**იტა, **კრ**თოლასა ;* ხოლო თარგმანში – ხუთი : ***tr**embla, **pr**oi, **Pr**elasse, re**gretter**as.*

როგორც წინა თავში იქნა აღნიშნული, ცალკეული ბგერები და ბგერათშეერთებები, პოეზიაში განსაკუთრებულ შინაარსობრივ და სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ, მაგრამ როგორი სახით ვლინდება ეს ყველაფერი თარგმანში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს თარგმანი ხორციელდება არამონათესავე ენაზე, რომლის ფონეტიკური სტრუქტურაც აბსოლუტურად განსხვავდება ორიგინალის ენის ფონეტიკური სტრუქტურისაგან. მაგალითისათვის ავიღოთ გალაკტიონის ცნობილი ლექსი "ქარი ჰქრის."

დავაკვირდეთ ლექსში ბგერათა კომპლექსების განლაგებასა და მათ რაოდენობას :

***ქარ**ი ჰ**ქრ**ის, **ქარ**ი ჰ**ქრ**ის, **ქარ**ი ჰ**ქრ**ის,*
*ფოთლები მიჰ**ქრ**იან **ქარ**დაქ**ار**...*
*ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად **ხრ**ის,*
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,

ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან...
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...

(გალაკტიონი. *ქარი ჰქრის*)

შედარებისათვის ვნახოთ ლექსის ფრანგული თარგმანი :

***Br**uit du vent, **cr**ie du vent gemissement,*
*Et les feuilles empo**rt**ees par le vent...*
*Et les ar**br**es ployes et unis,*
Ou es – tu, ou es – tu, ou es – tu ?
Neige et pluie, Neige et pluie, Neige et pluie
*Je ne puis te **tr**ouver, je ne puis...*
Seul tes yeux sont toujours avec moi,
Nuits et jours, sur les chemins avec moi.
***Br**uit du vent, **cr**ie du vent gemissement...*

საინტერესო სწორედ ის არის, რომ მთარგმნელმა შეძლო ზუსტად, საოცარი გამომხატველობით და ექსპრესიით ეთარგმნა ლექსის მთავარი ფრაზა *ქარი ჰქრის.* ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, თუ რამდენად განსხვავებულია ფრანგული ენის ფონეტიკა ქართულისაგან და რაოდენ დიდი სირთულის წინაშე დგანან არამონათესავე ენაზე ლექსის მთარგმნელები, მათ უნდა გადმოსცენ შინაარსიც და ბგერათსიმბოლური ჟღერადობაც.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფრანგულად წინადადება *ქარი ქრის*, ჟღერს ასე : *le vent souffl*e, მაშ რატომ აირჩია მთარგმნელმა სიტყვები "ხმაური", "ყვირილი" ? პასუხი ნათელია – ისინი შეიცავენ ბგერათა კომპლექსებს **[br]** – **br**uit და **[cr] – cr**ie, რომლებიც ჟღერადობით უფრო ახლოს არიან ქართულ [ქრ] – სთან, ვიდრე ბგერათკომპლექსი **[fl]**.

საინტერესო იქნება ამ ლექსის იტალიური თარგმანის ნახვაც :

*Il vento, senti, **spi**ra, **gr**ida e **gr**ida...*
Di vento in vento volteggiano le foglie.
Lunghe file d'alberi, eserciti ricurvi...
Ma tu dove sei, dove sei, dove sei ?
Come piove, com'e bianca questa neve,
*Men**tr**'io ti cerco in ogni dove, e invano.*
*L'immagine tua mi segue, mi **per**segiuta*
Ogni istante, ogni ora, ogni giorno.
Il Cielo filtra nebbia di pensieri
*E il vento **sp**ira, volteggia, **gr**ida, gira...*

Traduzione Luigi Mogarotto

როგორც შენიშნეთ, იგივე განმეორდა იტალიურ თარგმანშიც. იტალიურად *ქარი ჰქრის*, ჟღერს ასე *tira vento*, მაგრამ თანხმოვანთა კომპლექსი [**gr**] მთარგმნელს დასჭირდა ორიგინალთან მიახლოებული ბგერითი ეფექტის შესაქმნელად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ *ბგერათა სიმბოლიზმი თარგმანებშიც დასტურდება*, განსაკუთრებით მაშინ, თუ თარგმანი მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული და ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, ენები მონათესავეა თუ არა, მათი ფონეტიკური სტრუქტურა მსგავსია თუ განსხვავებული. ჩვენ გავეცანით ურთულესი ქართული ტექსტის ფრანგულ თარგმანს, მოკლედ მიმოვიხილეთ ზოგადი კანონზომიერები და მივედით იმ დასკვნამდე, რომ არამონათესავე ენებშიც არსებობს გარკვეული სახის კორელაცია (თუმცა პოეზიაში ეს ეფექტი მიიღწევა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, *პოეტური თვითნებობის* წყალობით).

პოეტური ჰარმონიის, თვით პოეზიის საიდუმლოება, როგორც ჩანს, ძევს ბგერისა და მნიშვნელობის იდუმალ კავშირში, როგორც ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ჰომეროსის, შექსპირის ან დანტეს

შემოქმედების დიდი ნაწილი თარგმანებში იკარგება, თუკი მთარგმნელი თვით არ არის პოეტური სულის პატრონი, რომელიც ქმნის ახალ პოეტურ ჰარმონიას ძველის საფუძველზე.

დასკვნა

წარმოდგენილ საკვალიფიკაციო ნაშრომში *ბგერათა სიმბოლიზმი და ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები (ფრანგული, იტალიური და ქართული ენების მიხედვით)* ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს :

1. კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის, თვით ადამიანშია. მათ შორის კავშირს – სახელდებას ადამიანი ახორციელებს. ამიტომ გაუმართლებელია პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორი სახით არის ეს კავშირი წარმოდგენილი თვით ადამიანში, როგორ ახდენს ადამიანი სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირებას – სახელდებას. პრობლემის გადაწყვეტისას ფსიქოლოგიის უარყოფა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია.
2. მოცემული მნიშვნელობის აღსანიშნად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიტყვის ბგერითი გარსის კონსტრუირება ხდება არა ნებისმიერი ბგერებიდან, არამედ

გარკვეული ენის ბგერებისაგან, რომლებიც მის ფონოლოგიურ სისტემას ქმნის და ამიტომ იმყოფება გარკვეულ ურთიერთმიმართებაში როგორც ერთმანეთთან, ასევე ენის სხვა სტრუქტურულ ელემენტებთან.

3. სიტყვის ბგერითი გარსი ჩვენთვის არ წარმოადგენს მონოლითურ და ჰომოგენურ წარმონაქმნს. ჩვენ მათში გამოვყოფთ ბგერათა კომპლექსებს, რომლებსაც ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც სიტყვის ცალკეულ კომპონენტებს (ფესვი, ფუძე, დაბოლოება და სხვა) და რომლებსაც, ყოველ შემთხვევაში თავის ნაწილში (პრეფიქსი, სუფიქსი, ფლექსია) მკაცრად განსაზღვრული ბგერითი სახე აქვთ. ეს კი ახალი მხრიდან აპირობებს სიტყვის ბგერით მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულებას, რადგანაც ამ მნიშვნელობის ხასიათისდა მიხედვით (ე. ი. გარკვეული მნიშვნელობის სიტყვების მიკუთვნება სახელების ანდა ზმნების რიცხვისადმი) სიტყვას შეიძლება დაემატოს ფლექსიის, პრეფიქსის ანდა სუფიქსის სახით (ფლექსიურ ანდა აგლუტინაციურ ენებში) მკაცრად განსაზღვრული ბგერათა კომპლექსები.

4. ბგერათა კომპლექსი წარმოადგენს არა მასში შემავალი ბგერების მექანიკურ ჯამს, არამედ მთლიანობას, რომელშიაც ზოგიერთი ბგერა მართალია ერთგვარად წამყვან როლს ასრულებს, მაგრამ მაინც მისი სპეციფიურობა საბოლოოდ განსაზღვრულია ბგერათა კომპლექსით, როგორც მთელით და იმ შინაარსით, რომლის სახელადაც ის გვევლინება.

5. რამდენადაც ბგერის ფიზიოლოგიური აღქმა (შესაბამისად მისი გაშიფვრაც) არის მისი ფიზიკური მახასიათებლების ასახვა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ გარკვეული ბგერები, რომლებიც ბგერათსიმბოლურ სიტყვებში გვერდიგვერდ დგას, წარმოშობენ ტალღებს, რომლებიც ინტერფერენციისას (ერთმანეთზე გადაჯაჭვულები), თუ ისინი კოჰერენტულები არიან, ქმნის ტალღას რხევის დიდი ამპლიტუდით და რომელიც ადამიანის ყურის მიერ აღიქმება, როგორც რაღაც, რაც არ არის უბრალო ბგერა ან

ბგერათშესიტყვება, რაღაც, რაც არის აზრის მატარებელი. ერთი სიტყვით, ბგერები, რომლებიც ერთმანეთს "უთანხმდება", ქმნიან ეფექტს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ბგერათა სიმბოლიზმს.

6. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის გათვალისწინებით (ისეთი ფიზიკური მოვლენის გავლენა, ბგერათსიმბოლური სიტყვების აღქმაზე, როგორიცაა *ტალღების ინტერფერენცია*) ჩვენ გამოვყავით ახალი ერთეული – *სუპრაფონემა*, რომელიც არის შესაბამის სიტყვებში *ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელი* და რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც მყარი ბგერითი შესიტყვება, სტრუქტურულად შემდგარი, როგორც წესი რამოდენიმე ფონემისაგან, სიტყვის ფონეტიკური ჟღერადობისა და საგნების თვისებების ობიექტური ასოციაციების გამომწვევი.

7. სუპრაფონემა, რომელიც თავისთავად არ არის დასრულებული სიტყვა, მაინც არის ლექსიკური მნიშვნელობის ნაწილის მატარებელი ("კარგი" – "ცუდი", "მრგვალი", "ფაფუკი"), რომელსაც ძირითადად მიაწერენ მთლიან სიტყვას. რა თქმა უნდა, მორფოლოგიური სუპრაფონემა არ არის ბგერა, ის არ არის "გაწყობილი" ფლექსიებით, დაბოლოებებით, და სიტყვის ფუძეც ხანდახან არ ემთხვევა სუპრაფონემას: ძირითადად ის წარმოადგენს ფუძის მხოლოდ ნაწილს, თუმცა ის ბგერათსიმბოლური კომპონენტი, რომელიც მასშია მოცემული და მოქმედებს ადამიანის ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაზე გვერდით მდგომი ბგერების ინტერფერენციის მეშვეობით, განსაზღვრავს მისთვის სპეციფიურ ლექსიკურ მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ შემდგომში ვუწოდებთ ბგერათსიმბოლურს. როგორც შემდგომში ვნახავთ, ექსპერიმენტში, რომელიც აგებულ იქნა ჩვენი ჰიპოთეზის საფუძველზე, ჩვენ გამოვიყენეთ ასეთი სუპრაფონემები და ძირითად შემთხვევაში, ცდაში მონაწილე პირებმა "ამოიცნეს" ეს კომპონენტი.

8. ბგერათა სიმბოლიზმი არ არის უნივერსალური მოვლენა, თუმცა ჩვენს მიერ გამოყოფილი სეგმენტი – სუპრაფონემა,

სხვადასხვა ენის მატარებელ ადამიანების ცნობიერებაზე შეიძლება ერთნაირად მოქმედებდეს და იწვევდეს მსგავს ასოციაციებს.

9. ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები არ იძლევა საფუძველს უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობის მტკიცებისათვის.

10. ბგერათსიმბოლური სიტყვების შედარებით მცირე რაოდენობა (პროცენტული მიმართებით) მსოფლიოს თანამედროვე ენებში შეიძლება აიხსნას სუპრაფონემების შეზღუდული რაოდენობით ამ ენებში. თუმცა მაინც, ბგერათსიმბოლური ფუძეების მაღალი ეფექტურობა, მათი ემოციური შეფერილობა, ხშირად ესთეტიური ღირებულებაც, რაც მათი, როგორც სტილისტური ხერხის გამოყენების საშუალებას იძლევა პოეზიასა და პროზაში სასურველი ეფექტის მისაღწევად, მიუთითებს ბგერათსიმბოლური კომპონენტის შემცველი სიტყვების საერთო ლინგვისტურ და კულტურულ მნიშვნელობაზე. დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ასეთი სიტყვები ყოველთვის იარსებებს ყველა ბუნებრივ ენაში და არც თუ ისე მეორეხარისხოვან როლს ითამაშებს როგორც ყოველდღიურ ურთიერთობაში, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.

11. სუპრაფონემების ნაკრები სპეციფიურია ყოველი ენისთვის, თუმცა მონათესავე ენებში არსებობს მსგავსი სუპრაფონემები, რომლებიც აღნიშნავენ საგნის ან მოვლენის ერთსა და იმავე თვისებებს.

12. ექსპერიმენტის შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ შესასწავლი ბგერების მატერიალურ ბუნებაზე, არამედ სხვა ფაქტორებზეც. მეორე, ასეთი სახის ფაქტორებიდან (ენობრივი ჩვევის გარდა) შეიძლება იყოს მთელი ფონოლოგიური სისტემის გავლენა მოცემულ ენაზე.

13. ფონემათა რანგების დამთხვევა სხვადასხვა ენებში შეუძლებელია ამ ენებისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ფონოლოგიური სისტემების-და გამო.

14. ბგერათსიმბოლური კომპონენტის შემცველი სიტყვები ფართოდ გამოიყენება ბიზნესში. მკვლევარები და მენეჯერები მიიჩნევენ, რომ პროდუქციის პირველად წარმატებას სწორედ მისი სახელწოდება განსაზღვრავს.

15. ბგერათშეერთებათა სიმბოლური მნიშვნელობები უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს საგნების აღქმას, თუმცა ზოგჯერ ეს აღქმა შეიძლება ძლიერ სუბიექტურიც იყოს. ბგერების სუბიექტური აღქმა ძირითადად ვლინდება პოეზიაში.

16. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ბგერებს ფერი და მსგავსი თვისებები არ გააჩნიათ, ბგერათშეერთებები გარკვეული გამომხატველობით მაინც ხასიათდება და გააჩნია ე. წ. *პოეტური ფუნქცია.* პირველ ყოვლისა ესაა *ესთეტიური ზემოქმედების* ფუნქცია, ანუ შეტყობინების მიმღებში გარკვეული მდგომარეობის გამოწვევა. ყველაზე უკეთ ეს გამოიხატება პოეზიაში. ლექსში კონსონანტური ჯგუფების განლაგება შეიძლება დაგვეხმაროს იმ სიტყვების მოძიებაში, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია და რომლებიც უკეთ გამოხატავენ ავტორის განწყობას.

17. ბგერათშეერთებათა გამეორებები ზოგჯერ გვეხმარება ტექსტის დაფარული სემანტიკის და საკვანძო ფრაზის გამოვლენაში.

18. ბგერათა სიმბოლიზმი თარგმანებშიც დასტურდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ თარგმანი მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული და ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, ენები მონათესავეა თუ არა, მათი ფონეტიკური სტრუქტურა მსგავსია თუ განსხვავებული.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა :

1. ადამიანური ფაქტორის... 1988: Роль человеческого фактора в языке: Язык и картина мира. - М., 1988.
2. ალოტი 1989: Allott R. Motor Theory of Language Origin. Lewes: Book Guild. 1989
3. ალპორტი 1935: Allport G.W. Phonetic Symbolism in Hungarian words. Harvard University Thesis, 1935.
4. ალცეტი... 1965: Atzet J., & Gerard, H. E. A study of phonetic symbolism among native Navajo speakers. Journal of Personal and Social Psychology, 1, 1965.
5. აზროვნების პრობლემა... 1964: Проблемы мышления в современной науке, М., 1964.
6. ახვლედიანი ც, კინწურაშვილი მ. , "სარეკლამო დისკურსის იმპლიციტური ასპექტები", "ენათმეცნიერების საკითხები", №1, თსუ, თბილისი, 2008.
7. ახვლედიანი ც. "ფონემათა ჯგუფების ესთეტიკური ფუნქცია", თსუ, გ. ახვლედიანის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, "ენათმეცნიერების საკითხები, თსუ, თბილის, 2007.
8. ახვლედიანი ც. "კონსონანტური ჯგუფების სიმბოლიკა "ვეფხისტყაოსნის" ქართულ თარგმანებში, "საენათმეცნიერო ძიებანი", XXVII, თბილისი, 2008.
9. ახმანოვა 1957: Ахманова О.С. О психолингвистике. М., 1957
10. ბაზილკო 1976: Bazylko S. Groupes consonantiques primaires et secondaires a l'initiale du mot dans le francais contemporain. La linguistique, vol. 12, fasc. 1/1976.
11. ბაინდურაშვილი 1971: სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971წ.
12. ბარანოვი 2007: Баранов А.Н. Лингвистическая экспертиза текста. - М., 2007.
13. ბარანოვი... 1986: Баранов А.Н., Паршин П.Б. Языковые механизмы вариативной интерпретации действительности как средство воздействия на

сознание // Роль языка в средствах массовой коммуникации. – М.: ИНИОН, 1986.

14. ბაქრაძე 1950: Бакрадзе К. Логика, Тб., 1950.
15. ბელიანინი 2001: Белянин В. П. Введение в психолингвистику. М., 2001.
16. ბელიკოვი... 2000: Беликов В.И., Крысин Л.П. Социолингвистика. – М.: РГГУ, 2000.
17. ბეკეტი... 1988: Becker J. A., & Fisher, S. K. Comparison of associations to vowel speech sounds by English and Spanish speakers. American Journal of Psychology, 1988.
18. ბენტლი... 1933: Bentley M., & Varon, E. J. An accessory study of "phonetic symbolism." American Journal of Psychology, 1933.
19. ბირჩი 1958: Birch D., & Erickson, M. Phonetic symbolism with respect to three dimensions from the semantic differential. The Journal of General Psycholog, 1958.
20. ბლონდელი 1897: Blondel J. Phonologie esthetique de la langue français. Guillaumin, 18 ბლუმფილდი 1970: Bloomfield L. Language. Reprinted London:Allen & Unwin, 1970.
21. ბოლინჯერი 1950: Bolinger D. Rime, assonance, and morpheme analysis. Word, 6, 1950.
22. ბრაუნი 1958: Brown R. Words and things. New York: The Free Press., 1958.
23. ბრეკბილი... 1957: Brackbill Y. & Little, K.B. Factors determining the guessing of meanings of foreign words. J. abnorm.soc.Psychol., 1957.
24. ბრესონი 1963: Bresson F. La signification, Les problemes de psycholinguistique, PUF, 1963.
25. ბუხლოვსკი 1953: Булховский Л. А., Введение в языыкознание, часть II, 1953.
26. გამყრელიძე 2003:. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თსუ გამ-ბა. თბილისი, 2003წ.
27. გაზოვ-გინსბერგი 1965: Газов-Гинзберг А. М. Был ли язык изобразителен в своих истоках? М., 1965.
28. გიიომი 1974: Гийом Г. Принципы теоретической лингвистики. М., 1992.

29. გიიომი 1937: Guillaume P. Psychologie de la forme. Paris: Flammarion. 1937.

30. გვენცაძე 1983: Гвенцадзе. Ц. А. Консонантность и вариантность фонотактических элементов. – ВЯ, №5, 1983.

31. გორელოვი... 1997: Горелов И.Н., Седов К.Ф. Основы психолингвистики. - М., 1997

32. გრამონი 1960: Grammont M. Traite de phonetique. Delagrave, 1960.

33. გრამონი 1901: Grammont M. Onomatopees et mots expressifs, in: Trentenaire de la Societe pour l'Etude des Langues Romanes, 1901.

34. გუდავა ტ ; ტ. გუდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, 1958 წ.

35. დელაკრუა ჰ : Delacroix, H. Le langage et la pensee, Paris. 1924.

36. დელამენი 1968: Delamain M. Plaidoyer pour les mots, Stock, 1968.

37. ელმსლევი 1989: Ельмслев Л. Можно ли считать что значения слов образуют структуру? “Новое в лингвистике”, 1989.

38. ვაალი. რუ 2002: Психолингвистическая экспертная система ВААЛ®. Руководство пользователя. – М., 2002 (www.vaal.ru)

39. ვალენტობა... Статья “Валентность” // Энциклопедия “Кругосвет” (www.krugosvet.ru).

40. ვალტერი 1976: Walter H. La dynamique des phonèmes dans le lexique français contemporain. France-Expansion, 1976.

41. ვანდერბერგი 1990: Vanden Bergh, B. The rekurring kase of the special k. Brand Names, 1990.

42. ვანდერბერგი.... 1987: Vanden Bergh, B., Adler, K., & Oliver, L. Linguistic distinction among top brand names. Journal of Advertising Research, August/September, 1987.

43. ვანდერბერგი.... 1987: Vanden Bergh, B., Collins, J., Schultz, M., & Adler, K. Sound advice on brand names. Journalism Quarterly, 1984.

44. ვანდერბერგი 1970: Van Den Berghe Ch. La phonostilistique du francais. Mouton, Paris, 1970.

45. ვანდრიესი 1937: Вандриес Ж. Язык. Лингвистическое введение в историю, 1937.

46. ვეისი 1966: Weiss, J. H. A study of the ability of English speakers to guess the meanings of non antonym foreign words. The Journal of General Psychology, 1966.

47. ვორონინი 1982: Воронин С. В. Основы фоносемантики. Л., 1982.

48. ვორონინი 1990: Воронин С.В. Фоносемантические идеи в зарубежном языкознании. Л., 1990.

49. ვუნდტი 1913: Вундт В. Элементы психологии народов, М., 1913

50. ვალენტობა...Статья “Валентность” // Энциклопедия “Кругосвет” (www.krugosvet.ru).

51. ზვიგეგინცევი 1965: Звигегинцев А. История языкозания XIX веков в очерках и извлечениях, ч II. М., 1965.

52. ზალიზნიაკი [Зализняк Анна А.] Статья “Языковая картина мира” // Энциклопедия “Кругосвет” (www.krugosvet.ru).

53. იაკობსონი 1979: Jakobson R., & Waugh, L. The sound shape of language. Bloomington, IN: Indiana University Press, 1979.

54. იასპერსენი 1922: Jespersen O. Language: Its nature, development and origin. London: Allen & Unwin, 1922.

55. ილინი 2001: Ильин М. Две ипостаси слова//Человек, №5, М., 2001.

56. ინგლიში 1916: G. English, On the Psycological Response to Unknown Proper Names. American Journal of Psychology. 27; 1916

57. იორკსტონი... 2004: Yorkston, E. A., & Menon, G. A sound idea: Phonetic effects of brand names on consumer judgments. Journal of Consumer Research, 2004.

58. ირიგარეი 1974: Irigaray L. Le schizofrène et la question du signe, Recherches, № 16, 1974.

59. ირვინი.... 1940 : F. W. Irwin and E. Newland, A genetic Study of the Naming of Visual Figures. The Journal of Psychology, 9; 1940;

60. კალვე 1976: Calvet L.-J. La production revolutionnaire, slogans, affiches, chansons, Payot, 1976.

61. კალვე 1975: Calvet L.-J. Pour et contre Saussure, Petite bibliothèque. Payot, 1975.

62. კარტონი 1974: Carton F. Introduction à la phonetique du français. Paros, 1974.

63. კელერი... 1998: Keller K. L., Heckler, S. E., & Houston, M. J. The effects of brand name suggestiveness on advertising recall. Journal of Marketing, 1998.

64. კიოლერი 1930: W. Kohler, Gestaltpsychology. London. 1930.

65. კლაპარედი 1914: E. Claparede, Sur la représentation des personnes inconnues et des lapsus lingual. Archives de Psychologie. 14. 1914.

66. კლინკი 2000: Klink R. R. Creating brand names with meaning: The use of sound symbolism. Marketing Letters, 2000.

67. კობოზევა [Кобозева И.М.] Статья "Коннотация" // Энциклопедия "Кругосвет" (www.krugosvet.ru).

68. კოელი 1964: Kohel W. Psychologie de la forme. Galimard, 1964.

69. კოლარიტსი 1914: K. Kollarits, Observation de psychologie quotidienne. Archive de Psychologie, 14. 1914

70. კოლინსი 1977: Collins L. A name to conjure with. European Journal of Marketing, 11, 1977.

71. კომისაროვი: Комиссаров В.Н. Коммуникативная функция языка и осмысленность слова. М., 1985.

72. კოტოვი [Котов А.А.] Модель речевого воздействия.М., 1983

73. კრისტევა 1974: Kristeva J. La revolution du language poétique, Paris, 1974.

74. ლარუსი 2001: Dictionnaire de linguistique. Larousse, 2001.

75. ლებედევი 1991: Лебедев Л. В. Референциальные критерии в типологии высказываний//Вопросы языкознания, №6, 1991.

76. ლეიბნიცი 1936: Леибниц Г. Новые опыты о человеческом разуме, М., 1936.

77. ლევიცკი 1969: Левицкий В. В. К проблеме звукосимволизма/Психологические и психолингвистические проблемы владения и овладения языком. М., 1969.

78. ლევიცკი 1973: Левицкий В.В. Семантика и фоносемантика. Черновцы, 1973.

79. ლევიცკი 1975: Левицкий В.В. Экспериментальные методы в семасиологии. М., 1975.

80. ლეონი 1976: Leon P. Sèmes potentiels et actualisation poétique. Etudes litteraires, vol.9, N 2, 1976.

81. ლეონტიევი 1961: Леонтьев А.А.. Психолингвистика и проблема функциональных единиц речи // Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике. М.,1961.

82. ლეონტიევი 1967: Леонтьев А.А. Психолингвистика. Л., 1967.

83. ლეონტიევი 1989: Леонтьев А.А. Психолингвистика // Тенденции развития психологической науки. М., 1989.

84. ლეონტიევი 1999: Леонтьев А.А. Основы психолингвистики. М., 1999.

85. ლეონტიევი 2003: Леонтьев А.А. Основы психолингвистики. – 3-е изд. – М.: Смысл; СПб.: Лань, 2003 (Гл. 15 «Психолингвистика речевого воздействия»).

86. ლოკი 1960: Лок Дж. Опыт о человеческом разуме, М., 1960.

87. ლოურეი... 2005: Lowrey T. M., & Shrum, L. J. Effects of phonetic symbolism on brand name preference. Unpublished manuscript, University of Texas at San Antonio, 2005.

88. ლურია 1979: Лурия А.Р. Язык и сознание. - М., 1979.

89. მალმგებგი 1974: Malmberg B. Manuel de phonetique generale. Picard, 1974.

90. მალტცმანი... 1957: Maltzman I., Morrisett, L., & Brooks, L. O. An investigation of phonetic symbolism. Journal of Abnormal & Social Psychology, 1956.

91. მარტინე 1981: Martinet A. Evolution des langues et reconstitution. Paris, 1981.

92. მარტინე... 1973: Martinet A, H. Walter. Dictionnaire de la pronontiation francaise dans son usage reel. Paris, 1973.

93. მასობრივი... 1974: Психолингвистические проблемы массовой коммуникации. - М., 1974

94. მეტყველების... 1986: Речевое воздействие: психологические и психолингвистические проблемы. - М., 1986

95. მიულერი 1968: Мюллер М. Наука о языке. М., 1968.

96. მორიე 1961: Morier H. Dictionnaire de poétique et de rhétorique. PUF,1961.

97. მულიასიკი 1967: Muljacic. La combinalité des phonèmes . Phonologie der Gegenwart, 1967.

98. ნიუმენი 1933: Newman, S. S. Further experiments in phonetic symbolism. American Journal of Psychology, 1933.

99. ნუარე 1925: Происхождение речи и мышления, Москва, 1928

100. პაგეტი 1930: Paget R, Human speech, New York., 1930.

101. პარშინი Паршин П.Б. Статья “Речевое воздействие” // Энциклопедия “Кругосвет” (www.krugosvet.ru).

102. პაული 1960: Пауль Г. Принципы истории языка. М., 1960.

103. პეზო 1973: Pesot J. Les onomatopées: structure acoustique et catégories perceptuelles. Memoire de l’ Université de Montreal, 1973.

104. პეტერფლავი 1970: Peterflavi J.-M., Recherches exsperimentales sur le symbolisme phonétique, CNRS, 1970.

105. პეტრენკო 1988: Петренко В.Ф. Психосемантика сознания. - М.: Изд-во МГУ, 1988

106. პეტრენკო 1997: Петренко В.Ф. Основы психосемантики. - М., 1997.

107. პლატონი 1931: Platon. Cratile, texte etabli et traduit par Luis Meridier, Paris, 1931.

108. პრეზენტი 1928: Презент И. Происхождение речи и мышления, М., 1928.

109. ჟურავლიოვი 1974: Журавлев А. П. Фонетическое значение. М., 1974.

110. ჟურავლიოვი 1991: Журавлев А. П. Звук и смысл. М., 1991

111. როპერი... 1976: Roper, C. W., Dixon, P. W., Ahern, E. H., & Gibson, V. L. The effect of language and sex on universal phonetic symbolism. Language and Speech, 1976.

112. რუბინშტეინი 1946: Рубинштеин С. Л. Основы общей психологии, М., 1946.

113. რუსო 1983: Rousseau J. J. Essai sur l’origine des langues, Hatier, 1983.

114. საპირი 1929: Sapir, E. A study in phonetic symbolism. Journal of Experimental Psychology, 1929.

115. სერებრენნიკოვი 1950: Серебренников Б. А. К выяснению сущности внутенных законов языка, М., 1950.

116. სოსიური 1933: Соссюр Ф. Курс Общей Лингвистики, М., 1933.

117. სპირკინი 1957: Спиркин А.Г. Происхождение языка и его роль в формировании мышления/Мышление и язык. М., 1957.

118. ტარტი 1982: Tarte, R. D. The relationship between monosyllables and pure tones: An investigation of phonetic symbolism. Journal of Verbal Learning and Verbal Behavior, 1982.

119. ტეილორი 1963: Taylor, I. K. Phonetic symbolism re-examined. Psychological Bulletin, 1963.

120. ტეილორი 1962: Taylor, I. K., & Taylor, M. M. Phonetic symbolism in four unrelated languages. Canadian Journal of Psychology, 1962.

121. ტომსენი 1938: Томсен В. История языкознания до конца XIX века. М., 1938

122. უზნაძე დ. ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია, 1940წ.

123. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1940წ.

124. უზნაძე დ. სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები. თბილისი, 1940წ.

125. უზნაძე დ., შრომები, ტ. I, 1956წ.

126. ულმანი 1962: Ст. Ульман, Дескриптивная семантика и лингвитическая топология, "Новое в лингвистике", вып. II, М., 1962

127. ფატეევა а. [Фатеева Н.А.] Статья “Звуковая организация текста” // Энциклопедия “Кругосвет” (www.krugosvet.ru).

128. ფიტჩი 1994: Fitch W. T. Vocal tract length perception and the evolution of language. Unpublished doctoral dissertation. Brown University, 1994.

129. ფიშერი 1922: S. Fisher Uber das Entsteben und Verstehen von Namen. Arch. f. d. ges. Psychol. 1921, N 42 -43

130. ფონაჟი 1070: Fonagy Y. Les bases pulsionnelles de la phonation. Revue Francaise de Psychanalise, 1970, I, et 1971, II.

131. ფოქსი 1935 : Ch. Fox, An Experimental Study of Naming, American Journal of Psychology. Vol. 47. No 4/ 1935

132. ფონეტიკა და მეტყველების ფსიქოლოგია 1967: Фонетика и психология речи: Межвузовское собрание научных трудов. М., 1967.

133. ფსიქოლინგვისტიკა 1984: Психолингвистика. Сборник статей. М., 1984.

134. ფსიქოფიზიოლოგიის... 1997: Основы психофизиологии/под редакцией Ю.И. Александрова. М., 1997.

135. ჩიქობავა არნ. 1945: ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, ძირითადი პრობლემები. თბილისი, 1945წ.

136. ჩიქობავა არნ. 1952: ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952წ.

137. შალაკი ვ. ; [Шалак В.И. и др.] Сайт экспертной системы ВААЛ (www.vaal.ru)

138. შასტენი 1962: Chastaing M. La brilliance des voyelles, Apchivum Linguisticum, 1962.

139. შასტენი 1964: Chastaing M. Nouvelles recherches sur le symbolisme des voyelles, Journal de psychologie Normale et pathologique, no.1., 1964.

140. შარაძენიძე თ. ენობრივი ნიშნის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია, 1957წ.

141. შახნაროვიჩი 1972: Шахнарович А.М., Н.М. Юрьева. Психолингвистический анализ семантики и грамматики: на материале онтогенеза речи. М., 1972.

142. შილდერსი... 1984: Childers T. L., & Houston, M. J. Conditions for a picture superiority effect on consumer memory. Journal of Consumer Research, 11, 1984.

143. შისნალი 1974: Chisnall P. M. Aluminum household foil in the common market: Research for an effective brand name. Journal of Management Studies, 11, 1974.

144. ცურუ 1934: Tsuru, S. Sound and meaning. Unpublished manuscript, 1934.

145. ცურუ 1933: Tsuru, S., & Fries, H. A problem in meaning. Journal of General Psychology, 1933.

146. ჯანკინი 1974: Джанкин Д. Физика, в 2 т. М., 1974.

147. ჰასენი... 2004: Hassin R. R., Uleman, J. S., & Bargh, J. A. (Eds.). The new unconscious. New York, 2004.

148. ჰარტი 1990: Heath T. B., Chatterjee, S., & France, K. R. Using the phonemes of brand names to symbolize brand attributes. In W. Bearden & A. Parasuraman (Eds.), The AMA educator's proceedings: Enhancing knowledge development in marketing, 1990.

149. ჰუანგი 1969: Huang Y. H., Pratoomraj, S., & Johnson, R. C. Universal magnitude symbolism. Journal of Verbal Learning and Verbal Behavior, 8, 1969.

150. ჰარტლი 1992: Hartley R. F. Marketing mistakes (5th ed.). New York, 1992.

გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა და აუდიო მასალა:

1. რუსთაველი 1974: ვეფხისტყაოსანი. განათლება, თბილისი, 1974წ.
2. რუსთაველი 1989: Roustaveli Ch. Le chevalier à la peau de panthère. Tbilissi,1989.
3. რუსთაველი 1965: Roustaveli Ch. Le chevalier à la peau de tigre. Tbilissi,1965.
4. A vous de lire 3.Hachette, 1979.
5. Dix siècles de litterature française. I. Bordas,1984.
6. Dix siècles de litterature française. II. Bordas,1984.
7. Chanson francaise. Disques ; Livret pédagogique. Cavilam, 2003
8. Génération française 3. Disques ; Livret pédagogique. CLE, 2000.
9. Génération française 4. Disques ; Livret pédagogique, CLE, 2004.
10. Poètes français.XIX-XX siècles, Antologie., M., 1982
11. Premio Magera. Poesie, CMC, 2000.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსი :

1. www.ashtonadams.com/name_types.html
2. www.brandmasters.com
3. www.harpia.ru
4. www.inta.org
5. www.interbrand.com
6. www.krugosvet.ru
7. www.lib.ge
8. www.metaphorname.com
9. mrtranslate.ru/translators/imtranslator.html
10. www.namebase.com
11. www.namedesign.com
12. www.nameit.com
13. www.nametrade.com
14. www.namingworkshop.com
15. www.vaal.ru
16. www.wikipedia.fr